619
1986

ISSN 0130—1824

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დილა

ივნისი №6 1986



სიხარული. ფოტო ბონდო დვალიშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18.205

# მზე, მშობლიური სახლი, დედა...

**ნარგიზა მგელაძე,**
საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, საბავშვო მწერალი

სალასპილსის ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკის მემორიალი რიგა-დაუგავპილსის გზის მეჩვიდმეტე კილომეტრზეა. აქ ჩერდება საგარეუბნო მატარებელი და გზა ტყისკენ უხვევს. არყისა და ფიჭვის ნათელ ტყეში მიმავალ ფართო გზას ეტყობა, რომ მასზე არ წყდება ადამიანთა ნაკადი.

იქ არავინ გეტყვით, გაჩუმდითო. როგორღაც თავისთავად ხდება, რომ რაც უფრო უახლოვდები სიკვდილისა და სიცოცხლის ამ ყოფილ საზღვარს, (ლატვიაში გერმანელი ფაშისტების მიერ მოწყობილი სიკვდილის 23 ბანაკიდან ყველაზე დიდი და საშინელი სალასპილსის საკონცენტრაციო ბანაკი იყო) თავისთავად წყდება ლაპარაკი და ჩურჩულიც კი.

თანდათან მძიმდება ნაბიჯი და გული. რეკვიემივით ჩაგესმის სადღაც ფოთლებში მიმალული ჩიტის ნაღვლიანი გალობა.

ვუახლოვდებით 12,5 მეტრის სიმაღლის ბეტონის კედელს.

წარწერა ბეტონის კედელზე: „ამ ჭიშკრის იქით გმინავს მიწა".

ამ კედლის მიღმა ყოველი გოჯი მიწა გაპოხილია ადამიანის ცრემლით, სისხლით.

ამ კედლის მიღმა... ახლა მემორიალური ანსამბლია.

ყველაზე საშინელი ამ ანსამბლში ბეტონის დაბალი კედელია. ზედ ბავშვების ნახატებია ამოკაწრული: მზე, საკვამურიანი სახლი, სასაცილო კაცუნა, ყვავილები, დედა... ერთი სიტყვით ზუსტად ის, რასაც ხატავდნენ მთელი ქვეყნის ბავშვები ყოველ დროში, ყველა ქვეყანაში, ხატავენ ახლაც.

მზე, მშობლიური სახლი, დედა...

ბეტონის კედლის გარშემო წითელი ვარდი ჰყვავის. რუხ ფონზე უმანკო სისხლის წვეთებივით ჩანან პაწაწინა ვარდები.

აქ ტყვე ბავშვთა ბანაკი იყო.

ასეთ ნახატებს ხატავდნენ მიწაზე ამ ბანაკის მკვიდრნი. ხატავდნენ, რაც უყვარდათ, რაც ენატრებოდათ, რაც ესიზმრებოდათ, რაზეც ოცნებობდნენ: მზე, სახლი და დედა!

ბავშვები, რომლებსაც სისხლს ულებდნენ ფაშისტური არმიის ჯარისკაცებისათვის, სწრაფად იხოცებოდნენ. იმდენი ბავშვი კვდებოდა, რომ ტყვეების სპეციალური ჯგუფი შექმნეს გვამების გასატანად მავთულხლართის მიღმა.

ომის შემდეგ ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ბავშვების სხეულში შეჰყავდათ შხამიანი პრეპარატი, რაც იწვევდა სიკვდილს.

ალბათ ამ რუხ ბეტონზე უფრო მეტად უგრძნობელი უნდა იყოს ადამიანი, გული რომ არ შეუკრთეს და მოწოლილი ცრემლისაგან ქუთუთო არ აუთრთოლდეს, როცა დაღუპული პატარა ანგელოზების ამ მემორიალზე მათივე თანატოლებისაგან დაწყობილ „დათუნია" კონფეტებს, ყვავილებსა და წითელ ვაშლებს დაინახავს.

მაგრამ მარტო ცრემლი და გულის თრთოლა, თუ იგი აქტიურ მოქმედებად არ იქცა, ვერ ააცილებს კაცობრიობას მსგავს საშინელებას.

ომში მარტო ჯარისკაცები როდი იხოცებიან! მეორე მსოფლიო ომმა ჩვენს ქვეყანას 20 მილიონი სიცოცხლე წაართვა, მათ შორის ერთი მილიონი ბავშვი იყო...

არა, არ არის სხვა უფრო შემზარავი მეზობლობა, ვიდრე მეზობლობა სიტყვებისა: ომი და ბავშვები. ამის გამო აქვთ დაკარგული ძილი და მოსვენება მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს. ამიტომ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**დროშა**

№6 (594). ივნისი, 1986

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

## ნ ო მ ე რ შ ი ა:

ნარგიზა მგელაძე — მზე, მშობლიური სახლი, დედა...

ნოდარ შამანაძე — მზე წაბლის ხეებზე...

კარლო კალაძე — ლექსი.

საქართველოს მწერალთა მეათე ყრილობა.

ტარიელ ხავთასი — ქართველები ტიუმენში.

ოვანეს მელქონიანი — ქვები (მოთხრობა).

ხუტა ბერულავა — კიდევ ერთი ზღაპარი.

მაია ბელუტაშვილი, დორა ბრატიაშვილი — ლექსები.

ვაჟა ძიგუა — ერთი გამოშვების ბედი.

ქიშვარდ ისაკაძე — „რა დავიბადე, სოფლით ვიბადე"...

ნათელა ფაილოძე—რა დამავიწყებს.

ლეილა ნოდია — მღერის სამი მაფშალია.

ილია ილფი, ევგენი პეტროვი — ბედნიერი მამა.

საგულისხმო, სახალისო.

კროსვორდები.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1986 წ.

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ ბვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

მოგვიწოდებენ მშვიდობისათვის ბრძოლისაკენ.

თანამედროვე ომები თავისი საშინელებით ათასჯერ აღემატება წარსულ ომებს, რადგან მათში მშვიდობიან მცხოვრებთა მსხვერპლი გაცილებით დიდია.

უგულო ატომი არ არჩევს დიდსა და პატარას, სამხედროსა და სამოქალაქოს.

„კაცობრიობა ვალდებულია, მისცეს ბავშვებს ყოველივე საუკეთესო, რაც კი გააჩნია“ ეს სიტყვები ბავშვის უფლებათა დეკლარაციიდანაა, რომელიც გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ მიიღო.

ჩვენს ქვეყანაში ეს მოწოდება ყოველდღიურად ხორციელდება. ამასთან, ჯერ კიდევ სამამულო ომის ქრონიკებიდან გვახსოვს: უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით ყინულის გზით, რომელიც განუწყვეტლივ იბომბებოდა, ბლოკადაში მოქცეულ ლენინგრადელ ბავშვებს საახალწლოდ გაეგზავნათ მანდარინი.

ვის არ ახსოვს, როგორ ზრუნავდა ჩვენი ქვეყანა უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებზე. ყოველთვის, ყველაზე ძნელბედობის დროსაც, საბჭოთა ქვეყანა თავის მომავალ მოქალაქეებს აძლევდა ყოველივე საუკეთესოს, რაც კი გააჩნდა.

არც ერთი ჭკუათამყოფელი კაცი არ იტყვის, ბავშვი არ მიყვარსო, მაგრამ რა ვუყოთ ამ სამწუხარო სტატისტიკას, რატომღაც სათვალავში რომ არ აგდებს იმპერიალიზმი, რომელსაც არა და არ სურს გამალებული შეიარაღების შენელება.

აი ისიც:

მთელი მსოფლიოს დამშეული ბავშვები რომ დავაპუროთ, საკმარისია იმ თანხის მხოლოდ 10 პროცენტი, რაც შეიარაღებას ხმარდება. „თაიდენტის“ ტიპის წყალქვეშა ატომური ნავის აგება თურმე იმდენი ჯდება, რამდენიც ეყოფოდა 16 მილიონი ბავშვის სწავლებას მთელი წლის განმავლობაში.

1 ივნისი ბავშვთა დაცვის დღეა.

ამ დღეს მთელი კაცობრიობა ვალდებულია, ღრმად ჩაუფიქრდეს, როგორ იღვწის თავისი მომავლის გადასარჩენად.

ბავშვები პლანეტის მომავალია, შვილი — კაცობრიობის უკვდავება.

იგი — ეს მომავალი, ეს უკვდავება ჯერჯერობით ჩვენს ხელთაა.

ამიტომ განუზომლად დიდია საზოგადოების ყველა წევრის პასუხისმგებლობა ამ მომავლისათვის. ამ დაძაბულ სიტუაციაში განზე დგომის უფლება არავის აქვს.

ვინც ქვეყანას კარგ შვილს არ უზრდის, საქმით არ ჭედს მომავალს, არ ეხმარება მშვიდობის საქმეს, იგი კარგ მოქალაქეობას ვერ დაიჩემებს.

დაე მსოფლიოს არც ერთ ქალს არ აუქციოს მხარი დედაშვილობის ბედნიერებამ, არც ერთ დედას არ მოშლოდეს შვილის აციმციმებულ თვალებში მზის ხილვის სიხარული!

# მზე წაბლის ხეებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ნოდარ შამანაძე**

## თორმეტი შვილი და ცხრამეტი შვილიშვილი

მთელი დღე ნათესავებთან და მეგობრებთან გავატარე, დილით კი მამიდაშვილი შემიჩნდა, „ნივა“ აგერაა, გავინავარდოთ მთებისკენ. . წაბლიც მოვაგროვოთ და თვალსაც წყალი დავალევინოთო. წავედით. სხვიტორს რომ გავცდით და ჩიხის შემართს შევუყევით, მან თავი სინანულით გადაიქნია:

— ნეტავ, კიდევ ერთი ტომარა წამოგველო!

— ეს ერთი არ გვეყოფა?! — გავიცინე მე.

— რას გვეყოფა, წაბლი მუხლამდე ყრია!

— ერთი გავავსოთ და ღმერთს მადლობა ვუთხრათ.

— ზედმეტი ქონება ვის მოსჭარბებია! — მიპასუხა და გაზს მოუმატა.

...გავიარეთ ორღული, ჭალა, სპეთი, დარყა... ჯრიაში რომ შევედით, თითქოს უეცრად ფარდა გაიხსნაო, მთის ფერდობებზე შეფენილი წაბლის სეები ერთბაშად გამოჩნდა.

— წაბლის მოგროვება აქაც შეიძლება, მაგრამ პერევში სჯობია, ავიდეთ ზარემ!— მითხრა დათომ.

ავედით. მანქანა სკოლის ეზოში დავაყენეთ და შარაგზას ქვეითად გავყევით. სანამ ტყისაკენ გადავუხვევდით, ჩვენი ყურადღება ერთმა მოსახლემ მიიქცია. ჩიხში სატვირთო ავტომანქანა მიეყენებინათ, ეზოში კი რამდენიმე „ჟიგული“ მოჩანდა. ოდა-სახლის აივანზე ქალების ფაცაფუცი შეინიშნებოდა. დერეფანში კაცები იდგნენ და რაღაცას საქმიანობდნენ, თანაც ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ. განსაკუთრებით ბავშვების სიმრავლე მოგვხვდა თვალში.

— ქორწილია, ალბათ. — გადავულაპარაკე დათოს.

— არა, შვილო, ქორწილი არ არის. — გამომეპასუხა დედაბერი, თხებს რომ მოდენიდა, თანაც ჩვენ გვაკვირდებოდა, — აქ გიორგი ცხოვრობს, შუკაკიძე, თორმეტი შვილი ჰყავს. ამ დღესასწაულებზე მთელმა ნაშიერმა მოიყარა თავი. ზეიმობენ და ხარობენ. უნდა იხარონ, აპა!..

— თორმეტი ჰყავს! — გავიკვირვე მე.

— კი, ბატონო, რვა ბიჭი და ოთხი გოგო. — დააზუსტა დედაბერმა.

— უჰ, რა კარგია! — შევძახე და დათოს გადავხედე: — თორმეტშვილიან ქართულ ოჯახში თუ ყოფილხარ ოდესმე?

— არ ვყოფილვარ.

— არც მე. წამო, თუ ძმა ხარ, გავეცნოთ!

— დაგვაგვიანებენ.

— ჩვენი ნება არაა?! — მივუგე და ჭიშკრისკენ შევბრუნდი. დათო წელათრევით გამომყვა.

...მასპინძლებთან წაბლი არც გვიხსენებია. შვილთა მრავლობა რომ მოვუწონეთ და აღფრთოვანება გამოვხატეთ, გიორგიმ მეუღლეს უთხრა:

— კატუშა, ხედავ, ხალხი როგორ გვაფასებს? ჩვენ კი ამ დაფასებას ბოლომდე ვერ ვამართლებთ. ზარანდიებს ჩვიდმეტი შვილი ჰყოლიათ. ჩვენ კი... მათ როდის დავეწევით?

— ამ უცხო ხალხთან ნუ მარცხვენ, კაცო, სხვა რამეზე ილაპარაკე!

— გაშალე სუფრა და ვილაპარაკებ. — გაუცინა გიორგიმ და მარანს მიაშურა.

• • •

ვერ გავიგეთ, ის დღე ისე მიიწურა. სუფრასთან ორიოდე საათს თუ ვისხედით. ლაპარაკსა და ხუმრობაში გაგვეპარა დრო. დედა, მამა, შვილები, შვილიშვილები, რძლები, სიძეები... ისეთი თბილი და გულითადი ატმოსფერო სუფევდა, გაცნობისთანავე გავუშინაურდით ყველას. ხან ერთს გამოვესაუბრებოდი, ხან მეორესა და მესამეს... ზოგ რამეს ბლოკნოტში ვიწერდი, ზოგს კი ვიმახსოვრებდი. სავსე ოჯახს ისე ვუყურებდი, ზვრის უნახავი დახუნძლულ ვენახს რომ შეჰყურებს... მათი სიხარული ჩვენც გადმოგვედო: გავხალისდით, გავმხიარულდით.

ახლაც, ამ ნარკვევს რომ ვწერ, დროდადრო ბლოკნოტში ვიხედები და იმ დღის ამბებს ვიხსენებ, უჩვეულო სიმსუბუქეს ვგრძნობ. ხან ვიღიმები, ხან ვიცინი ჩემდა უნებურად.

— კარგ გუნებაზე ხარ, მითხარი, რა გიხარია, მეც გავიხარებ! — მეუბნება მეუღლე.

— რომ გაიხარო, შენც პერევში უნდა ახვიდე, თორმეტი შვილის მშობლებს შეხვდე, მათ დიდ ოჯახს გაეცნო!

— მე რომ ქმარი მყავს, ნუღარ იტყვი, პერევს იქითაც წამიყვანს, გამახედგამომახედებს!

რაღა მეთქმის, წერას უხმოდ ვაგრძელებ.

* * *

ეკატერინე მაჭარაშვილმა 1943 წელს დაამთავრა საჩხერის პედაგოგიური სასწავლებელი და პერევის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად გაამწესეს. ამ წელს და ამავე სოფელში პოვა ბედნიერებაც, მისთხოვდა გიორგი შუკაკიძეს, რომელსაც, ჯერ კიდევ ჭაბუკს, ბრძოლის გზა სახელოვნად გაევლო და ახლა სატყეო მეურნეობაში მუშაობდა.

ეკატერინესა და გიორგის თორმეტ შვილთან ერთად ცხრამეტი შვილიშვილი ჰყავთ ამჟამად. მათი დიდი ოჯახი უბედნიერესად ითვლება. მაგრამ ეს ბედნიერება ერთბაშად არ მოსულა...

ქალბატონი ეკატერინე რომ გავიცანი, ვთხოვე, შვილები ჩამომითვალე-მეთქი. მან დინჯად დაიწყო, ყოველ სიტყვას გამოკვეთილად ამბობდა. ჩამოთვლა ისე დაამთავრა, ერთხელვე აღებული რიტმი არ დაურღვევია: ავთანდილი, ტარიელი, ზეინაბი, აკაკი, ბიჭიკო, მამია, ლალი, დარეჯანი, მანანა, ამირანი, ფრიდონი, რამაზი.

მგონი მშვენიერი ლექსი გამოვიდა-მეთქი, ვუთხარი სიცილით. მანაც გაიცინა:

— ომის დროს ჩვენს სოფელში ფართოდ იყო გავრცელებული ერთი ხალხური ლექსი: „ქალი მივიდა ქალთანა, პური მასესხეო, ოცი შვილი არ მომიკვდეს, პური არ მქონდესო: ისარიონ, ბესარიონ, ირაკლი და ილარიონ“... ასე ერითმებოდა სახელი სახელს ოცამდე. გოგონები მივდენიდით ნახირს სამწყემსურში და თან ამ ლექსს ვიმეორებდით. გვსიამოვნებდა პოეტური ალღოთი შერჩეული კეთილხმოვანი სახელების თანამიმდევრობა. ხშირად იმ ქალის გასაჭირზეც ჩავფიქრებულვართ, ოცი შვილი რომ ჰყავდა და პური არ გააჩნდა. თუმცა მაშინ უპურობა და უჭადობა ვის გაუკვირდებოდა?!

— გეცოდებოდათ, ხომ?

— როგორ გითხრათ? შეიძლება ასეც იყო, თუმცა მე პირადად ის ქალი ოცი შვილით გარშემოხვეულ, ღვთიური შარავანდედით მოსილ დედად წარმომიდგებოდა და კიდეც შევნატროდი.

„ძვირფასო ეკატერინე, გოგოობაში მრავალშვილიან დედას რომ შენატროდი და შენს გულში შთამომავლობაზე ფიქრი ინასკვებოდა, თქვენი დღევანდელი ოჯახის ბედნიერება უკვე მაშინ იწყებოდა“. — გავიფიქრე მე, თუმცა მისთვის არ მითქვამს.

ბედნიერება იწყებოდა... ბედნიერება დაიწყო: გიორგისა და ეკატერინეს ოჯახში პირველად 1944 წლის გაზაფხულზე დაირწა აკვანი, დაიბადა ავთანდილი. გავიდა ერთი წელიწადიც და მეორე ბიჭიც გაჩნდა — ტარიელი.

ეკატერინეს ნაამბობიდან:

— ჩემი ტარიელი ბედნიერ ფეხზე დაიბადა: იმ წელს ომიც დამთავრდა. თუმცა ომისდროინდელ სიძნელეებს ბოლო ერთბაშად არ მოღებია, ხელმოკლეობის სუსხი და სიცივე კიდევ კარგა ხანს იგრძნობოდა. ნათქვამი კაცს არ გაუკვირდება და ძალიან გვიჭირდა. ახლა ყველა სოფლის ფურნეში ცეცხლი რომ ღუღუნებს და გოგორა პურები უხვად ცხვება, ასე კი არ იყო მაშინ. პური დასანახად გვენატრებოდა, ჩვენსავე ყანებში მოწეულ სიმინდს ვკმარობდით, კეცებში ცომს გამოზოგილად ვაკრავდით. ჩემი კაცი დღე და ღამეს ასწორებდა, ხან ტყეში იყო, ხან ყანაში, ხან კიდევ დროებით სამუშაოებზე იგზავნებოდა. მე კი მარტოხელას რა უნდა მექნა? გაწამაწიაში ვიყავი: აქეთ ბალღებისთვის უნდა მომევლო, იქით ფრინველ-პირუტყვისთვისაც მეპატრონებინა, სკოლაში კიდევ მოსწავლეები მელოდნენ... ესეც არ იყოს, წამოწეული შვილის გაზრდა ძნელია. რა უნდა ქნა: პირველ ბალღს ძუძუს მოსხლეტ, ჯერ ისევ ჩვილია და უძუძურობა გაუჭირდება. არადა, რძე ორივეს არ ეყოფა, ერთიც დაგეჩაგრება და მეორეც. მე ისევ ამ მეორე გზას დავადექი. ტარიელს ჩავაკრავდი აკვანში, ძუძუს მოვაწოვებდი და კარდაკეტილ ოთახში დავტოვებდი, ავთანდილს კი სკოლაში წავიყვანდი, ჩავუტარებდი ბავშვებს გაკვეთილს და ისევ შინ გამოვრბოდი, შესვენებაზე ბალღისთვის ძუძუს წოვება რომ მომესწრო.

დათომ ჩაურთო:

—ქალბატონო ეკატერინე, ახლა თქვენს ნაუბარს რომ ვისმენდი, კინაღამ შეგაწყვეტინეთ: ბალღები ხელოვნური საზრდოთი უნდა გაგეზარდათ-მეთქი. მაგრამ ვერ შეგკადრეთ. თუმცა ამჟამად ეს ამბავი სამარცხვინოდ არავის მიაჩნია. პირიქით, ერთგვარ ჩვევად იქცა, რასაც ხშირად არასასურველი შედეგი მოაქვს, ზოგჯერ უბედურებასაც იწვევს. ერთ სამწუხარო ამბავს გეტყვით. ჩემი ერთი ახლობელი თბილისში გათხოვდა. არ ვიცი, ვინ შთააგონა და ვინ ურჩია, ეს კი იყო, ბალღი როგორც კი შეეძინა, მკერდი სველი ტილოთი აიკრა და პირმშო ძუძუზე არ გაიკარა: ფიგურა გამიფუჭდებაო. სამი თვის შემდეგ ბავშვი ავად გაუხდა ფილტვების ანთებით. ანთება კი ჩაუქრეს, მაგრამ ჩვილმა მადა დაკარგა, თანდათან გახდა, დასუსტდა. იღონლა, იწვალა, ა დღეს, ა ხვალ და... დაიფერფლა, ველარ უშველეს. პროფესორმა დარწმუნებით თქვა: დედის რძე რომ ჰქონოდა, უეჭველად გადარჩებოდაო.

ეკატერინე წარბშეკრული და მოღუშული ერთხელაც არ მინახავს მთელი დღის განმავლობაში, იმ ამბის გაგონებაზე კი სახე მოეღრუბლა და მერე ისე ამოთქვა, თითქოს გულიც ამოატანაო:

— სხვაზე ვერაფერს ვიტყვი, ჩემიანებიდან კი ბალღს ვერავინ უღალატებს, სანამ ცოცხალი ვარ და პირში სული მიდგას!

გიორგიმ გაიხსენა:

— ის დრო იყო, კატუშასთან ჯერ საქმე არ გადამეწყვიტა. ერთ დღეს ვხვდები და მეუბნება: პირი მიშრება, ლაპარაკი მიჭირსო. რატომ, რა მოგივიდა-მეთქი? რატომ და... მეორე დღეა, წვეთი წყალი არ დამილევიაო. წყალი მაინც გვაქვს უზღვავი, მიდი და დალიე, ვინ გიშლის-მეთქი, ვუთხარი სიცილით და ყვირილისკენ გავახედე. სწორედ იმ აზვირთებული მდინარის ნაპირას ვიდექით. წყლის დაულევლობის საიდუმლო დიდი ამბით გამანდო. თურმე დედაბრების საუბარი მოუსმენია: გოგომ მკათათვის ბოლოს ორ დღეს წვეთი წყალი არ უნდა დალიოს, თვარა შვილოსნობისას ძუძუში რძე გაუწყალდება და ბავშვი დაენაღრებაო. ამასაც ცრუმორწმუნე მოხუცებისათვის დაუჯერებია. ჰოდა, რავარია მკათათვის პაპანაქება სიცხეში წყლის დაულევლობა?

„ძვირფასო ეკატერინე, ჯერ კიდევ ქალიშვილობაში ზრუნავდი, მოწამებრივ ცხოვრებასაც არ ერიდებოდი, წლების მერე ჯანსაღი შთამომავლობა რომ გაგეზარდა. თქვენი დღევანდელი ოჯახის ბედნიერება სწორედ მაშინ იწყებოდა“. — გავივლე გულში, მას კი ვერც ახლა ვუთხარი.

ბედნიერება იწყებოდა... ბედნიერება დაიწყო: ავთანდილსა და ტარიელს გოგო მოჰყვა — დაიბადა ზეინაბი.

...ზეინაბის შემდეგ კვლავ ბიჭი გაჩნდა, აკაკი დაარქვეს.

— ტარიელი და ავთანდილი უკვე გყავდათ, დაგებადათ მესამე ბიჭი. ფრიდონი რატომ არ დაარქვით? — ჰკითხა დათომ გიორგის.

— აკაკი ჩემს სიმამრს ერქვა. ფრონტზე დაიღუპა. მის პატივსაცემად მესამე ბიჭს აკაკი დავარქვით. „ფრიდონი“ კი სხვა დროისთვის შემოვინახეთ.

— ბიჭი რომ აღარ გყოლოდათ?

— გვქონდა ამის იმედი. — ჩაიცინა გიორგიმ.

შვილს შვილი ემატებოდა და ოჯახის საზრუნავ-საფიქრალიც მატულობდა. გიორგი სიმინდს ამ კვირაში ურმით რომ დაფქვავდა, იმ კვირის ბოლოს კიდობანი უკვე გამოცარიელებული იყო. ეკატერინე მჭადის გამოცხობას ვერ აუდიოდა.

ხელმოკლეობას ბევრჯერ ჩაუფიქრებია ცოლ-ქმარი, სადარდებელიც არცთუ იშვიათად გასჩენიათ, მაგრამ სასოწარკვეთილებაში არასდროს ჩავარდნილან. ღამით რომ გადახედავდნენ ლოგინში თავბოლოშექცეულად ჩაწოლილ შვილებს, რომლებსაც მშვიდად ეძინათ და ნებიერად ფშვინავდნენ, დაღლილობაც ავიწყდებოდათ, ჯაფაც, საზრუნავ-საფიქრალიც...

გიორგი ერთხელ სამუშაოდან ძალიან გვიან დაბრუნდა თურმე, სანამ ივახშმებდა, მძინარი ბავშვები შეუთვალიერებია.

— ერთი აკლია! — წამოუძახებია შეშფოთებით.

— რას ამბობ, კაცო! — შეშინებია ეკატერინესაც. დაუთვლიათ. მართლაც თერთმეტი აღმოჩენილა. ამირანი ჰკლებია. ის ღამე რომ მაგონდება, ახლაც ზაფრა მივლისო, გვითხრა ეკატერინემ. მთელი უბანი შეუყრიათ, ყველგან მიუკითხმოუკითხავთ, მერე ტყეც ფეხდაფეხ დაუვლიათ. ამირანი კი დილით საბძლიდან გამოსულა. იმ ღამით ბავშვებს ფუჩეჩში უთამაშიათ და დაღლილ-დაქანცულს ჩასძინებია. მის შემდეგ ბავშვებს წიწილებივით ითვლიდნენ თურმე ყოველ საღამოს.

* * *

ჩვენი მასპინძლები იმ საზეიმო დღესაც ვერ იცლიდნენ დასაჯდომად და გასართობად, ხან რას საქმიანობდნენ, ხან რას. მეც შინაურივით მივდი-მოვდიოდი ეზოში და მათ შორიდან ვაკვირდებოდი, მინდოდა, ამ დიდებული ადამიანების გარეგნობაც კი დამემახსოვრებინა. გიორგი მაღალი, ხმელ-ხმელი კაცია, ნიჩაბივით ხელები აქვს. დინჯად ლაპარაკობს. წითურ სახეს უეშმაკო ღიმილი უმშვენებს. ეს ღიმილი არ შორდება მაშინაც, განმარტოებით რომ საქმიანობს. ბალღი აკვანში თავისთვის რომ იღიმება, ამბობენ, ანგელოზებს უღიმისო. გიორგი კი თავის ბედნიერებას უღიმის... არის შემთხვევა, ადამიანი ბედნიერია, მაგრამ იგი ამას ვერ

ხვდება. გიორგი კი მთელი სისრულით გრძნობს თავის ბედნიერებას.

### გიორგიმ გვიამბო:

— ერთ დიდ წვეულებაზე მოვხვდი. ის დრო იყო, მეთორმეტე შვილი რომ შემეძინა და ცა ქუდად არ მიმაჩნდა, დედამიწა ქალამნად. თამადა ენაგალესილი და ხუმარა აღმოჩნდა, სადღეგრძელოებში ხან ლექსებს ჩაურთავდა, ხან კი არაკებსა და იგავებს. შევხედოთ და, სიტყვა ბედნიერებაზე ჩამოვარდა. ერთი მეფე დასნეულდაო, დაიწყო თამადამ, მისმა ვეზირებმა რა არ ილონეს, ავადმყოფს როგორი ექიმი არ მიუყვანეს, მაგრამ მაინც ვერ უშველეს, მის სნეულებას არც წამალი მიუდგა და არც მალამო. ბედნიერი კაცის პერანგი უნდა ჩააცვათ და უეჭველად მორჩებაო, ურჩიეს ვეზირებს მკითხავებმა. დაიძრნენ ყოველ კუთხით, ვის არ შეხვდნენ, ვინ არ ნახეს... ისეთ მდიდრებსაც ესტუმრნენ, სრა-სასახლეები ბაჯაღლო ოქროებით სავსე რომ ჰქონდათ, მაგრამ ბედნიერი კაცი ვერ აღმოაჩინესო. ბოლოს ასეთ კაცს ტყეში წაადგნენ თავს, კუნძებიან ცაცხვს ვეება ცულით ჭრიდა და სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, მაგრამ საქმე ის იყო, იმ ბედნიერ კაცს პერანგი არ ეცვაო.

— ეგ კაცი მე ვიყავი! — შევძახე, წამოვდექი და გულმკერდი გავიღეღე...

თამადა ვილას ახსოვდა, ყველა მე მომაჩერდა, იყო სიცილი და მხიარული გადაძახილ-გადმოძახილი.

* * *

ეკატერინე მალე სამოცი წლისა გახდება, მაგრამ ეს სოლიდური ასაკი სულაც არ ემჩნევა, ტანმჩატედ მიდი-მოდის, უნაოჭო სახეზე ნათელი გადასდის. მოუსვენარი და ხელჩქარია, უსაქმოდ ერთ წუთს ვერ დაინახავთ. მიმზიდველად ლაპარაკობს. შვილებსა და შვილიშვილებთან ურთიერთობაშიც კი შეიმჩნევა, რომ დახელოვნებული პედაგოგია. შთამომავლობაზე დედის გავლენა უეჭველად დიდია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ რამდენიმე მათგანს პროფესიად პედაგოგობა აურჩევია. ლალი პერევის საშუალო სკოლაში მასწავლებლობს, მოსწავლეებსა და კოლეგებში უკვე სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია. ჯერჯერობით მხოლოდ სამი შვილი ჰყავს. მანანა ზესტაფონში გათხოვდა და იქვე მუშაობს საბავშვო ბაღში აღმზრდელად, დარეჯანი აფხაზეთის უნივერსიტეტის სტუდენტია. ავთანდილიც კი, რომელსაც ტექნიკური განათლება აქვს, ამჟამად ინსტრუქტორ-მასწავლებლად მუშაობს, ავტომანქანებისთვის მძღოლებს ამზადებს.

რაკილა შვილებზე სიტყვა ჩამოვარდა, აქვე ვიტყვით, რომ ისინი მშობლებმა პატარაობიდანვე შეაჩვიეს შრომა-გარჯას. ამიტომაა, რომ დღეს ყველანი კეთილსინდისიერად მუშაობენ თავთავიანთ ობიექტებზე. აკაკიმ და ბიჭიკომ საამშენებლო ტექნიკუმი დაამთავრეს და ერთი მათგანი ზესტაფონში მუშაობს მშენებლობაზე, მეორე კი — სამტრედიის გაერთიანებულ მეურნეობაში, ტარიელი და მამია სატვირთო ავტომანქანებს მართავენ და ჭიათურაში მოწინავე მძღოლებად ითვლებიან. ფრიდონმა საშუალო სკოლა დაამთავრა და უმაღლესში შესასვლელად ემზადება, რამაზი კი მეცხრე კლასში სწავლობს.

### ეკატერინეს ნაამბობიდან:

— მარტო გიორგი და მე რას გავხდებოდით, შვილები რომ არ დაგვხმარებოდენ. ბიჭებს ათიოდე წელიწადი რომ შეუსრულდებოდათ, უკვე მამას ედგნენ მხარში, ყანას თოხნიდნენ, შეშას ამზადებდნენ. საყოლებელი კი მთლად მათზე იყო მინდობილი. მათ არც გოგონები ჩამორჩებოდნენ. დიასახლისობდნენ, პატარებს უვლიდნენ და მზრუნველობდნენ. მახსოვს, ზეინაბი ხუთი წლისაც არ იყო, კაკოს და ბიჭიკოს რომ დავუტოვებდი ხოლმე და მე კი სკოლაში მივიჩქაროდი. ერთხელ რწევისას აკვანი გადაბრუნებოდა. გაკვეთილი რომ ჩავატარე და მოვბრუნდი, სახლიდან ბავშვების ტირილი შემომესმა. მივირბინე, მაგრამ გული აღარ მიმყვა... შევაღე კარი და რას ვხედავ: ზეინაბი და აკაკი ტირიან, გადაბრუნებულ აკვანში ჩაკრული და თავდაკირწული ბიჭიკო კი და-ძმას ქვემოდან გაკვირვებით შეჰყურებს. საბედნიეროდ, ბალღს არაფერი სტკენია.

* * *

ეკატერინეს დიასახლისობა, მისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობა ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ოჯახის ერთგული, ამაგდარი დედა მასწავლებლის მძიმე ტვირთსაც თუ ეწევა, მოსწავლეებისადმი უსაზღვროდ მზრუნველი და თავდადებული აღმზრდელი იქნება უთუოდ.

ეკატერინე უყვართ მოსწავლეებს, კოლეგებს... მას აფასებენ და პატივს სცემენ მეზობლები, თანასოფლელები... მისდამი მთელი სოფლის სიყვარული გამოხატა ოთხმოცდაათი წლის ილია შუკაკიძემ, რომელსაც ჩვენ ვესაუბრეთ: „კატუშა მასწავლებელი ძვირფასი ადამიანია. ამ სოფლის გოგო-ბიჭებს სულ მაგან დააკვალიანა. ჩემს შვილიშვილებსა და ბადიშებსაც მან ასწავლა, ფართო გზაზე გამოიყვანა. მადლიანი ხელი აქვს: ვინც გაზარდა და გაწვრთნა, ყველა კაია — ოჯახსაც არგიან და ქვეყანასაც".

ეკატერინე თავისი ნამოწაფრებითაც ხარობს და ამაყობს. ბევრი მათგანი უკვე მისი კოლეგაა. შოთა ზაბახიძე ქარწმანის საშუალო სკოლის დირექტორია, ცეზარ ენუქიძე ისტორიკოსია, რუბენ შუკაკიძე — ფილოლოგი... პედაგოგ დედაზე საინტერესო აზრი გამოთქვა ლალიმ: „თორმეტმავე და-ძმამ დაწყებითი კლასები დედაჩემის ხელში გავიარეთ, ის გვასწავლიდა. ვისაც არ გამოუცდია, ვერ მიხვდება: დედა-მასწავლებელი ბავშვისთვის უსაზღვრო სიხარულია. კლასში რომ შემოვიდოდა ჟურნალით ხელში, სულ სხვაგვარი მეჩვენებოდა. არა ისეთი, შინ რომ იყო მჭადის ცხობისას და შეჭამადის შეკაზმვისას... უფრო ამაღლებული, გალამაზებული... შევყურებდი და გული სიამაყით მევსებოდა".

* * *

ამ ძვირფას ოჯახს რომ დავემშვიდობეთ და მოვდიოდით, გიორგიმ გამოგვაცილა: რაღაც უნდა განახოთ, გაგეხარდებათო. სამი ახალი კარ-მიდამო გვაჩვენა. სამი ახალი აგურის სახლი ერთმანეთის გვერდით იყო ჩამწკრივებული, შიგნით მოწყობალა აკლდათ. ეს ჩემი ბიჭებისთვისაა, მალე ამოვლენ საცხოვრებლადო, გვითხრა და მერე დასძინა: აქაურობას ოთხი ასეთი კარ-მიდამო კიდევ მოემატება და შუკაკიძეების ახალ უბნად მოინათლებაო. ამას რომ ამბობდა, სახე ღიმილით ჰქონდა განათებული.

...ჩამოვივაკეთ. მზე უკვე იწურებოდა, უკანასკნელი სხივებით ფერდობებზე შეფენილ წაბლის ხეებს ალისფრად აფერადებდა. მოვდიოდით, მოვლილინებდით, ცარიელ ტომარას უკანა სავარძელზე თითქოს ვერც ვამჩნევდით... წაბლი არ მოგვქონდა. მოგვქონდა უსაზღვრო სიხარული, მოგვქონდა იმედი და რწმენა, რომ ჩვენს სოფლებში კიდევ არიან ისეთი ამაგდარი, თავდადებული დედები, ილია ჭავჭავაძემ უკვდავი ლექსი რომ მიუძღვნა: „ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა!.."



# საქართველოს მწერალთა მეათე ყრილობა


ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხნიდან: ვალერი ასათიანი, ირაკლი აბაშიძე, მერაბ ბერძენიშვილი, რევაზ თაბუკაშვილი.

ქართველი მწერლების შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგები, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში ლიტერატურული პროცესის შემდგომი განვითარების გზები განიხილეს საქართველოს მწერალთა X ყრილობის დელეგატებმა. ყრილობა გაიმართა 17 მაისს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

პარტიულობა და ხალხურობა, იმის მტკიცე გადაწყვეტილება, რომ კიდევ უფრო აქტიურად დაეხმარონ პარტიას ადამიანის აღზრდაში, მზადყოფნა, თავიანთი შემოქმედება შეუსატყვისონ დღევანდელობისათვის დამახასიათებელი განახლების სულისკვეთებას — ასეთი პოზიციებიდან, ასეთი მოთხოვნებით, შეუდგა მწერალთა ფორუმი თავის მუშაობას.

ყრილობის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: **ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ა. ნ. ინაური, ბ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ვ. ი. ალავიძე ვ. გ. ლორთქიფანიძე, თ. ი. მოსაშვილი, ნ. რ. საჯაია,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ს. ვ. პოტიომკინი.**

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა სოციალისტური შრომის გმირმა პოეტმა-აკადემიკოსმა **ი. ბ. აბაშიძემ.**

მტკიცდება ყრილობის მუშაობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ანგარიში;
2. რესპუბლიკის მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიის ანგარიში;
3. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის, სარევიზიო კომისიისა და სსრ კავშირის მწერალთა VIII ყრილობის დელეგატთა არჩევნები.

ყრილობის დელეგატებმა და სტუმრებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი ყრილობებს შუა პერიოდში გარდაცვლილ ლიტერატორთა ხსოვნას.

დარბაზში შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ მოსკოვის, ლენინგრადის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უზბეკეთის, ლიტვის, ლატვიის, თურქმენეთის, ურალისა და ყირიმის მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება **გააკეთა** შემოქმედებითი კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **გ. შ. ციციშვილმა.**

მტკიცდება სარევიზიო კომისიის ანგარიში.

კამათში მონაწილეობდნენ მწერალი-აკადემიკოსი **გ. გ. აბაშიძე,** მწერლები **ო. ფ. ნოდია, რ. კ. ინანიშვილი, ე. ს. მაღრაძე, ხ. მ. ბერულავა, მ. ს. ლებანიძე, რ. ა. ჯაფარიძე, გ. მ. პეტრიაშვილი, ჭ. ი. ამირეჯიბი, შ. ნ. შამანაძე, გ. ი. ფანჯიკიძე, რ. ს. მიმინოშვილი,** აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **ა. ნ. ჯონუა,** საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი **ფ. ი. ხალვაში,** სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი **ი. ს. ქოჩაევი,** ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი **დ. ვ. კვიცარიძე.**

საქართველოს მწერალთა კავშირის მეათე ყრილობას მიესალმნენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ი. ი. სუროვცევი,** საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. დ. ლორთქიფანიძე,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ე. კ. ხარაძე,** სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარე **ე. ა. ევტუშენკო,** სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ჰ. კ. ჰოვანესიანი,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **გ. ნ. ჯიბლაძე,** გამსახკომის თავმჯდომარე **ვ. გ. ბაქრაძე,** საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ნ. შ. ვასაძე.**

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯ. ი. პატიაშვილმა.**

ყრილობამ დადებითად შეაფასა შემოქმედებითი კავშირის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა და მიიღო შესაბამისი რეზოლუცია.

ყრილობამ აირჩია საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ახალი შემადგენლობა და ქვეყნის მწერალთა მერვე ყრილობის დელეგატები.

ამით ყრილობამ დაამთავრა მუშაობა.



ანდრეი ვოზნესენსკი და ჭაბუა ამირეჯიბი.



მარცხნიდან: გურამ ფანჯიკიძე, მუხრან მაჭავარიანი. მედეა კახიძე.

## საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი

გაიმართა საქართველოს მწერალთა მეათე ყრილობის მიერ არჩეული რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია **გ. შ. ციციშვილი.**

გამგეობის მდივნებად არჩეული არიან **რ. ბ. ამაშუკელი, ხ. მ. ბერულავა, ლ. რ. თაბუკაშვილი, რ. კ. ინანიშვილი, შ. გ. ნიშნიანიძე, ი. ს. ქოჩაევი, ჯ. ა. ჩარკვიანი, თ. ი. ჭილაძე ფ. ი. ხალვაში, ა. ნ. ჯონუა.**

რესპუბლიკის მწერალთა ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია **თ. ა. ჯანგულაშვილი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. ნ. ენუქიძე.**



მარცხნიდან: ზურაბ ფორჩხიძე, ერემო ქარელიშვილი, ოთარ ნოდია, მიხეილ ქვლივიძე.



# ამბავი მონადირეთა


ეროვნული ბიბლიოთეკა

## კარლო კალაძე

### I

თუ ამბავს ბილიკ-ბილიკ აჰყევი,
ღია ცა გეტყვის, გეტყვის ღრმა ხევი,
რომ სამკვიდროა მონადირეთა
ტყე-ღრე და არა ნაპარტახევი...

ჩემი მოგვარე, ჩემი სეხნია
ცდილობდა კიდეც, ვიცი ნამდვილად:
აქ, სადაც ფილთა თოფს უჭექნია —
მთა. ვით ავთანდილს გადენადირა.

ცაა ტყიურთა ფრთის გასაშლელად,
ჯიხვთა საშენად სალი ციცაბო.
ეს ტყე და ეს ღლე ჩათვალე შენად,
არ თქვა: დამჩაგრა დედამიწამო.

გზა სახიფათო ასჯერ წაშლილი,
ასჯერ გაავლე, ასჯერ ასწერე...
„—როგორც ნაკრძალი“ —
გეტყვის არჩილი,
„— როგორც მგლის კვალი“ —
მთები დასძენენ.

და აჰა, ნიკოვ, შენი ბუნებაც
მკვიდრი ამ დროის, ამ გარემოსი
მონადირეთა ზეპირთქმულებას
ზეაჰყვა, როგორც მთათა ეპოსი!

### II

რა ფიცხი ხმა აქვს, რა უეცარი:
იქნებ ეს არი დარდიც თოფისა,
და კიდევ კარგი, რომ წესად არი
ვაზნების გაცვლა ნადირობისას.

მგელიაშვილო, ნიკოვ, რას იტყვი,
ტყიურმა აგრე როგორ იმრავლოს —
გაწყდა ირემი, გაწყდა ხარ-ჯიხვი,
თოფმა თუ არა, ვინ დაიბრალოს!?

და თუ ბედ-იღბლის ცდა მაინც გიყვარს,
არ შეიძლება მთა არ გიყვარდეს,
წუთს იქ მიმალულს შევარჩევ იმგვარს,
იმგვარს ნამდვილად, რომ გაგიხარდეს!

აჰა, მთის მკვიდრი მთვარით, უმთვაროდ —
ღმერთს ჯიხვი ცაზე მიუხატია.
ზათქი! და მოკლულ დღედ ჩავუთვალოთ
ღმერთს ის დღე, განა ჯიხვი, ცხადია!

მე ამოვიღე ნიშანში, აცდა,
მიყვარს და როგორ არ შევაშინო,
გაექცა საფრთხეს და გამამაცდა,
ვაზნა შენია, მგელიაშვილო!

ამით უბრუნებს ჩემი ბუნება
სიმხნევეს ჩემს სისხლს და ჩემს იოგებს.
კვამლით რომ წუთი შეიბრუნება —
ის მხოლოდ წუთით გულს მოიოხებს...

### III

მგელიაშვილო, ამ წუთსაც, იქნებ,
დასჭირდეს ფიჩხის ცეცხლი, კაფია.
რაცა მსურს, განა გადავიფიქრებ —
სულიც კი განგებ გამინაბია.

თუმცა გამწირა მარცხენა თვალმა,
მარჯვენამ სცადა, რომ გამამართლოს,
გაჭრა იღბალმა და სამართალმა,
ღირს ხომ სიცოცხლედ
სიცოცხლე ამდროს!?

თქვი, ღმერთს ნაკრძალი სად გავუშენოთ,
აქეთ რომ წარბის აწევით მიხმე.
როდი გავყვები ბილიკს უშენოდ,
მგლის მუხლი გაქვს და სადაც შენ — იქ მე!

ტყე ისევ თუ არ გაუდაბურდა,
ჯიხვს თუ არ ელის სალი-პიტალო,
თოფის ხმა სოფელს რომ დაუბრუნდა
ცას ახლის: — მეც ვარ ამ სოფლიდანო...

სხვა რაღა გვამცნო, მაშ, გამოცანამ,
ბნელსაც ვეფხვივით ფლეთს განთიადი
და ვაზნებს კვლავაც შევიცვლით, სანამ
არ შეგვეცვლება თვით ხასიათი!

მაშ, წყარო ნაპრალს არ დავადინოთ
და არ შევუნთოთ ცეცხლი სტრიქონებს —
სამთოდ, საამოდ და სანადიროდ
კაცი უკეთესს რას მოიგონებს!

### IV

— ჰაი, ჰაჲ, რომ კაცი ის არის,
ვინც სანადიროდ მიიწევს მთა-მთა,
მაგრამ ბუნების, ვით გულთმისანის,
გვწამდეს, ვით მთიელ წინაპარს სწამდა!

სოფელი ზრუნვამ და თადარიგმა
კვლავ აღამაღლა, იტყვის მთამსვლელი,
მაგრამ ვით ვეფხვი — ისე კაი ყმა
ვაჰთუ თითზეა ჩამოსათვლელი...

არა: ცა ჯიხვმა რქით გაარღვია
და თავს დაადგა ტყეებს ირემი,
ჩვენ სხვა სახელი ახლაც არ გვქვია —
ბუნებით ჩვენც ვართ მონადირენი...

ბუნების ძალთა სჯა-განაჩენი
დამლოცველია ახლაც იმ ხელთა,
იმ გულითაა ციხეც ნაშენი,
დედა რომ იავნანით გვიმხელდა...

მონადირეთა თავგადასავლის
შესადარისი რა გაგვაჩნია —
ვეფხვია თვითონ სიშმაგე ჯავრის,
მაგრამ კაცს ვეფხვი გაუხანჯლია!

ის დილა მთიდან მთაზე გადაგვაქვს,
ვენდეთ ორლულას, თოფს, ვინადირეთ.
ჰგავს დილა დაჭრილ ვეფხვს
თუ არა ჰგავს —
დარჩეს მთის ზღაპარს, მთის სინამდვილედ.

ვინ იცის, ვეფხვი ვის დაერქმევა,
ვის მოყმე — ვინმე იმავ გუნების...
აქ მე ჩემს თავსაც ვგულისხმობ, მე ვარ
მალექსებელი ხომ ძველ თქმულების.

### V

„ვისაც მოუკლავს, კვლავაც ის მოკლავს“,
მღერის ამაყად ყველა მთიელი.
და გავიხსენოთ, რომ ამ კილოკავს
აქვს მთვარისა და მზის სარბიელი...

ჰორიზონტზეა მზე გადასული,
სადღაც დრო გაწყდა, სადღაც იელვა
და მთა-მთა შენი სვლა ვაჟკაცური
ჩაკლა დუშმანმა გადამთიელმა...

ნუ გიკვირს, ნიკოვ, კვლავ თუ ვიხსენებ
წუთს, როცა მკერდზე თოვლი გეყარა,
როცა პირჯვარი გადაიწერე
და მკვდარმაც აღარ დათმე ქვეყანა...

სიკვდილიც ნახე, სიცოცხლეც ნახე
მკვდრებში საკაცით გადასროლილმა.
„— ეჰეით!“ — მაინც მთებს გადასძახე
ძვალ-ცივმა, უკვე გადათოვლილმა.

„ეჰეი“ — სულის ამოთქმაც არის,
ხმა თუ ნეკნებში აღარ ეტევა
და კავკასიის ქედზე ლაშქარის
ათასხმოვანი მძლავრი შეტევაც!

„ეჰეი“, ახლა განა შენს წარსულს
არამედ ახალ გზა-კვალს ვუყურებ,
განმეორებით ამ ქედზე ასულს,
რომ შემახვედრა მე საუკუნემ!

### VI

ვისი მზერა და ვისი დარდია,
აქ რომ თენდება, აქ რომ ბინდდება!
მართლაც მფეთქავი განთიადია,
ცას რომ ხოხობი შეაფრინდება.

ვისია, ვისი, რომ გადირეკა
ჯოგი აქ ცამდე აწვდილმა ბუკმა.
მისდიე კვლავ, თუ მონადირე ხარ,
იხაროს შენმა თვალ-წარბის შუქმა!

გადათოვლილი მგლის კვალი ახლაც
სად მიმალულა, სად მიგვიგნია...
მუხლს გაგვისინჯავს უბრალო დაღლაც,
ჩვენ კი ჩამუხლვა არც გვიფიქრია...

და ღმერთო, ისე ნუ მომახუცებ,
თოფს ვკითხო: ბიჭო, რამ გაგაჩუმა,
არ გაგიფრინდეს ჭახჭახით უცებ —
დღე ამოიღე ნიშანში უმალ!

ისე რომ უკვე არ უთხრა გულსაც,
უკანასკნელი ვაზნა ვისია,
ამ ტყე-ღრეებში ამ გაზაფხულსაც
ვინც ინადირებს — ალალმისია.

მღვიმეში ცეცხლი მეც დამინთია,
ვტარიელობდი, ვავთანდილობდი.
შენ, მე და ბადრი, მე და მინდია
და მე და ჯარჯი აქ ვნადირობდით...

# ქართველები ტიუმენში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხი საუკუნეა, რაც მდინარე ტურის ნაპირზე დგას ურალის ქედის იქით პირველი რუსული ქალაქი ტიუმენი, რომელმაც ძველი სავაჭრო გზებით ერთმანეთს დააკავშირა ევროპა და აზია. ეს ქალაქი დღეს სამართლიანად ითვლება დასავლეთ ციმბირის რეგიონში ნავთობ-გაზის საბაზო ქალაქად.

რუსეთის პირველმა მეფემ ივანე მეოთხემ იმთავითვე დაიწყო ახალგაზრდა სახელმწიფოს ტერიტორიის გაფართოება აღმოსავლეთით — ურალისა და ციმბირის შემოერთებით.

ციმბირი — „შიბერი"—პირველად მოიხსენიება მონგოლეთის ქრონიკებში ჯერ კიდევ 1240 წელს. შემდეგ ეს სახელწოდება მთლიანად მიეკუთვნა ამ უზარმაზარ მხარეს. დასავლეთ ევროპის რუკაზე ციმბირი 1367 წლიდან ჩნდება, ხოლო რუსეთის მატიანეში სახელწოდება „ციმბირის მიწა" XV საუკუნიდანაა ცნობილი.

XVI საუკუნის შუახანებიდან ციმბირის სახანოს მართავდა თათართა ხანი კუჩუმი. იგი შეუბრალებლად ჩაგრავდა ადგილობრივ მოსახლეობას, ამასთან იღებდა დიდ ხარკს ძვირფასი ბეწვეულის სახით. გაყოყოჩებულმა კუჩუმმა მოკლა რუსი ელჩი და გაწყვიტა კავშირი მოსკოვთან.

ცბიერი და დაუნდობელი კუჩუმი ყველასათვის საშიში და სერიოზული მოწინააღმდეგე გახდა.

იმხანად მდიდარი მამულების მქონე ვაჭრებმა — სტროგანოვებმა, რომლებსაც დიდად სწყალობდა მეფე ივანე მეოთხე, მოსკოვის ნებართვით დაიქირავეს კაზაკების რაზმი მამაცი მეომრის ერმაკ ტიმოთეს ძის მეთაურობით, მასვე გადასცეს რამდენიმე თავიანთი რაზმიც, მოამარაგეს დენთით, ტყვიით, ზარბაზნებით, პურით და საბრძოლო გზა დაულოცეს. ერმაკმა კუჩუმის წინააღმდეგ დაძრა ჯარი და 1581-1582 წლებში იგი რამდენიმეჯერ სასტიკად დაამარცხა. თათართა შეუპოვარი ხანი ფარ-ხმალს როდი ყრიდა; იგი აწყობდა ჩასაფრებებს და ერმაკზე მოულოდნელ თავდასხმებს. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის დროს, თავის გადარჩენის მიზნით ერმაკი მდინარეში შეცურდა, რათა როგორმე ნავამდე მიეღწია, მაგრამ მძიმე აბჯარმა იგი ჩაძირა და დაახრჩო.

რუსმა მეომრებმა დაიცვეს და განამტკიცეს ერმაკის გამარჯვებები, ამასთან, გადაწყდა, დასავლეთ ციმბირის ერთ-ერთ ყველაზე სტრატეგიულ ადგილას აგებულიყო ახალი ციხე-ქალაქი რომელიც საიმედო დასაყრდენი გახდებოდა რუსეთის ხელისუფლებისათვის.

სწორედ ამ მოსაზრებით 1586 წლის 29 ივნისს დანიელ ჩულკოვმა წერილობით გააფორმა ქალაქ ტიუმენის დაარსება. ტერიტორიის გაფართოებამ, წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა შემდგომში ამ ქალაქის მშენებლობას.

ტიუმენის ბედნიერი მომავალი, მისი აყვავება და განაშენიანება მჭიდროდაა დაკავშირებული საბჭოთა ხელისუფლებასთან, რომელიც აქ 1918 წელს დამყარდა.

1944 წელს შეიქმნა ტიუმენის ოლქი. ამ დროიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ოლქის ცენტრის — ქ. ტიუმენის განაშენიანების არქიტექტურულ მხარეს. კეთილმოწყობილი ქუჩები, მოედნები, ადმინისტრაციული და საცხოვრებელი სახლები, უმაღლესი, საშუალო და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები, სამშენებლო, სამრეწველო და სავაჭრო ობიექტები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა ფართო ქსელი, ბიბლიოთეკები ამშვენებენ დღეს ქალაქს, რომელიც სწორედ წელს, ივნისში, ახალი შრომითი შემართებითა და მიღწევებით ხვდება თავისი არსებობის 400 წლისთავს...

* * *

სამ საათში უკვე ტიუმენის ცენტრალურ აეროდრომზე „როშჩინოზე" დავეშვით. ქუჩაში გავედით თუ არა, ჩემმა თანამგზავრმა თენგიზ ბაბაიანმა სიხარულით წამოიძახა: „ჩვენი ხელმძღვანელიც აქ არის, ნეტავ ვის დახვდა?" ლურჯ „მოსკვიჩთან" საშუალოზე ოდნავ მაღალი, ჩასხმული, საოცრად ენერგიული გამომეტყველების კაცი იდგა და ჩამოსულ მგზავრებს ათვალიერებდა, ვიღაცას ეძებდა.

თენგიზმა მასთან მიმიყვანა. ასე გავიცანი საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის სახელობის დამკვრელურ-კომკავშირული რაზმის — „საქტიუმენმშენის" მუდმივმოქმედი მატარებლის უფროსი ინჟინერი ავთანდილ ნიკოლოზის ძე ბუზალაძე.

— კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება, ჩვენი ბიჭები მართლაც იმსახურებენ პრესის ყურადღებას. — მითხრა მან გაცნობისას და დასძინა: თბილქალაქპროექტიდან სტუმრებს ველოდები, აი, ისინიც გამოჩნდნენ.

— ლეილა გოგიაშვილი, ქალაქპროექტის მე-10 სახელოსნოს ინჟინერ-მთავარი სპეციალისტი და ამავე სახელოსნოს მთავარი არქიტექტორი გიორგი ყიფიანი. — გამაცნო ისინი ავთანდილმა.

მანქანა დაიძრა.

— პროექტი ჩამოიტანეთ? — პირდაპირ საქმეზე გადავიდა ავთანდილი.

— რა თქმა უნდა. — უპასუხებს გიორგი.

— აქ ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ ფასადს, როგორ გამოიყურება იგი?

— გათვალისწინებულია ადგილობრივი კლიმატური პირობები, ვფიქრობ, მოეწონებათ ჩვენი პროექტი.

— ძალიან კარგი. — კმაყოფილია მასპინძელი, თან განაგრძობს, — დღეს თათბირია „ციმბკომპლექტმონტაჟის" გაერთიანებაში, თქვენც უნდა დაესწროთ, პროექტსაც ვაჩვენებთ.

თათბირზე მეც მიმიწვიეს.

სათათბირო ოთახში შეკრებილიყვნენ გაერთიანების თანამშრომლები: უფროსი ინჟინერი სვეტლანა ბონიკაროვა, მექანიზაციის სამმართველოს უფროსი ალექსანდრე მოროზოვი, კაპიტალური მშენებლობის განყოფილების გამგე პეტრე მანდროვი, მთავარი ენერგეტიკოსი ივანე კრივონოსოვი, სხვა სპეციალისტები. თათბირი მიჰყავდა გენერალური დირექტორის მოადგილეს მშენებლობის დარგში არკადი გენკინს. იგი ჯერ პროექტით დაინტერესდა. მისი ჭკვიანი თვალები, ლოგიკური მსჯელობა და დასაბუთებანი ყველას სიმპათიით განაწყობდა მისდამი.

არკადი გენკინს პროექტი მოეწონა, ქართველი არქიტექტორები შეაქო და საქმიან საუბარზე გადავიდა.

მშენებლობის ტექნიკური მომარაგების საკითხი პირველი იყო. ავთანდილმა ძირითადი პრობლემებით დაიწყო:

— ამ დღეებში საძირკვლის ჩაყრას უნდა შევუდგეთ, რისთვისაც საჭიროა სამი კოშკურა ამწე მაინც. საქართველოდან ექვს ამწეს ველოდებით, სამს ამ თვის ბოლომდე მივიღებთ, მაგრამ მანამდე?

— მე დაგეხმარებით, ტექნიკას მოგაშველებთ,— საუბარში ჩაერთო ალექსანდრე მოროზოვი. ავთანდილს თვალები გაუბრწყინდა, — დიდად დაგვავალებთ, ალბათ ამ საკითხზე კონკრეტულად თქვენთან, სამმართველოში აჯობებს საუბარი.

— კარგი იქნება, იქ ყველაფერზე მოვილაპარაკებთ, დროზეც შევთანხმდებით, — დაუდასტურა მოროზოვმა.

თათბირი ნახევარ საათში დამთავრდა და კონკრეტულად გადაწყდა, თუ რა დროში უნდა შეასრულონ სამუშაოები მოიჯარადრეებმა, როდის უნდა დამონტაჟდეს კოშკურა ამწეები, როდის დამთავრდეს რკინიგზის ჩიხის მოწყობა, რათა დაიცვან შემოზიდული ტექნიკა და სამშენებლო მასალები. აქვე განიხილეს და მოაგვარეს სამუშაოს ორგანიზაციის პროექტის, კვების, სატელეფონო კავშირების, ტრანსპორტის, ხსნარისა და ბეტონის დამზადების საკითხები, შეთანხმდნენ შენობის პროექტზე. ახლა კი მთავარი იყო თათბირიდან პრაქტიკულ საქმიანობაზე გადასვლა.

მეორე დღეს მომავალი შენობის ადგილსამყოფლის სანახავად გავემართეთ. ოპერატიულობამ გამაოცა. გუშინდელ თათბირს შედეგი უკვე გამოელო: მებულდოზერეებს მიწა თოვლის საფარისაგან გაეწმინდათ და საძირკვლისათვის მიწის ამოსაღებად მოემზადებინათ.

— ახლა კი ჩვენი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას გაჩვენებ, ნახე, როგორ მუშაობენ ჩვენი ბიჭები, — მითხრა ავთანდილმა.

— ცხრასართულიან შენობას მივადექით. ბიჭები სატვირთო მანქანიდან აგურის ბლოკებს ცლიდნენ, ზოგიც შენობის შიგა სამუშაოს ასრულებდა, ვინ კარ-ფანჯარას სვამდა, ვინ ტიხარს აგებდა, ზოგსაც ელექტროგაყვანილობა გაჰყავდა...

* * *

გასული წლის სექტემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი ტიუმენის ოლქს ეწვია. ტიუმენისა და ტომსკის ოლქების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: „ნავთობისა და გაზის მომპოვებელი მრეწველობა ჩვენი ეკონომიკის საბაზო დარგია, ხოლო დასავლეთ ციმბირის კომპლექსი — ამ დარგის გული. მისი მუშაობის რიტმი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მთელი სახალხო მეურნეობის წარმატებებს. აი რატომ არის, რომ პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში ამ კომპლექსის განვითარებას უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება".

ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა იმავე აქტივის კრებაზე ხაზგასმით აღნიშნა:

„ამას წინათ მოწონებულ იქნა საქართველოს, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, სომხეთისა და თურქმენეთის ინიციატივა, რომ მეთორმეტე ხუთწლედში ამ რესპუბლიკების სამშენებლო ორგანიზაციებმა მონაწილეობა მიიღონ დასავლეთ ციმბირში საცხოვრებელი სახლების, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, საავტომობილო გზების მშენებლობაში".

ასე შეიქმნა და დაკომპლექტდა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის სახელობის „საქტიუმენმშენის" მუდმივმოქმედი მატარებელი, რომლის უფროსადაც დაინიშნა გამოცდილი და ენერგიული სპეციალისტი კომუნისტი ავთანდილ ნიკოლოზის ძე ბუზალაძე.

* * *

დიდი და სახელოვანი შრომითი გზა განვლო ავთანდილმა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1960 წელს, იგი მუშაობას იწყებს რუსთავში ინჟინერ-მშენებლად, სამუშაოთა მწარმოებლად, ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტში სახლთსაშენებელი კომბინატის მთავარ ინჟინრად, 1970-1974 წლებში ავლანეთის ახალმშენებლობებზე მუშაობდა. 1974-1977 წლებში იყო № 14 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს საგეგმო-ტექნიკური განყოფილების უფროსი, მუშაობდა გროზნოს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში, „თბილისქალაქმშენის“, „კავკასელექტროქსელმშენის“ გაერთიანებაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, უკანასკნელ ხანს იყო თბილისის № 14 სახლთსაშენებელი კომბინატის მთავარი ინჟინრის მოადგილე.

ამ ძუნწი ცნობების უკან დგას დაძაბული შრომით განვლილი წლები, მრავალი უძილო ღამე. ყველგან, სადაც კი ავთანდილ ბუზალაძეს უმუშავია, ახსოვთ მისი გულისხმიერება, პრინციპულობა, მომთხოვნელობა როგორც თანამშრომლების, ისე საკუთარი თავის მიმართ, ის საქმიანი განწყობილება, რითაც იგი მუხტავდა და მუხტავს თავის ირგვლივ მყოფ ყოველ თანამოსაქმეს. ამ თვისებების გამო უყვართ იგი „საქტიუმენმშენის“ წევრებს, ენდობიან და მიჰყვებიან მას, როგორც ნიჭიერ, უნარიან, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზატორს...

— ფრთები შემასხა მაღალმა ნდობამ. საშუალება მომეცა, ერთხელ კიდევ გამომეცადა თავი და ჩემი შესაძლებლობანი იქ, ციმბირის მიწაზე, სადაც უნდა ვყოფილიყავი ჩემი რესპუბლიკის წარმომადგენელი და გამომევლინა ჩემი ხალხის საქმიანი თვისებები, ინტერნაციონალური მეგობრობის მაღალი გრძნობები. ერთი სიტყვით, აქ მე ჩემი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულმა ჩამომიყვანა. — მეუბნება ავთანდილი, — ტიუმენში პირველად გასული წლის 25 ოქტომბერს ჩავედი. დავათვალიერე ქალაქი, ჩვენთვის გამიზნული სამშენებლო კვარტალი...

ის ფაქტი, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელობის სურვილი იყო ქალაქ ტიუმენში — საოლქო ცენტრში, ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ უბანში, მშენებლობა სწორედ საქართველოს წარგზავნილებს დაკისრებოდათ, თავისთავად ბევრს ავალებდათ ქართველ მშენებლებს.

დასამალი როდია, რომ ტიუმენი მათთვის მძიმე მხარეა, ასეთ პირობებში მუშაობას როდი არიან ჩვეულნი. გრძნობდა ავთანდილი, რთული პირობები ქართველი ბიჭების გამოცდა იქნებოდა. ამას კი დიდი გარდატეხა უნდა მოეხდინა კოლექტივის ყოველ წევრში, რომელთა შერჩევა-დაკომპლექტებაც მას დაევალა. დღეს თამამად უნდა ითქვას, რომ ბიჭებმა ნდობა გაამართლეს.

მან იქ ნახა, თუ როგორ მუშაობდნენ 25-გრადუსიან ყინვაში ადგილობრივი მშენებლები, მაგრამ არ შეშინებია, პირიქით, რწმენა მისცემია, რომ საქართველოს წარგზავნილები სხვაზე ნაკლებად არ ისახელებდნენ თავს.

მას შემდეგ კიდევ სამჯერ ჩასულა ტიუმენში, რათა მოეგვარებინა ორგანიზაციული საკითხები, ხოლო მიმდინარე წლის 15 იანვარს 30-კაციანი ჯგუფით გეზი ტიუმენისაკენ აუღია. სხვათა შორის სწორედ იმ დღეს დანიშნულა ახალი საჰაერო მარშრუტი — თბილისი-ტიუმენი-ნოვოსიბირსკი.

— ჩვენს ბიჭებს არასოდეს დაავიწყდებათ ის თბილი შეხვედრა-გაცილება, რომელიც საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში მოგვიწყვეს, — ამბობს ავთანდილი, — იქ ჩვენი მისამართით თქმული ყოველი სიტყვა რაზმის წევრებმა აღიქვეს, როგორც სამშობლოს დავალება, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობითა და რწმენით რომ გვავსებს. ტიუმენში ჩავფრინდით თუ არა, იმდენად მომზადებული და ორგანიზებული გვქონდა ყველაფერი, რომ მუშაობას მეორე დღესვე შევუდექით. გადმოგვეცა ჩვენთვის საცხოვრებლად გამიზნული 140-ბინიანი დასამთავრებელი კორპუსი. დროებით კი შევსახლდით არენდით აღებულ ბინაში, სადაც ჩვენი ადმინისტრაციაც მოთავსდა...

მთავარი სიძნელე მაინც ზამთარი გამომდგარა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ, პირიქით, ყოფილა დღეები, როცა 30-გრადუსიან ყინვაში მათ გარდა თურმე არც ერთ ობიექტზე არ მუშაობდნენ. სწორედ მაშინ უგრძნია ავთანდილს, რომ ასეთი ახალგაზრდების იმედით ყველა სიძნელის გადალახვა შეიძლება...

საღამოს ბინებში მოვინახულე ახალგაზრდები. ზოგი ტელევიზორს უყურებდა, ზოგიც ჭადრაკსა და ბილიარდს თამაშობდა.

— რას ფიქრობთ, როდის გაუშვებთ სახლს ექსპლოატაციაში? — ვკითხე ავთანდილს.

— ალბათ სულ მალე, რამდენიმე კვირაში. იქ გათვალისწინებულია კეთილმოწყობილი მუშათა სასადილო, წითელი კუთხე, მედპუნქტი, ბიბლიოთეკა, კინოსტაციონარი, რამდენიმე სასტუმრო ნომერი, კომენდატურა. მაგრამ პარალელურად ჩვენ უკვე დავიწყეთ ახალი მშენებლობა. წელსვე ავაგებთ 7-სადარბაზოიან 15 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლს. სულ კი ხუთწლედში უნდა ავაშენოთ 95 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი, ანუ უნდა შევასრულოთ 41 მილიონი მანეთის სამუშაო...

— მხარში გვიდგას და გვეხმარება თბილისის საპროექტო ორგანიზაცია, — აგრძელებს საუბარს ავთანდილ ბუზალაძე, — კერძოდ, თბილქალაქპროექტის მე-10 სახელოსნო, რომელსაც ჩინებული სპეციალისტი ზურაბ ზურაბაშვილი თავკაცობს. დიდ დახმარებას გვიწევს მშენებლობის სამინისტრო, რომელიც უკვე შეუდგა ტიუმენის კლიმატური პირობების გათვალისწინებით სპეციალური ყალიბების დამზადებას, რადგან ჩვენი მშენებლობის ნორმები (40 სმ. სისქის კედელი) აქ საკმარისი არ იქნება. ახალი ყალიბებით 60 სმ. სისქის ბლოკები დამზადდება, შენობას ექნება სამმაგი შემინვა. ყოველივე ეს კი გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ მისი გადალახვის გზები უკვე მიგნებულია...

ტიუმენში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობის ფასადს. იგი შეღებილი უნდა იყოს გამძლე საღებავით ან შეფეთქილი ქვის ნაფხვენებით. ავთანდილ ბუზალაძეს შემუშავებული აქვს უფრო პროგრესული და თანამედროვე, გამძლე ფასადის შეფერვის მეთოდი, რომელსაც გამოიყენებს მიმდინარე მშენებლობებზე. ეს არის ეგრეთწოდებული ლატექსი (წებოვანი მასალა), რომელიც მტკიცედ აერთებს მინის ნამცეცებს და ქვის ნაფხვენებს. ასეთი წესით შეფეთქილი ფასადი უფრო ლამაზი, მიმზიდველი და გამძლეა...

* * *

იმ საღამოს საერთო კრება ჩატარდა. ვუსმენდი ახალგაზრდებს და გული სიხარულით მევსებოდა. გატაცებით საუბრობდნენ მშენებლობაზე, მათ გეგმებზე. ყოველ გამოსვლაში იგრძნობოდა რწმენა და ოპტიმიზმი, სიყვარული პროფესიისადმი.

— ყინვები ხომ არ გაშინებთ, ბიჭებო? — ვიკითხე.

— არა, წელს, როგორც აქაურები ამბობენ, შედარებით თბილი ზამთარი იყო და ამ სითბოს ჩვენ გვიმადლიან — საქართველოდან ჩამოგვიტანეთო. — თქვა ბესარიონ გუჩაშვილმა.

— ზამთარში არ გაგვჭირვებია, — სიტყვა ჩამოართვა მეგობარს ნიკო ანდღულაძემ, — ამბობენ, ზაფხული უფრო ძნელიაო, აქ თურმე ორდიფერიანი კოღოები სცოდნია.

— რაიმე პრეტენზია თუ გაქვთ, თქვით, ნუ მოგერიდებათ, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს მოსაწყობ-მოსაგვარებელი. — გაამხნევა ახალგაზრდები ავთანდილმა.

— არ ვღებულობთ ქართულ პრესას. კარგი იქნება, თუ ამ საქმეს მოგვიგვარებთ. — სთხოვა ავთანდილ ჭელიძემ.

— სწორია. ვეცდები, ეს საკითხი უახლოეს მომავალში მოვაგვარო. — ჩაინიშნა ავთანდილ ბუზალაძემ ბლოკნოტში.

— რატომ ფერხდება სიმღერის ანსამბლის ჩამოყალიბება? — იკითხა მალხაზ მარჯაროვმა.

— ეს საქმე დათო ბედოშვილს დაევალა. როგორ არის, დათო, საქმე? — ეკითხება მეგობარს მალხაზ დვალიშვილი.

— სულ მალე ჩვენი ანსამბლი რეპეტიციას შეუდგება და ახლო მომავალში ალბათ სხვა მშენებლებსაც ვესტუმრებით კონცერტით.

— ბატონო ავთანდილ, საჭიროდ მიმაჩნია სოციალისტური შეჯიბრების გაშლა. რაც უფრო ადრე შევძლებთ ამას, მით უფრო მეტი ნაყოფიერი იქნება ჩვენი მუშაობა. — შემოიტანა წინადადება კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ოთარ დვალიშვილმა.

კრებამ მოიწონა წინადადება და გადაწყდა ამ საჭირო საქმის უახლოეს დღეებში მოგვარება...

კრების შემდეგ კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ მე და ავთანდილმა. თავისთავზე ძუნწი მოსაუბრე საქებარ სიტყვებს არ იშურებს კოლექტივის წევრებზე.

— თითოეული მათგანი რამდენიმე პროფესიას ფლობს, იციან დურგლობა, შელესვა, კაფელის გაკვრა, ლინოლეუმის დაგება, სანტექნიკა, ლიფტის დამონტაჟება, ელექტროსაქმე. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც მშენებელს სჭირდება. — ამბობს ავთანდილი და დასძენს, — აქ არიან გამოცდილი მუშები, ისეთებიც კი, რომლებიც ბამის მშენებლობაში მონაწილეობდნენ, კერძოდ, გიორგი თარხნიშვილი და ოთარ დვალიშვილი. დიდი მონდომებით ირჯებიან ჯონი გაზაშვილი, პაატა ჩიჩხაშვილი, დათო ბედოშვილი, თენგიზ ბაბაიანი, ოლეგ სერედა, ავთანდილ აღდგომელაშვილი. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ისე კი ყველა იმსახურებს ქებას და წახალისებას. მალე კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენი სამშენებლო რაზმი. საცხოვრებელ ბინას რომ დავამთავრებთ, კვლავაც მოვიწვევთ ახალგაზრდებს. წელს მათი რიცხვი 200 კაცამდე უნდა გაიზარდოს, მომავალ წელს კი ჩვენს რიგებში 500 მშენებელი იქნება.

ამაყობს თავისი მუდმივმოქმედი მატარებლის წევრებით ავთანდილი, ეამაყება ის ფაქტიც, რომ სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღეს, 25 თებერვალს, თითოეულმა მათგანმა ერთი დღის შრომითი შემოსავალი მშვიდობის ფონდში ჩარიცხა.

ახალგაზრდებს სათავეში უდგანან გამოცდილი სამუშაოთა მწარმოებლები. ლევან საჩეჩელაშვილი ჯერ კიდევ 1966 წელს ტაშკენტში იმყოფებოდა, რათა მიწისძვრისაგან დაზიანებული ქალაქის აღდგენა-მოწესრიგებაში თავისი სიტყვაც ეთქვა. იგი იქაც სამუშაოთა მწარმოებელი იყო და ადგილობრივი ხელმძღვანელობის არაერთი მადლობა დაიმსახურა. მას მხარში უდგას შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი და უნარიანი თეიმურაზ მურცხვალაძე. დიდია მათი წვლილი ჩვენი ახალგაზრდობის ჩამოყალიბებაში, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაში...

სუფთა ჰაერზე გამოვედით. ავთანდილმა სიგარეტი გააბოლა და თოვლით დაფარულ ვრცელ და უკაცრიელ ველს გახედა. იქ მალე წამოიჭიმება მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინები, საბავშვო ბაღები, სავაჭრო, კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ბაღები და სკვერები, სპორტული მოედნები, გაშენდება ფართო და ნათელი ქუჩები, ივლის საზოგადოებრივი დანიშნულების ტრანსპორტი, ჟრიამულით ახმიანდება ეს მდუმარე ციმბირის მიწა და დალოცავენ ქართველი კაცის მარჯვენას, რომელმაც სიყვარულისა და ძმური მეგობრობის ძალითა და მადლით აქ სითბო და სიცოცხლე დაამკვიდრა.

გამარჯვებით გევლოთ, საქართველოს შვილებო!

**ტარიელ ხავთასი,**
„დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი.
ტიუმენი-თბილისი.

ოვანეს მელქონიანი

# ქვები





## მოთხრობა

ჩვენს გარეუბანში პური, საერთოდ, გვიან მოდიოდა. ჯერ ქალაქის მაღაზიებში მიჰქონდათ. ომამდე ასე იყო. ორმოცდაერთი წლის ზაფხულის დამლევს კი აღარც რაიმე წესრიგი არსებობდა. კარგა რომ მოშუადღევდებოდა, პურს მაშინღა მოიტანდნენ. ერთი წლის შემდეგ მხოლოდ საღამოობით მოჰქონდათ. კედელთან ატუზული ქალები, მოხუცები და ბავშვები ელოდებოდნენ და წარამარა ყვირილით ნოქარს ყურებს უჭედავდნენ:

— ქეჯეჯიან, პური როდის მოვა?..

— მოვა, — კარაპეტ ქეჯეჯიანი ყველას აიმედებდა, — მალე მოვა.

ერთთავად ეკითხებოდნენ, პური როდის მოვაო, პასუხსაც არ აგვიანებდა, მოვა, მალე მოვაო. ერთხელაც ქეჯეჯიანს მოჰბეზრდა, აღშფოთდა, ფანერის ნაჭერი აიღო, საჩვენებელი თითი მელანში ჩაყო და დააწერა:

„პური მოვა“.

და ფანჯრის წინ მიაკრა. ამასობაში რკინის გისოსებს ჟანგი მოსცილდა, გაშიშვლდა. რიგში მოჯიკავეთა გაძვალტყავებული ხელების ხახუნით მაღაზიის კედლები გადაიხეხა. ფეხქვეშ მიწა გაიტკეპნა, ოფლითა და ცრემლით მოირწყო. შავი იყო და გადათეთრდა.

მაგრამ ამ მკვდარ მიწაზეც ადგილის მკვიდრნი ჩამწკრივდებოდნენ და პურს ელოდებოდნენ. საღამო ხანს სანერგის გზაზე ერთცხენა ფორანი გამოჩნდებოდა. ბავშვები, მაღაზიისთვის ალყა რომ შემოერტყათ, ზეზე წამოხტებოდნენ, სიხარულით ტლინკებსა ყრიდნენ, „ვაშას“ ძახილით შესახვედრად გაცვივდებოდნენ. ხმაურზე რიგში მდგომნი შუბლით რკინის გისოსებს მიებჯინებოდნენ და ერთხმად შეჰყვირებდნენ:

— ქეჯეჯიან, მოვიდა!

— ქეჯეჯიან!..

ნოქარი მაღაზიის გვერდით ოთახში ცხოვრობდა — მთელი დღე ეძინა, შეეხმიანებოდნენ, გამოიღვიძე, პური მიიღეო. ამასობაში შიგნით კარაპეტიც ცოლს გასძახებდა:

— ეპრაქსი, მოსულა, აბა, საქმეს მივხედოთ!..

კედელთან ერთმანეთის პირისპირ მდგარი მამაკაცებისა და ქალების რიგები მჭიდროვდებოდა, მოკლდებოდა, კედელს ეკვროდა და მათი სუნთქვა ქვებსაც ოფლს ასხამდა.

— ხალხნო, ბავშვია, არ გაჭყლიტოთ, თქვე უსინდისოებო! — წინ მდგომნი ხშირად ასეთ ეშმაკობას მიმართავდნენ, უკანანი რომ დაეშვიდებინათ.

— ნუ აწვებით, ხალხნო!

რამდენიც არ უნდა გეთქვათ, ვინ იყო გამგონი, ვის რა ენაღვლებოდა, ბავშვი რომ იჭყლიტებოდა. ფანჯარას აწყდებოდნენ, საკუთარი წილი რომ რგებოდათ. ეს-ესაა მოახლოვდებოდა, სადაცაა მოაღწევდა ფორანიც, პურით ამოვსებული ფიცრის სტომაქი. ბორბლებსაც, მეფორნის მათრახსაც, ცხენსაც, ფრონტიდან მოყვანილ ბრმა, ჯაგლაგ ცხენსაც, ალვირსაც და მზესაც, ფორანს რომ ეცემოდა, პურის სურნელი ასდიოდა.

— ბავშვი!.. — კიოდა წინა რიგებში ქალი.

პურის სურნელი იყო ამ კივილშიც. კარაპეტ ქეჯეჯიანი დამჭკნარ ხელებს ფანჯრიდან გამოიშვერდა, პურს ლებულობდა, მეუღლეს აწოდებდა. შიგნით თითქმის ბნელოდა, ეპრაქსია ფუნჩულა ხელებს მრუმე სივრცეში აფათურებდა. პურებს ხის თაროებზე აწყობდა. ნახევრად ჩაბნელებული ოთახი პურის დაბრაწული ყუებისგან თანდათან ნათდებოდა. კი არ ბინდდებოდა, თითქოს თენდებოდა და მზეც ამოდიოდა. და, აი, ქეჯეჯიანი ორივე ხელის ათივე თითს რკინის გისოსებიდან უკანასკნელადაც გამოყოფდა. ამ ბებრულ ხელებს პურის სურნელი აღარ ასდიოდათ, უბრალოდ, პურიანი იყვნენ. თვალს ვერ ვაცილებდით, ხშირად გვესიზმრებოდა, ვითომ პურიაო.

— ვაი, ბავშვი!.. — ვინ იფიქრებდა, რომ ბავშვი მართლა ფეხქვეშ ისრისებოდა.

ქეჯეჯიანი კუთხიდან სასწორს ფანჯარაზე გადმოდგამდა. ცარიელი თეფშები ქანაობდნენ — ჯერ ჩვენს იმედს წონიდნენ. მერე ეპრაქსია მარჯვენა თეფშზე წვრილსაწონებს, მარცხენაზე კი პურს მოისვრიდა.

— ვაი, ბავშვი!..

კაცებმა და ქალებმა გაიწ-გამოიწიეს, ფანჯარასთან ეგდო მტვერში ამოგანგლული გულწასული ბიჭუნა — ხელში პურის ტალონი ეჭირა. დაშავებულიყო. კრიჭაშეკრულნი, საგონებელში ჩავარდნილნი ასე იდგნენ ერთხანს. შემდეგ გონს მოეგნენ, შიშითა და ძრწოლით ერთმანეთს საწყლად გადახედეს:

— რა იყო, რა მოხდა?..

სასწორის თეფშები ქანაობდნენ,

„ვინ იცის, ვინ იცის?“

ბრძოლის ველი შორსაა, ეს ტყვიაც უეცრად გამოტყვრა, რიგში მდგომ ამ ბიჭუნას მოხვდა. დაჭრა.

სასწორის თეფშები ქანაობდნენ.

„ვინ იცის, ვინ იცის?“

ნოქარი ქეჯეჯიანი, შიგნით პურებს რომ ითვლიდა და ვერაფერი გაიგო, ფანჯარას მიუახლოვდა:

— ვისი რიგია? — იკითხა.

აქამდე გაშტერებულნი რომ იდგნენ, თითქოს გამოერკვნენო, წინ წამოდგნენ და თქვეს:

— ჯერ ამ ბიჭს მიეცი...

გარეუბნის რწმუნებულმა და რამდენიმე სხვა კაცმა ბიჭუნა წაიყვანეს, დედას მიჰგვარეს, პურიც გადასცეს და ანუგეშეს, არაფერია, ბავშვია, ძვალი მალე შეეზრდებაო.

ამ საბედისწერო შემთხვევის შემდეგ რწმუნებულის სახლში შეიკრიბნენ, ასეთ „უმსგავსობას“ ადგილი რომ არ ჰქონოდა და წესრიგი დამყარებულიყო. რწმუნებულმა ბაგრატმა კრება დახურა და თქვა:

„ბოლოს და ბოლოს, ჩვენც კაცნი ვართ!..“

დეკემბრის დამლევს მოთოვა. ჩვენს გადაუხურავ ოთახშიც თოვლი დადო. მერე ძალიანაც ციოდა. ნოქარ ქეჯეჯიანის ჭერქვეშ ზამთარი უფრო მკაცრი იყო, ვიდრე, ვთქვათ, სადმე, ცოტა იქით. დილიდან საღამომდე, სანამ პური მოვიდოდა, რა გაგვაძლებინებდა. და ჩვენს შორის აღმოჩნდა კაცი, — პარტიზაკელი კოსტანი გახლდათ, — გამოსავალი რომ გამონახა, თორემ ბევრს, ალბათ, ცხვირი, ყური მოსძვრებოდა და რას დაემსგავსებოდა. ერთ ასეთ დილას პარტიზაკელი მაღაზიაში შემოვიდა — ზურგზე უბრალო ქვა აეკიდა, ზედ თავისი სახელი „კოსტანი“ ამოეკვეთა. ქვა ჩამოიღო და იკითხა:

— ბოლო ვინაა?..

— მე ვარ, — მიუგო აბრამმა და გაკვირვებულმა ქვასა და მასზე გამოსახულ ასოებს შეხედა. პარტიზაკელი გუშინ ჭკუაზე იყო, დღეს რა ღმერთი გაუწყრაო. ერთხანს პირდაღებულნი მისჩერებოდნენ. დასცინოდნენ. კოსტანი კი დაიხარა. ქვა კედელთან მიდო და ხალხს გაშორდა.

— საწყალი, შეშლილა! — თვალები დააცეცა აბრამმა.

— საით, კოსტან? — გასძახა ბაგრატმა.

— მე მანდ ვარ...

— მართლა გაგიჟებულა!..

—კოსტან, — ისევ დაუძახა რწმუნებულმა, — კოსტან, რა დაგემართა?.. მოდი, რიგში დადექი.

— ხომ გითხარით, მანდ ვარ-მეთქი, ვერა მხედავთ?.. მანდა ვარ. ეგ კოსტანი რიგში უნდა იდგეს, ამ კოსტანმა, — მკერდში მჯილი ჩაიკრა, — პური უნდა აიღოს და ჭამოს... ეგ კოსტანი სიცივეს გაუძლებს, ეს კოსტანი კი ვერა...

და კოსტანი შინ წავიდა. ხოლო რწმუნებულმა ბაგრატმა და სხვებმა ჩუმად თვალი გააყოლეს მის ფეხებს, მაკრატელივით რომ იხსნებოდნენ და თოვლის ფენას ჭრიდნენ.

ჩვენ გვციოდა, ქარბუქი სახეში გვცემდა, გვაბრმავებდა, შიმშილით კუჭი გვიხმებოდა და გულ-მუცელი გვეწვოდა. ტკბილ დღეებს ვიგონებდით, გაბოროტებულნი და თავგაბეზრებულნი ვიწყევლებოდით, ვხუმრობდით, ვიცინოდით, ვჩხუბობდით. ქვასავით მუშტებს ერთმანეთს ვუღერებდით, ვინმე ურიგოდ წასვლას თუ შეეცდებოდა. რწმუნებული ბაგრატი რომ გვეუბნებოდა, რადიომ



გამოაცხადა, გასულ კვირას ფრონტზე ამდენი და ამდენი ფაშისტი მოუკლავთო, გვიხაროდა, ხოლო თუ გვეტყოდა, ამდენი ჩვენიანი დალუპულაო, მოვიწყენდით, კოსტანი კი არა...

მეორე დღეს კოსტანის მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს — აბრამსაც ზურგზე ქვა აეკიდა, მძიმედ მოაბიჯებდა. დილა მშვიდობისაო, გვითხრა და იკითხა:

— ბოლო ვინაა?

ბოლო კოსტანი იყო და ხმა არ ამოიღო. რაკი ქვა იყო, ენა არ ჰქონდა, რა უნდა ეთქვა.

— ბოლო ვინაა? — აბრამმა გაიმეორა, დაიხარა და მიწაზე დაგდებული ქვა გაასწორა, ხელისგულით გადაწმინდა და ამოკვეთილი ასოები „აფრამ“ გაარჩიეს:

— ბოლო ვინაა?..

— კოსტანია, ვერ ხედავ? კოსტანია!

— ეგრე იყოს, კოსტანია თუ ფილიფოსი, ჩემთვის სულ ერთია, — აბრამმა ქვა კოსტანის გვერდით დადო, ამოიოხრა და ვაი-ვიშით გაშორდა.

— სად მიდიხარ? — რწმუნებულმა ბაგრატმა, გუშინდელივით ახლა აბრამს ჰკითხა.

— მე მანდ ვარ.

— აბრამ, კოსტანი შევიცოდეთ, ანგარიში გავუწიეთ, რა იქნება, წესიერად რიგში ჩადგე... — სერიოზულად დაარიგა რწმუნებულმა. — შენ ხომ შეგნებული კაცი ხარ. მოდი, დადექი.

— გითხარი, მანდა ვარ-მეთქი, ვერა მხედავთ?.. მანდა ვარ... ეგ აბრამი რიგში უნდა იდგეს, ამ ამბრამმა, — გულზე ხელი დაიდო, — პური უნდა აიღოს და ჭამოს. ეგ აბრამი სიცივეს გაუძლებს, ეს აბრამი კი ვერა...

და აბრამი წავიდა. ხოლო რწმუნებულმა ბაგრატმა და სხვებმა ჩუმად თვალი გააყოლეს მის ფეხებს, მაკრატელივით რომ იხსნებოდნენ, როგორც კოსტანისა, და თოვლის ფენას ჭრიდნენ.

იმ დღეს კიდევ ორნი — მნაცაკანის ცოლი მარგარიტა და მეშვიდეუბნელი ჰამაიაკიც ქვით მოვიდნენ. მათაც, კოსტანის მსგავსად, ქვების ზედაპირი გაეკრიალებინათ და ზედ თავიანთი სახელები ოკრობოკროდ ამოეკვეთათ. დღითიდღე ნოქარ კარაპეტ ქეჯეჯიანის კედელქვეშ ქვები მატულობდნენ, ადამიანები კი კლებულობდნენ.

ეს ჯერ კიდევ არაფერი იყო. მალე, უკვე მეორე კვირას, დიდრონი ქვები მოზიდეს და სხვადასხვა სახე მისცეს. გარეუბანში ყველაზე ღონიერ ქარშატ ბენიამინმა, შემდეგ სამშაბათს, ქეჯეჯიანის სახლის კედელთან მოათრია ხუთ ფუთზე არანაკლები სიმძიმის ქვა, რომლის ზედა ნაწილში ჯვარი გამოექანდაკებინა, შუაში კი თავისი სახელი „ბენიამინი“ ამოეკვეთა.

— ბენიამინ, ასეთი დიდი ქვა რამ მოგატანინა? — ჰკითხეს.

— დიდ ქვას ვერავინ დაძრავს და გადააადგილებს, — მიუგო.

— სამი-ოთხი კაცი პირს შეკრავს და მოხერხდება, — უთხრეს.

— ასე ერთი ჰკუისას სად მონახავ? — უპასუხა.

არამის ცოლმა სონამ კი თავისი ქვის ქვედა კუთხეში უცნაური სიტყვები ამოაკვეთინა. იგი წყევლაკრულვით ავსებდა და რისხვას ატეხდა თავზე იმ ადამიანს, ვინც შეეცდებოდა, მისი ქვის ადგილი შეეცვალა.

ნოქარ კარაპეტ ქეჯეჯიანის კედელქვეშ მართლაც სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა და მას, დღის საათებში, სანამ პური მოვიდოდა, მშვიდად ეძინა. ქვებს ზამთარში არ სციოდათ. ომზე ლაპარაკს არ ჩამოაგდებდნენ, არ ხუმრობდნენ. არ ჩხუბობდნენ. არ უხაროდათ, არ სწყინდათ. ერთმანეთს მუჯლუგუნებს არ ჰკრავდნენ, აღარც „უბედური შემთხვევა“ ხდებოდა, ბავშვი არ იგუდებოდა და ფეხქვეშ არ იჭყლიტებოდა. შიმშილი არ აწუხებდათ, პურითაც ვერ ძღებოდნენ. საფლავის ქვებია-მეთქი, — ვიფიქრე, — განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთნი სამარის ადგილზე, მეორენი კი ცოცხალი ადამიანების რიგზე მიგვანიშნებენ.

ეს ქვები ქეჯეჯიანის კედელქვეშ ჩაეწყვნენ და ნიადაგ სისხლს ვწოვდით, ხორცს ვაგლეჯდით, ვკოდავდით და, ამ წეწვა-გლეჯაში, ერთმანეთს ისე ვახეთქებდით, რომ გვერდები აღარ შერჩათ. ჩვენს ჩხუბსაც ბოლო არ უჩანდა, რადგან თანდათან პური კლებულობდა და ხალხი შიმშილით იხოცებოდა. დღე არ გავიდოდა, რომ ჩვენს რიგებს ვილაც არ გამოჰკლებოდა. ბოლმით ვივსებოდით, მე ჩემს ქვას უჩუმრად წინ ვწევდი ხოლმე. ერთხელაც ბენიამინმა შემნიშნა, თავისი მძიმე ქვა აიღო, ჩემს ქვას მიანარცხა და შუაზე გახეთქა.

— ახლა წადი, — მითხრა ბენიამინმა და მძიმე მუშტი თავში ჩამაფარა.

რწმუნებული ბაგრატი სომძარ ვითარებას გადმოგვცემდა, რადიოთი მოვისმინე, ამდენი და ამდენი ფაშისტი, ამდენი ჩვენიანი მოუკლავთ, დალუპულ ადამიანთა საერთო რიცხვი ამდენს შეადგენსო... ხალხს კიდევ ათასი სხვა უბედურება სჭირდა, მაგრამ რწმუნებული ამაზე ლაპარაკს საჭიროდ აღარ თვლიდა.

ომი დამთავრდა, პურის ნაკლებობა აღარ იგრძნობოდა, რიგი აღარ იდგა. ქვები კი აქა-იქ ეყარა. კარაპეტ ქეჯეჯიანი ნოქრად აღარ მუშაობდა, დაბერებულიყო. სახე ჩამოგრძელებოდა, ძლივს დაბანცალებდა, კარდაკარ დადიოდა და იძახოდა:

— ბენიამინ, მოდი, ქვა წაიღე!

— აბრამ, მოდი, ქვა წაიღე!..

— კოსტან... მეტი აღარ შემიძლია, — ემუდარებოდა კარაპეტ ქეჯეჯიანი, — ამ პურს გადამაყოლეთ, გული შემიჭამეთ, ახლა ქვები მაინც მომაცილეთ!..

ქვების პატრონთა უმეტესობა უკვე დაჩაჩანაკებულიყო, დავარდნილიყო, ხელ-ფეხი აღარ ემორჩილებოდათ, სარეცელს მისჯაჭვოდნენ და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდნენ. და, აბა, ხუთ წელს სევდისგან მილეული, მრავალჭირგამოვლილი, სისხლში ამოსვრილი, ცრემლში განბანილი ქვები როგორღა წაეღოთ?

— უსინდისოებო, ეზო სასაფლაოდ მიქციეთ, — კარდაკარ დადიოდა კარაპეტ ქეჯეჯიანი, — ქვები წააშავეთ! მომაშორეთ, სადაც გინდათ, წაიღეთ!.. ყვავილები უნდა დავთესო.

1948 წლის შემოდგომაზე ქეჯეჯიანი ჰკუაზე შეიშალა, ყოველ ცისმარე დღე ჩვენს შუკებში დასეირნობდა და თურქულ მოტივებზე სევდიანად ღიღინებდა:

— ჩემი კარი სასაფლაო არ გეგონოთ, უსინდისოებო, ქვები, ქვები, ქვები წაიღეთ! მომაშორეთ! მომაშორეთ!.. ყვავილები უნდა დავთესო...

ქვები ისე დიდხანს ეყარნენ, მიწაში ღრმად ჩაიჭედნენ და ჩვენც, ქეჯეჯიანის სახლთან რომ ჩავივლიდით ხოლმე, წუთით ვჩერდებოდით და თითით ვანიშნებდით ერთმანეთს:

— ის დიდი ბენიამინია.

— ეს კოსტანია.

— ეს აბრამია...

— ეს სონაა.

— ეს რწმუნებული ბაგრატია.

— სასაფლაოა, ცოცხლების სასაფლაო, ხი! ხი! ხი! ხი! — იცინოდნენ.

— ეს ეზეკიელია...

— ეს კი მე ვარ, მე!

სომხურიდან თარგმნა
მამიკონ თაქორიანმა.

ხუტა ბერულავა

# კიდევ ერთი ზღაპარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილ სტუმარსა და მოკეთეს რა გამოლევდა ლაუ ბიძიას ქოხში! ცოტა სიმღერა და ზღაპარი როდი გამიგონია მის ჭერქვეშ.

კარგი ზღაპარი არასოდეს ბერდებაო, ამბობდა ლაუ. ვინ იცის, იქნებ შენც დაგეჭდოს გულზე ხელმწიფის უმცროსი ასულისა და მისი ძმების ამბავი.

მაშ, ისევ წამყე, გოგა, ერთი გონიერი ხელმწიფის ქვეყანაში!

• • •

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხანდაზმული, ღვთისნიერი და, როგორც უკვე ვთქვი, გონიერი ხელმწიფე.

იმ ხელმწიფეს სამი ვაჟიშვილი ჰყავდა — ჯიბო, ჯვებე და ჯაბა. დედოფალს ბოლოს ქალიშვილიც შეეძინა, მაგრამ ერთ უბედურ დღეს მცირეწლოვანი შროშანა ცხრათავიანმა დევმა მოიტაცა თურმე.

რაღა მკვდარი და რაღა შინმოუსვლელი!

მთელი ქვეყანა დაიარეს ხელმწიფის კაცებმა, ეძიეს მბრძანებლის ასული, ცად აფრინდა თუ მიწამ ჩაყლაპა, ვერავინ გაიგო.

ჯავრს გადაჰყვა საცოდავი დედოფალი. არც ხელმწიფეს უცოცხლია დიდხანს. სიკვდილის წინ უფლისწულებს უხმო:

— შვილებო, თავის დროზე ყოველი სულიერი ხუჭავს თვალს, ქვა იფშვნება, მთა იშლება და ახოვანი მუხა მიწაზე ეცემა. რად უნდა იყოს გასაოცარი, მეც მალე გამოგეთხოვოთ და წინაპრების ნათელ კვალს დავადგე. ჩემი ქონების მეოთხედი შროშანას სახელზე დამიტოვებია, მის წილს ხელი არავინ ახლოს, დანარჩენი თქვენ გაიყავით ძმურად და პატიოსნად. აქამდე ჩემი ხათრით თუ შიშით, ჭკვიანად იქცეოდით. მომავალშიც არც სხვა დაჩაგროთ და არც ერთმანეთი... კიდევ მაქვს რამდენიმე სურვილი და ყურადღებით მომისმინეთო...

— ბრძანეთ, ხელმწიფევ, თქვენს ნებასურვილსა და ღვთის განგებას ვინ გადავაო, — მიუგო უფროსმა უფლისწულმა ჯიბომ.

— როცა მოვკვდები, ძველთაგან დადგენილი წესი შეასრულეთ: ქელეხში მხოლოდ ახლო ნათესავები და მეგობრები მოიწვიეთ. ჩემი სულის მოსახსენებლად შვიდი მომცრო ჭიქის მეტი ღვინო არ დაილიოს, თორემ სამოთხეში ვერ მოვხვდებიო...

— თქვენს ნება-სურვილს და ღვთის განგებას ვინ გადავაო, — სთქვა შუათანა უფლისწულმა ჯვებემ.

— სამი ძე მყავხართ, სასაფლაოზე სამი ღამე მაინც გამითიეთ, ავსული სიახლოვეს არ გამაკაროთ, მერე კი თქვენ ჯვარი გეწეროთო.

— თქვენს ნება-სურვილსა და ღვთის განგებას ვინ გადავაო, — მიუგო უმცროსმა უფლისწულმა.

— თუ მტერსა სძლიეთ, რაგინდ დიდი დანაშაული მიუძღოდეს თქვენს წინაშე, მეტისმეტად მკაცრად ნუ მოექცევით, პატიება და შეწყალება ჩვეულებაა ბრძენთა. ბულბულებსა და სხვა მგალობლებს მოეფერეთ, გული გაუხსენით. ოღონდ ეცადეთ, ბულბულს ბულბული უწოდოთ, ჩხიკვს — ჩხიკვი, კაჭკაჭს — კაჭკაჭიო...

გაოცებულმა ჯაბამ უნებლიედ იკითხა:

— მამავ და ხელმწიფევ, ნუთუ ასე ძნელია მათი ხმების ერთმანეთისაგან გარჩევა და განსხვავებაო.

ხელმწიფემ ალერსიანად გაუღიმა თავის უმცროს ვაჟიშვილს:

— ყველაზე ძნელი სწორედ ეს არის, შვილო! როცა ახალგაზრდა ვიყავი და გამოუცდელი, აკვიატებული აზრი ხშირად მიხშობდა ყურთასმენას, ჩხიკვისა და კაჭკაჭის ხმები უფრო მომწონდა, ვიდრე ბულბულისა. ეს კი დიდი ცოდვაა, უფლისწულებო! — ბრძანა ხელმწიფემ და გულზე ხელები დაიკრიფა.

ხელმწიფის დაკრძალვა-გაპატიოსნება ჯაბამ ითავა. ქელეხში მხოლოდ ახლო ნათესავები და მეგობრები მიიწვია. ჭირის სუფრაზე, ცხადია, შვიდ სასმისზე მეტი არ დალეულა...

საღამო ჟამს ჯაბამ შეახსენა უფროს ძმას:

— პირველი ღამისთევა შენ გეკუთვნის, ჯიბო ბატონო, და ამაღამ მამა-ხელმწიფის საფლავს უდარაჯეო...

უფროს ძმას გული მოუვიდა:

— მომწყდი თავიდან, გლახავ და მათხოვარო, შენ ვინა გკითხავს, რასაც ვიზამო.

ადგა უფლისწული ჯაბა, მეზობელი მწყემსისგან დამბაჩა ითხოვა და მამის საფლავის მახლობლად დაიმალა.

მშიშარა ჭაბუკი როდი იყო უფლისწული, მაგრამ ღამით მარტოდმარტო ყოფნა სასაფლაოზე არც ისე სასიამოვნოდ მოეჩვენა.

იმ სიჩუმეში ხან ვარსკვლავებს თვლიდა ცაზე, ხანაც დედ-მამის საფლავზე დანთებულ სანთლებს აპყრობდა მზერას. უგზოუკვლოდ დაკარგული თავისი პატარა დაიკო გაახსენდა და მიწა ცხარე ცრემლით გაალღო.

შუაღამისას ცხენის ფიცხი თქარათქური მოესმა. დაინახა, მაგრამ რა დაინახა: შავნაბდიანი და შავქუდიანი კაცი ზის შავ რაშზე და ხელმწიფის საფლავისკენ მიეშურება!

კაცმა რაში ხეზე მიაბა, ხელში ბარი აიღო და საფლავს ხმამაღლა ჩასძახა:

— ო, შე სულწაწყმედილო, ცოცხალს ვერ მოგერიე, რამდენჯერაც დაგესხი თავს შენი ქვეყნის დასაპყრობად, იმდენჯერვე გამიწყვიტე დევების ლაშქარი, ახლა მკვდარს მაინც ამოგაგდებ მიწიდან და ტურა-მგლებს შევაჭმევ შენს ძვალხორცსაო...

ამისი თქმა მოასწრო და დამბაჩაც გავარდა. უფლისწულმა შავ კაცს შავი ნაბადი გადააძრო, მკვდარს კი ხრამში გადაუძახა.

მივიდა უფლისწული ჯაბა იმ მეზობელი მწყემსის სახლში და მასპინძელს უთხრა:

— ეს ნაბადი, ქუდი და რაში დაიტოვე. ერთი ღმერთია, ვინც ეს იცის, მეორე — მე და მესამე — შენ. ოღონდ არავის გააგებინო და ნაწყენი არ დამრჩებიო.

მწყემსი შეჰპირდა. უფლისწული ჯაბა განთიადზე დაბრუნდა შინ, დაწვა თავის ოთახში და ძილს მისცა თავი. [illegible] მამა გამოეცხადა და ერთგულებისთვის მადლობა უთხრა.

დიდხანს ეძინა თუ ცოტახანს, ბოლოს გაიღვიძა და შუათანა ძმას მიმართა:

— შენ მაინც მორჩილი და მუდამ თვალში შემყურე შვილი იყავი მამა ხელმწიფისა, ამაღამ წადი მის საფლავზე. ანდერძის დარღვევა და ფიცის გატეხა ცოდვად ჩაგეთვლებაო.

— ესღა მაკლია, შენი ბრძანებით ვიარო ამქვეყნად. ჩემი მბრძანებელი უფროსი ძმაა. დაიკარგე, აქედან, ვიდრე ამ კომბლით არ დამიჟეჟიხარო, — დაუყვირა უფლისწულმა ჯვებემ.

შეწუხდა უფლისწული ჯაბა:

— ეს რა ბოროტება ჩაუსახლდათ სულში ჩემს ძმებს, რა უბედურება დაემართათო.

რა უნდა ექნა, შელამებულზე მწყემსს კვლავ გამოართვა დამბაჩა, მამის საფლავთან ორმო ამოთხარა, შიგ ჩაწვა და თავზე გვიმრის ფოთლები წაიფარა.

სულგანაბული ზის და იგონებს:

— საწყალი დედაჩემი, დიდი დედოფალი. მუდამ ამას გვიმეორებდა, ვიდრე შვილები მამის ხსოვნას არ დაკარგავენ, მას სიკვდილის მსახვრალი ხელი არ შეეხება. ხსოვნა იგივე სიცოცხლეა უცოდველი კაცისაო...

შუაღამე რომ გადავიდა, დაინახა, მაგრამ რა დაინახა: წითელ რაშზე ამხედრებული წითელნაბდიანი, წითელქუდიანი წითური კაცი მოანგრევს არემარეს:

— შე ძაღლო და მამაძაღლო, სიცოცხლეში გადამირჩი და ახლა მაინც ვიძიებ შურს, საფლავიდან ამოგათრევ და ვირთაგვებს შევაჭმევ შენს გვამსაო.

რაში ხეზე მიაბა, ხელში წერაქვი აიღო და ხელმწიფის აკლდამას მიადგა. ვიდრე წერაქვს მოიქნევდა, უფლისწულმა დაიქუხა:

— ახლავე გადააგდე წერაქვი, დაიჩოქე და პატიება სთხოვე ხელმწიფის წმინდა ნეშტს. თანაც მითხარი, ვინა ხარ და რა დაგიშავა მკვდარმაო?

— ავაიო, — იღრიალა შეშინებულმა წითურმა კაცმა, წერაქვს უშვა ხელი და მუხლებზე დაიჩოქა.

— მაპატიე, დიდო ხელმწიფევ, მე როგორ მოგერეოდი, როცა შენ სიმართლის ჩირაღდანი გეპყრა ხელთ, მე კი ღალატით, ორპირობითა და სიცრუით გამქონდა თავიო.

— შენ ნავეზირალი ლენცოფა ხომ არა ხარო? — ჰკითხა უფლისწულმა.

— მე ვარ.. სამშობლოდან სამუდამოდ მოკვეთილი ლენცოფაო, — წაისისინა წითურმა კაცმა.

— მე კი უფლისწული ჯაბა გახლავარ. მოემზადე სიკვდილისთვის. ფეხზე წამოდექი და იარაღს მოჰკიდე ხელიო, — შესძახა ჯაბამ.

— ოღონდ ცოცხალი დამტოვე და ისევ უცხო მიწაზე გადავიხვეწებიო, — შეევედრა წითური.

— მოღალატე, ცრუ და ორპირი კაცი არც სხვათა მიწას უნდა ამძიმებდესო, — მიუგო უფლისწულმა და დამბაჩა დაახა-

წიგნიდან „ბიჭი, რომელსაც ჩიტის გული ჰქონდა“.

ლა იმ ღამემდეც უთვალავი ცოდვით დამძიმებულ ლენცოფას.

უფლისწულმა ჯაბამ ლენცოფა უფსკრულში გადაჩეხა, წითელი ნაბადი და წითელი ქუდი კი თან წამოიღო. არც წითელი რაში დაუტოვებია.

ნაბადი, ქუდი და რაში თავის მწყემს მასპინძელს ჩააბარა:

— ერთი ღმერთია, ვინც ეს იცის, მეორე — მე და მესამე — შენ. კეთილ კაცად გიცნობენ. იმედი მაქვს, თვალისჩინივით მოუვლი ყველაფერსაო.

— დარდი ნუ გექნებათ, ჩემო ბატონო, ავ თვალს არ დავანახვებო, — მიუგო მასპინძელმა.

უფლისწულმა წამოიხურა თავისი ძველი ნაბადი მხრებზე და შინ წავიდა. ჩაიკეტა ოთახში და დილამდე ეძინა.

საღამოჟამს ძმებს განუცხადა:

— მამამ და ხელმწიფემ რაც დაგვიბარა, ნუ გავიწყდებათ. საფლავს ამაღამ მაინც უდარაჯეთო!

ძმის ნათქვამი ჯიბოს ვითომც არ გაუგია, ჯვებე კი დაემუქრა:

— მოშორდი აქაურობას, ჯაბაია, თორემ იმ მამა ხელმწიფის გზას გაგიყენებთო.

— რახან ასეა, ისევ მე წავალო, — მორჩილად განაცხადა, ისევ გამოართვა მწყემსს დატენილი დამბაჩა. იმ ღამესაც თვალი არ მოუხუჭავს თურმე.

შუაღამისას თეთრ რაშზე მჯდარ თეთრნაბდიან და თეთრქუდიან თეთრ კაცს მოჰკრა თვალი. მხედარი რაშიდან ჩამოხდა და საფლავის ქვაზე შედგა მუქარით:

— ჰაჰაიტ, შე სულმყრალო, ახლა ხომ მაინც გიპოვე დროჟამიო!

როცა იმ თეთრმა კაცმა სანთლების ჩაქრობა განიზრახა, ხელმწიფის შვილმა შესძახა:

— ხელები ასწიე, თორემ გაგათავე და ეს არისო!

მოულოდნელი შეძახილისაგან შეძრწუნებული თეთრი კაცი ადგილზევე გაშეშდა.

— ვინა ხარ, ხელმწიფემ რა დაგიშავაო? — ჰკითხა დამბაჩამომარჯვებულმა ჯაბამ.

ხელებაწეულმა და აცახცახებულმა კაცმა მიუგო:

— თუ ვინმეს დაუშავა, მე დამიშავა ამ დალოცვილმა. ხელმწიფის დანახვაზე თავს მიწამდე ვხრიდი, პირში ვეფერებოდი და ვადიდებდი, ზურგს უკან კი... ვქირქილებდი. რა ვიცოდი, რომ გულთმისანი იყო, ერთ დღეს საჯაროდ გამოაცხადა: ამ კაცს ნუ ენდობით, მლიქვნელია, ფლიდი და ფარისეველი. ამიერიდან ვინც მას დაელაპარაკება ან მასთან პურს გატეხს, სასტიკად დაისჯებაო. მას შემდეგ ვარ ასე, არც მკვდარი და არც ცოცხალი. მართალი სიტყვის თქმა მე არ ძალმიძს, ფარისევლობას კი ჩვენში ყავლი გაუვიდაო...

— ცოლშვილი თუ გყავსო? — ჰკითხა უფლისწულმა.

— ცოლშვილს მე ვინ მომაშავებს, ყაჩაღობა დავიწყე და იმით ვირჩენ თავსაო.

— ბევრია ამ შენს დღეშიო? — ჰკითხა ისევ უფლისწულმა.

— ბევრი საიდან იქნება. ხალხმა ჭკუა ისწავლა. ხელმწიფის შიშით, მლიქვნელობა და ფარისევლობა მოისპო ამ ქვეყანაშიო.

უფლისწულმა გაიფიქრა:

— ყოჩაღ, მამავ და ხელმწიფევ, ეს რა კეთილი საქმე გიქნია, ცოცხლობდეს შენი სახელიო. — მერე კვლავ შესძახა: — ქვეყნისა და ხელმწიფის ყველაზე დიდი მტერი შენ ყოფილხარ, მოემზადე სიკვდილისთვისაო.

— ნუ მომკლავ, უფლისწულო, გამოგადგებიო.

სიტყვის დამთავრება არ დააცალა ხელმწიფის შვილმა, მამის მუხთალი მტერი იქვე გააგორა. თეთრი რაში წამოიყვანა, თეთრი ნაბადიც წამოიღო, მკვდარი კი ეკალ-ბარდებში ყორნების საძიძგნად მიატოვა.

კვლავ მწყემსს მიაბარა რაშიცა და ნაბადიც:

— კაიკაცობა და ერთგულება ერთიასად დაგიფასდება, ღალატისა და საიდუმლოს გაცემისათვის კი შეწყალებას ვერ დაგპირდებიო.

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერიო, — მიუგო მასპინძელმა.

ერთ მშვენიერ დღეს ჯაბამ შეამჩნია, რომ ძმები რაღაც გრაგნილს კითხულობდნენ.

— რაი სწერია, ძმებო, ამ გრაგნილში, ასე რომ აუღელვებიხართო? — ჰკითხა მან.

უფროსმა ძმამ ბოროტად შეხედა და ხმა არ გასცა.

შუათანამ მოწყალება გაიღო:

— უცხო ხელმწიფე ორი კვირისა და ორი დღის შემდეგ თავისი სამი ქალიშვილის გათხოვებას აპირებს. სასახლის მაღალ აივანზე ძეწკვით ჰკიდია ოქროს ბეჭედი. პირველ დღეს ვინც იმ ბეჭედს ჩამოაგდებს მშვილდისრით, უფროსი ქალიშვილის ქმარი გახდება; ვინც მეორე დღეს ჩამოაგდებს, იმავე ადგილას დაკიდულ იმდაგვარ ბეჭედს — შუათანა ქალიშვილს დაეპატრონება, ხოლო მესამე დღეს ნაბოლარა გოგოს ბედი გადაწყდება. აი ეს წერია ამ გრაგნილში. მაგრამ შენ რა, რომელი მოისარი შენა მყავხარო!

ჯაბამ შეღავება ზედმეტად ჩათვალა:

— მართალი ხარ, მე სად შემიძლია ასეთ საქმეში გარევა, მაგრამ თქვენ კი ხელი უნდა გამოიღოთო.

— აკი ხვალვე ვაპირებთ გამგზავრებას. ორი კვირა და ორი დღე გზას მოუნდება, ვეახლებით უცხო ხელმწიფეს და მაშინ გაიგებ ჩვენს ბიჭობასაო, — დაიტრაბახა ჯვებემ.

— ოღონდ ცოლებს შეირთავდეთ, ყველაზე უფრო მე გამიხარდებაო, — თავაზიანად დაუკრა თავი ძმებს და უღრანი ტყისკენ სანადიროდ გასწია.

ვეზირებმა და დიდებულებმა ზარ-ზეიმით გააცილეს უფროსი და შუათანა უფლისწულები, სანადიროდ წასული კი არავის გახსენებია, რადგანაც ყველას გლახაკად მიაჩნდა.

ორი კვირისა და ორი დღის შემდეგ ჯაბამ მწყემსს შავი რაში, შავი ქუდი და შავი ნაბადი მოსთხოვა.

იმავე დღეს ეწვია უცხო ხელმწიფის სასახლეს, რომლის ეზომდეც უკვე ჩაეღწიათ მის ძმებს.

მიიხედ-მოიხედა ჯაბამ. დაინახა, მაგრამ რა დაინახა: სასახლის ეზოში სამი მზეთუნახავის წინაშე თავი დაუხრიათ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ რაინდებს. ყველას, ვისაც უკვე უტყორცნია ისარი, ხელი მოცარვია. დანარჩენები ვერ ბედავენ ცდას და შეშფოთებით შეჰყურებენ ერთმანეთს.

სტყორცნა ჯაბამ ისარი და სასახლის მაღალ აივანზე ძეწკვით დაკიდებული ოქროს ბეჭედი ჰაერშივე დაიჭირა. ბეჭედი გულის ჯიბეში ჩაიდო. იქ მყოფ ხელმოცარულ ძმებს ზურგზე თითოჯერ გადააწნა მათრახი და თვალდახელშუა გაუჩინარდა.

უცხო ხელმწიფემ საჯაროდ გამოაცხადა:

— ღვთისკაცმა ჩემი უფროსი ქალიშვილი აირჩია და სტუმარ-მასპინძელმა უნდა იზეიმოს. ყველა ოჯახში გაშლილია სუფრა და სტუმრებს ველოდებითო.

განაწყენებულმა ჯიბომ შესჩივლა თავის ძმას:

— ღვთისკაცმა თავისთვის საპატარძლო აირჩია, მაგრამ ჩვენ რას გვერჩის ამ დალოცვილი, ჩვენ რა შუაში ვართ, ზურგი მათრახით რომ აგვიწვაო?

მეორე დღეს, უცხო ხელმწიფის შუათანა ქალიშვილის გათხოვების ჟამს, უფლისწულმა ჯაბამ წითელი რაში გამოიყვანა მწყემსის საჯინიბოდან, წითელი ქუდი დაიხურა და წითელი ნაბადი მოიგდო მხრებზე.

იმავე დღეს ქარიშხალივით გაიქროლა უცხო ხელმწიფის სასახლის ეზოში, სადაც ჯიბოცა და ჯვებეც იდგნენ ბედის მაძიებელ რაინდებთან ერთად, სასახლის მაღალ აივანზე ოქროს ბეჭედი ისევ კონწიალობდა თურმე.

სტყორცნა ისარი, ჩამოგდებული ბეჭედი ჰაერშივე დაიჭირა და გულის ჯიბეში შეინახა. მერე ჩაუქროლა თავის ძმებს და სამ-სამჯერ გადააწნა მათრახი.

უცხო ხელმწიფე გამხიარულდა, ზარბაზნები დააქუხა, შუათანა ქალიშვილი წითელრაშიანმა ღვთისკაცმა რომ ითხოვა იმიტომ.

შინ დაბრუნებულმა უფლისწულმა წითელი რაში, წითელი ნაბადი და წითელი ქუდი მწყემსს ჩააბარა.

მესამე დღეს თეთრი რაში შეკაზმა, თეთრი ქუდი დაიხურა, თეთრი ნაბადი მოიგდო მხრებზე და უცხო ხელმწიფის სასახლისაკენ გაჯირითდა. იქ კი მშვილდ-ისრების სროლა იყო გაჩაღებული. ოქროს ბეჭედი მაინც სასახლის მაღალ აივანზე ბრწყინავდა თურმე.

სტყორცნა ჯაბამ ისარი, ძეწკვი გაწყვიტა და ბეჭედი ჰაერშივე დაიჭირა. მერე ჯიბოსა და ჯვებეს ხუთ-ხუთჯერ გადააწნა მათრახი, ისე გადააწნა, ზურგზე ტყავი ააძრო ორივეს.

შინ დაბრუნდა უფლისწული ჯაბა. მესამედ ეწვია ძმობილს და უთხრა:

— აჰა, ეს თეთრი რაშიც, თეთრი ნაბადიც და თეთრი ქუდიც მიიბარე ცოტა ხნით. ორი კვირისა და ორი დღის შემდეგ აქეთ გამოივლიან ჩემი ძმები, შინ მიიწვიე ისინი, პური აჭამე, მოასვენე და თანაც მგზავრობის ამბავი გამოჰკითხე. იქაურ ამბავს რომ გეტყვიან, შენ შენი მხრივ ჰკითხე, აპირებენ თუ არა ჩემთვის კუთვნილი ქონების მოცემას. ამ საუბრის დროს მე ჯერ შავი ნაბდით გამოვჩნდები, მერე წითლით, ბოლოს კი თეთრითაო...

მწყემსიც ისე მოიქცა, როგორც უფლისწულმა დაარიგა.

ჯიბომ და ჯვებემ მწყემსის სახლთან რომ ჩაიარეს, ეზოდან მასპინძელი გამოვარდა და დაღლილ-დაქანცული, ნაცემ-ნამათრახალი და მშიერი მგზავრები მიიპატიჟა:

— უფლისწულებო, შინ შემობრძანდით, დაისვენეთ და პური გატეხეთ. ისიც მიბრძანეთ, სად ყოფილხართ, რა გინახავთო?

ჯიბომ მიუგო:

— მწყემსო, იქაურ ამბავს ნუ გვკითხავ. შენ ის გირჩევნია, აქაურობის ამბავი გვიამბო, ჩვენი გლახაკი ძმა როგორ არისო...

მასპინძელმა ულვაშებში ჩაიცინა:

— უმცროს უფლისწულს რა უჭირს, ოღონდ თქვენს მშვიდობით დაბრუნებას

ეროვნული ბიბლიოთეკა





სამუშაოდან დაბრუნება.

## უჩა ჯაფარიძე 60

პორტრეტი

ვიეტნამის ტრაგედია.












ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟანი მეძმარიაშვილის ნამუშევრები:

ვაჟიშვილის პორტრეტი

დილა.

თავსაფრიანი გოგონა.

გამოფენაზე.



ბიჭვინთის ფიჭვები.

ფოტო თენგიზ ფურცხვანიძისა.

და მისთვის თავისი წილი ქონების გამოყოფას ელოდებაო.

ამ სიტყვებზე ჯიბო ახარხარდა, ჯვებემ კი დამცინავად ჰკითხა:

— ის უბედური, ხელმწიფობას ხომ არ მოითხოვსო?

— ხელმწიფობაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ქონებას უნდა ელოდესო.

— ერთი ნაცრისფერი ნაბადი კი აქვს ჯაბაიას ჯერხნობით, დაეხევა და ახალს ვუბოძებთ, მეტის იმედი მაგ საბრალოს ნუ ექნებაო, — უთხრა ჯიბომ.

ამ დროს შავნაბდიანი კაცი გამოჩნდა ეზოში და უმალვე გაუჩინარდა. მის დანახვაზე ძმები შეშფოთდნენ.

— მასპინძელო, ეს რაინდი ვინ უნდა იყოსო? — იკითხა უფროსმა უფლისწულმა.

— ეს რაინდი კი არა, წმინდანი უნდა იყოსო, — უპასუხა მასპინძელმა.

ცოტა ხანში წითელნაბდიანი კაცი გამოჩნდა და ასევე უმალ გაუჩინარდა. მას კი თეთრნაბდიანი მოჰყვა.

— ესენი ის ღვთისკაცები უნდა იყვნენ, უცხო ხელმწიფის ასულები რომ ჩაიგდეს ხელშიო, — გადაუჩურჩულა ჯვებემ თავის უფროს ძმას.

— ძალიან კი ჰგვანანო, — დაეთანხმა ჯიბო.

ამ ჩურჩულში რომ იყვნენ, ძმებს უფლისწული ჯაბა გამოეცხადათ:

— ეს თქვენ აპირებთ, ოდესმე ახალი ნაბადი მიბოძოთ? მწყემსის ნაბადს გაიმეტებთ თუ სამეფოსაო?

აზრზე მოსული ძმები შეშინდნენ:

— ახლა გვაპატიე, ძმაო, და ყოველდღე ფეხებს დაგბანთო.

ჯაბამ გაიცინა:

— მე თქვენგან ფეხის დაბანას კი არ მოვითხოვ, ოღონდ სინდისი არ უნდა დაკარგოთ, დღევანდელი სიტყვებისათვის კი შვიდ-შვიდი მათრახი მიიღეთო!

ძმები მუხლებზე დაეცნენ და უმცროს ძმას შეევედრნენ:

— ჯაბა ბატონო, გვაკმარე შვიდ-შვიდი მათრახი და მონად გაგიხდებითო!

ეს კი იუარა თურმე ჯაბამ:

— არა, თქვენი მონობა მე არა მსურს. მამის ანდერძს კი გადაუხვიეთ, მაგრამ ვერ გაგწირავთ, მაინც ჩემი ღვიძლი ძმები ხართო...

გულის ჯიბიდან ამოიღო უცხო ხელმწიფის უფროსი ქალიშვილის ოქროს ბეჭედი და უფლისწულ ჯიბოს მიულოცა, ამოიღო შუათანა ქალიშვილის ოქროს ბეჭედი და უფლისწულ ჯვებეს გაუწოდა.

შეკაზმა სამივე რაში და ძმებს უბრძანა, პატარძლების მოსაყვანად გავეშუროთო.

ძმებმა მადლობა მოახსენეს.

უცხო ხელმწიფემ თავის ასულებს მზითვად აურაცხელი თვალ-მარგალიტი აახლა და სამას-სამასი დარჩეული მხედარი გამოაყოლა.

გზაში შემოაღამდათ.

ძმებმა პატარძლებს ლამაზი კარვები გაუშალეს, მხედრები კი მინდორზე წამოწვნენ.

ამ დროს უფროსი ძმის კარავში ვიღაც დედაბერი შევიდა და ცეცხლთან გათბობა ითხოვა. ჯიბომ ის დედაბერი კარვიდან გამოაგდო.

შუათანა ძმის კარავსაც მიადგა იგი, მაგრამ იქიდანაც გამოაგდეს.

ბოლოს ჯაბას კარავს მიაგნო და მასპინძელს უთხრა:

— ეს რა მშიშარა და უგულო კაცები ყოფილან, სიცივისაგან აკანკალებულ მოხუც ქალსაც კი არ უშვებენ ცეცხლთანაო!

კეთილი და უშიშარი ჯაბა თავაზიანად შეხვდა:

— მობრძანდი, დედაბერო, შენი ვის უნდა შეეშინდესო!

უმცროსმა უფლისწულმა თვალი მოხუჭა თუ არა, ის დედაბერი ალქაჯად გადაიქცა და პატარძალი მოიტაცა.

ჯაბას გაეღვიძა და... სად არიან ან საცოლე, ან ის დედაბერი!

ძმები ფეხზე წამოყარა, თეთრ რაშს მოახტა და ასე დაიბარა:

— შვიდ წელიწადს მელოდეთ, თუ დავბრუნდი, ხომ კარგი, თუ არა და ჩემი ქონებაც თქვენად მიითვალეთ, ოღონდ შროშანას წილს ხელს ნუ ახლებთო...

გააქროლა რაში, გამოუდგა იმ ალქაჯს, ვინც პატარძალი მოსტაცა.

იარა, იარა, იარა მთელი წელიწადი.

ერთი სახლის წინ ახალგაზრდა ქალი შენიშნა.

დაღლილი, მშიერი და მწყურვალი ჯაბა მორიდებით შეეხმიანა მას:

— დობილო, ჰეი დობილო! შორი გზიდან მოვდივარ. წყაროს წყალი და პურის ნატეხი სულს მომათქმევინებს. თუ გაიმეტებ, ძლიერ დაგიმადლებო.

— შინ შემობრძანდი, მოგზაურო. წყაროს წყალსაც მოგირბენინებ, პურსაც მოგართმევ და ქათამსაც დაგიკლავ. ამასობაში მამობილიც გამოჩნდება და ისაუბრებთ კიდეცაო, — მიუგო ქალმა.

დატრიალდა ახალგაზრდა ქალი, საჭმელი ხომ დაახვავა ტაბლაზე და ორშიმოთი ღვინოც ამოიღო ქვევრიდან.

უფლისწული შეუდგა პურობას. ქალი ხან ღვინოს დაუსხამდა, ხან წყაროს წყალს, თანაც ჩუმ-ჩუმად, ყურადღებით შეჰყურებდა უცხო ჭაბუკს. თითქოს ენახა სადღაც, მაგრამ ვერაფრით მოიგონა, როდის და სად.

წუთით მიატოვა სტუმარი და სარკეში ჩაიხედა. უყურა, უყურა საკუთარ სახეს და გაოცდა: გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს ის და მოგზაური. რაღაც ძალიან ახლობელი და მშობლიური შეამჩნია სახის ნაკვთებში.

ბოლოს და ბოლოს ქალიშვილმა ვერ მოითმინა და მოკრძალებით ჰკითხა თავის მოულოდნელ სტუმარს:

— შენ ამა და ამ ქვეყნის ხელმწიფე ხომ არ გაგიგონიაო?

უფლისწული შეკრთა, ჭამას თავი ანება და მიუგო:

— შენ კი გულთმისანი ხომ არ ბრძანდები, დობილო! მე იმ ხელმწიფის უმცროსი ვაჟი გახლავარო...

— თუ ეს ასეა, შროშანაც გეხსომებაო, — შიშნეულად ჰკითხა ახალგაზრდა ქალმა.

— მეხსომება რომელია, დღისით მასზე ვფიქრობ, ღამღამობითაც ჩემი დაკარგული დაიკო მესიზმრებაო, — მიუგო ჯაბამ და წამოხტა.

— მე შენი დაი ვარ, შენი შროშანაო.

გადაეხვივნენ ერთმანეთს ამდენი ხნის უნახავი და-ძმა.

— როგორ გაძელი ამ დაკარგულშიო, — ჰკითხა ძმამ.

— როგორც ხედავ, ღვთისა და ჩემი მამობილის წყალობით ლუკმა-პური არ მაკლიაო, — უთხრა შროშანამ.

— ვინ არის შენი მამობილიო? — დაინტერესდა ჯაბა.

— აქაური მონადირე გახლავს, ჭკუითა და გამჭრიახობით უჯობნია დალოცვილს იმ ცხრათავიანი დევისათვის. ვიდრე წამოვიზარდე, ძიძასთან ვყოფილვარ გაბარებულიო.

— ააშენა ღმერთმა შენი მამობილი, მაგრამ სამშობლო არ მოგენატრაო? — ჰკითხა ჯაბამ.

— სამშობლოში დაბრუნების იმედით ვიცოცხლე ამდენ ხანს, თორემ რა გამაძლებინებდა. მამობილიც მპირდება შინ წაყვანასაო, — დაამშვიდა შროშანამ.

ამასობაში სათნო და ახოვანმა ბე[illegible]ცმა შემოაღო ჭიშკარი, სტუმარს თავი მდაბლად დაუკრა და ხელი ჩამოართვა: კეთილი იყოს ჩვენი გაცნობაო.

— ხელმწიფის შვილი კი ვარ, შროშანას მამობილო, მაგრამ მთელი სიცოცხლე ფეხს რომ გბანდე, მაინც ვერ გადავიხდი შენს პატივისცემას, ჩემი პატარა დაიკო ცხრათავიან დევს რომ გამოსტაცე იმისთვისაო.

— შენი დაი კი არის, მაგრამ ჩემი ქალიშვილი გახლავს, მის გარდა არვინ გამაჩნია, მასზე ამომდის მზეცა და მთვარეცაო, — უთხრა მონადირემ.

— თუ მიკადრებთ, დღეიდან მეც შენი შვილი ვიქნებიო, — სთხოვა ჯაბამ.

— შენ შვილი და მე მამაო, — გაუხარდა მონადირეს.

მალე მოწყენილობა რომ შეამჩნია, ქალიშვილმა ჰკითხა:

— რა იყო, მამობილო, ასე უცებ რატომ მოიწყინე, რამ ჩაგაფიქრაო?

— ცუდი გზა ელოდება შენს ძმას და ჩემს შვილობილს, საშველს ვეძებ და ვერ მიპოვიაო.

— უიმქალოდ მე მაინც ვერ ვიცოცხლებ. დაყოვნება არ ძალმიძს, რამდენსაც დავიგვიანებ, მით უარესიაო, — თქვა ჯაბამ.

— უაზროდ ჭიანჭველას არ დაადგა ფეხი და ბალახი არ გადათელო, — დაარიგა მონადირემ, — გზადაგზა სიკეთეს თუ ვერ იქმ, ზიანი არავის მიაყენო, თორემ მიზნის მიღწევა მით უფრო გაგიძნელდებაო.

შროშანამ ფინია ძაღლი გაატანა ძმას, ეს არ მოგშორდება, იმ სახლსაც იპოვის, სადაც შენი საცოლე იქნება ჩაკეტილი, თუკი ბედმა გიმუხთლა და დევი მოგერია, ეს ფინია დაბრუნდება და ამბავს შეგვატყობინებს, მერე ჩემი გულთმისანი მამობილი იღონებს რამეს და გვიშველისო.

გაიქცა ფინია, კვალდაკვალ მიჰყვა თეთრ რაშზე ამხედრებული ჯაბა.

იარეს, იარეს, იარეს მთელი წელიწადი.

ბოლოს ფინია შეჩერდა უზარმაზარ სახლთან, რომელიც მთლიანად კლდეში იყო გამოკვეთილი. შეკრთა ჯაბა, ამ სახლის კარის შენგრევა ღმერთსაც გაუჭირდება, მე კი არაო.

ამ დროს საოცრება მოხდა, თეთრმა რაშმა ხმა ამოიღო:

— აბა, ჩემო მხედარო, წამოდი მჭედელთან და ისეთი ნალები გამოართვი, თითო ხუთ ფუთს იწონიდეს. მათრახიც ისე გადამაწანი, გული და ჩონჩხი შემომამტვრიო, მხოლოდ ტკივილისა და გამწარების შემდეგ შევძლებ კარის შელეწვასაო.

ჯაბამ თავის მეტყველ რაშს დაუჯერა. ხუთფუთიანი ნალებიც დააკრა და მათრახიც საშინელი ძალით გადააწნა.

თეთრმა რაშმა სახლის ცხრაკლიტული ნაცარტუტად აქცია. უფლისწულმა მეცხრე ოთახი რომ გააღო, თავისი საცოლე შეეგება და ცრემლის ფრქვევით ჩაეკრა მკერდში.

— ვაიმე, ჩემო სიყვარულო, აქ რამ მოგიყვანა! მე დალუპული ვარ, მიწისქვეშეთის მბრძანებლის მიერ შეპყრობილი და ამ ოთახში ჩამწყვდეული! შენც რატომღა იღუპავ თავსაო?



ეროვნული ბიბლიოთეკა

გახარებულმა ჯაბამ უთხრა:

— რახან შენ გნახე, დალუპვა არად მიჩანსო.

გადაეხვივნენ ერთმანეთს და ცრემლი ღაპაღუპით ღვარეს.

ამ დროს რაში ისევ ამეტყველდა:

— აბა იჩქარეთ, თორემ მიწისქვეშეთის მბრძანებელი მოეშურება აქეთკენ. ჩვენ მას ვერ მოვერევით. მისი სამეფოდან თუ ერთი ფეხით მაინც არ გავასწარით, ისეთ ცეცხლს შემოგვაფრქვევს, დაგვწვავს და დაგვბუგავსო.

რაშმა ზურგზე მოისვა უფლისწულიცა და მისი საცოლეც, დაჰკრა ფეხი და გაქუსლა იქითკენ, საიდანაც მოვიდა.

— აბა, უკან მიიხედე, მიწისქვეშეთის მრისხანე მბრძანებელი ხომ არ გამოჩნდაო? — ჰკითხა მხედარს.

— არა, არ ჩანს ის წყეულიო! — უპასუხა ქალმა და უფრო მაგრად ჩაეკრა საქმროს.

თეთრი რაში კი ელვასავით მიქროდა და მიაპობდა სივრცეს.

— აბა, ახლაც გაიხედე, ცეცხლის მსგავსი ხომ არ ანათებსო, — იკითხა ისევ რაშმა.

გაიხედა ქალმა და გაფითრდა: შორს, ძალიან შორს ცეცხლის კუდი მოჩანდა.

ჯაბამ იგრძნო, რომ ვერ გაასწრებდა იმ ცეცხლისმფრქვეველ საშინელებას, ამიტომ უთხრა საცოლეს:

— მიწისქვეშეთის მბრძანებელს ძალა კიდევ აქვს აქედან ათიოდე დღე-ღამის საველზე. ამიტომაც მე გადავხტები და შენ განაგრძე გზა! რაში თვითონ მიგიყვანს ჩემი დის სახლამდე. მე კი შევეცდები, მტერი შევაჩერო და საფრთხე აგაცილოთო...

ელვის უმალ ჩამოხდა ცხენიდან და საშიშ მდევარს პირისპირ შეება. დიდხანს გაგრძელდა შეუპოვარი ორთაბრძოლა, ბოლოს მაინც სძლია მიწისქვეშა სამეფოს მბრძანებელმა. ჯაბა უსულოდ დაეცა და იგი მტერმა ტრიალ მინდორზე ყვავ-ყორნების დასაძიძგნად მიატოვა.

რაშს თინიამ გაუკვლია გზა, მშვიდობით მიიყვანა შროშანას სახლამდე. ბრძენმა მამობილმა და მისმა ქალიშვილმა არ დააყოვნეს, ჯაბას საშველად გამოიქცნენ.

დამ ტირილი დაიწყო, ხოლო მამობილი უკვდავების წამლის ძებნას შეუდგა. ბოლოს იპოვა, რასაც ეძებდა და ჯაბა გააცოცხლა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, შვიდი დღე უკლდა შვიდ წელიწადს, როცა თეთრ რაშზე ამხედრებულმა ჯაბამ თავისი ქვეყნის საზღვარი გადალახა.

სამშობლოს ხილვით გახარებულმა ხმამაღლა შესძახა:

— გამარჯობათ, ძმებო, თქვენი უმცროსი ძმა დავბრუნდი! აგერ თქვენი ღვიძლი დაი შროშანა და მისი გადამრჩენელი მონადირე, აგერ კიდევ ჩემი დედოფალიო.

— შენ ჩვენი ძმა კი არა, მოხეტიალე მაწანწალა ხარო, — უთხრა უკვე ხელმწიფედ ქცეულმა ჯიბომ.

— ბიჭებო, როგორ ვერ მიცანით, მე ჯაბა ვარ, გაჭირვებისაგან რომ ბევრჯერ გიხსენით. მზეთუნახავი ცოლებიც ხომ მე მოგიყვანეთო.

— არა და არა, ვიღაცა ცრუ და ქოსატყუილა თვითმარქვია ხარო, — უთხრა ჯიბომ.

— მაშ, მე არა ვარ ხელმწიფის შვილი და თქვენი უმცროსი ძმა? არც ეს არის ავსულთაგან გატაცებული ჩვენი შროშანა? არც ეს არის თქვენი დედოფლების უმცროსი დაი? — იკითხა უფლისწულმა ჯაბამ.

— არა ხართ, არა და არაო! — ჯიუტად ამბობდა უფროსი ძმა, თუმცა ლაჩარ ჯვებეს თვალებში ცრემლი შეამჩნია.

შროშანამ და მისმა რძალმა ტირილი დაიწყეს, მონადირე განრისხდა, ხელით შეეხო ასფუთიან ქვას და წამოიძახა:

—ღმერთო მაღალო, თუ კი ესენი ტყუიან და უსირცხვილოდ არ უშვებენ დაძმას მამისეულ სასახლეში, შუა გაიპოს ეს ქვა და თავზე დაეცეს იმას, ვინც უღალატა დიდი ხელმწიფის ანდერძს, მშობლიურ გრძნობას, ადამიანურ სინდისს. მაგრამ თუკი ჯაბა ტყუოდეს და არ იყოს ამათი ღვიძლი ძმა, იმავე ქვით გაისრისოს და მისი სახელი საუკუნოდ შეაჩვენოს მშობელმა ხალხმაო.

ესა თქვა და ცაში ასფუთიანი ქვა ასტყორცნა. ამის მნახველმა ჯვებემ თავის სიცოცხლეში პირველად შეუყვირა უფროს ძმას:

— ჯიბოია, შე მატყუარავ და ცოდვიანო, აი რა გვიქნა სიხარბემ და შურიანობამ. თვითონ ხომ შეალე ჯოჯოხეთის კარები და მეც გამიყოლე შავ გზაზეო!

ღრუბლებამდე რომ მიაღწია, ის ქვა წითლად ავარვარდა, გაიპო და ერთი ნატეხი თავზე დაეცა ბოროტსა და უკუღმართ ჯიბოს, ხოლო მეორე ნატეხი უფლისწულ ჯვებეს ფეხებთან დაეცა. დაყრუებულმა და დამუნჯებულმა ჯვებემ სიკვდილი ინატრა, მაგრამ სამართლიანმა მსაჯულმა ისიც არ გაიმეტა ბოროტებას აყოლილი და უნებისყოფო კაცისთვის:

დაე საკუთარი თვალით ნახოს, რა მოსდევს შურიანობას, უმადურობას და სიტყვის გატეხასაო...

მაშინ უფლისწულმა ჯაბამ თანამემამულეთ მიმართა:

— ახლა შენ ბრძანე, ხალხო და ჯამაათო, ვინ დავსვათ ხელმწიფის ტახტზეო?

— უფლისწული ჯაბაო, — დაიძახეს დიდებულებმა.

— მხოლოდ ჯაბაო! — მხარი მისცა აზავთებულმა ხალხმა.

— არა, მეგობრებო, მე კი გირჩევდით, — მიმართა ჯაბამ, — ტახტზე ხელმწიფის ასული ავიყვანოთ. ავსულთაგან გატაცებული შროშანა გადაურჩენია და უშვილებია ამ კეთილ მონადირეს. მისი შემწეობით ბავშვობიდანვე შესჩვევია შრომას, მოთმინებას, სიღარიბეს. ამიტომ მისთვის უცხო იქნება ძალადობა და უსამართლობაო...

ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ხალხმა აწონდაწონა ჯაბას ნათქვამი, და ტახტზე ხელმწიფის ასული დასვა. ჯაბას სახელმწიფოს ლაშქარი მიანდვეს, მწყემსს — ქვეყნის ჯოგი, ფარა, რემა, მონადირეს — ტყისა და ბუნების მფარველობა.

შროშანას ხელმწიფობის ჟამს აყვავდა ქვეყანა: გაქრა შურისგება და ანგარიშსწორება, ნიჭი დაფასდა, ბულბულსაც ბულბული დაერქვა...

წუხელ იქ ვიყავ, დღეს კი აქა ვარ,
კეთილი რჩევის მთქმელი გახლავარ.
ვიდრე მე საცრით წყალს არ მომიტან,
გინდა ახლოდან, გინდა შორიდან,
მანამდე თავი არა სტკენოდეს
და არაფერი არა სწყენოდეს,
ვისაც უყვარდეს ჩვენი მთა-ბარი
და... წაიკითხოს ძველი ზღაპარი.

## მაია გელუტაშვილი

### დაპირება

მორჩა, ხვალ ადრე ავდგები,
ალარც ვიჩხუბებ კლასში.
არა, ხვალიდან გავხდები
სამაგალითო ბავშვი.

ბებოს წავყვები ბაზარში
ხალისიანად, მხნედა,
ეზოში ფეხს არ ჩავადგამ,
დავეხმარები დედას.

ოღონდ... დღეს კვირა დღე არის,
ფეხბურთზე წავალ, ჰოდა...
ხვალ უსათუოდ ვისწავლი,
დღეს რაც სასწავლი მქონდა!

### მსუნაგი

ორი ძეხვი, ერთი ტორტი,
კენჭი, ბურთი,
ძვალი, ტოტი...
მთელი კათხა ცივი ლუდი,
დედის ქოლგა, მამის ქუდი.
მურაბა და მარმალადი,
ცხრა ნაჭერი ცხელი ქადის...
შვრიის ფაფა ერთი ტაფა!
...არა გჯერათ?
ყველაფერი
ჩვენმა ლეკვმა გადაყლაპა.

### არ მაცლიან

მაშინ, როცა მე დავიწყე
მაგალითის გამოყვანა,
მითხრეს თეამ და მანანამ:
— გვეთამაშე სახლობანა.

— ეს ხავერდის დათუნია
მოდი, იყოს ჩვენი შვილი!
— მაგიდაზე დავაძინოთ,
არ გაუფრთხოს ვინმემ ძილი.

ჩანთას ხსნიან, სკამს მართმევენ.
არ მაცლიან სწავლას დები...
ამათ ხელში ვერასოდეს
ხუთოსანი ვერ გავხდები!

## დორა გრატიაშვილი

### იცი, როგორ მიხარია?

— დედა, შენ სად დაიბადე?
— წყნეთში, ჩემო თვალისჩინო!
— მამა?
— მთაში! შენ ხომ იცი,
სადაც ცხოვრობს ბებო ნინო.
— მე?
— რუსთავში... შე ეშმაკო,
რად იცინი, მითხარ, ლია?
— ერთმანეთს რომ შევხვდით ყველა,
იცი, როგორ მიხარია?

### მუხის დიდ ფუღუროში

რიკი, რიკი, რიკები,
ახალ ამბავს გიყვები.
მუხის დიდ ფუღუროში
შემალულან ციყვები.

ერთს თხილი აქვს თათებში,
მეორეს კი კაკალი,
ჭამენ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად,
შიშითა და კანკალით.

მურა უყეფთ: — დამაცათ,
არ გამოხვალთ გარეთო?
მე თვითონვე მოგცემდით,
რატომ მოიპარეთო?

### ცრუპენტელა გია

— გია, რას ეთამაშები?
კურდღელი გყავს განა?
— მყავს და კიდეც შევასწავლე
დილით პირის ბანა.

— ცრუპენტელა! — უთხრა ნანამ,
იტყუები ახლაც...
სხვას ასწავლე და თვითონ კი
მოთხუპნული დახვალ?

### იამზე

თოჯინები ასეირნა
დილით სუფთა ნიავზე,
მერე მურა დააპურა
პაწაწინა იამზემ.

იქ ცოცხს ხელი წამოავლო,
თვითონ ცოცხის ოდენამ,
მთელი ეზო გადაგავა,
კრუხ-წიწილი მოდენა.

— შეხეთ, შეხეთ, რა მარჯვეა —
უჩურჩულებს ია მზეს...
გაიზარდოს, გაიხაროს
პაწაწინა იამზემ!

### გოგო, რას ჩამაცივდი

— გია, წერილს ზურას სწერ?
რაღაც არა მჯერა!
როგორ დაწერ, მითხარი,
რომ არ იცი წერა?

— გოგო, რას ჩამაცივდი,
აკი წელან გითხარ:
მე თუ წერა არ ვიცი,
არც მან იცის კითხვა.



# ერთი გამოშვების ბედი

ეს სათაური რეჟისორ ასიკო გამსახურდიას დავესესხე; როდესაც შეიტყო ჩემი დაინტერესება. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პირველი გამოშვების ბევრი უნებლიეთ მივიწყებული სახელის გამომზეურებით, დიდად მოიწონა ჟურნალ „დროშის" რედაქციის ინიციატივა და იქვე, იმპროვიზაციულად, წამოიძახა — თქვენს ადგილას ამ ნარკვევს მე „ერთი გამოშვების ბედს" დავარქმევდიო.

ყველა მნიშვნელოვანი თარიღი, მოვლენა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, მითუმეტეს, თუ საკმაო დრომაც განვლო; მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ფოტოსურათი, რომელზედაც საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის პირველი გამოშვებაა აღბეჭდილი. სადღეისოდ ეს სურათი არა მარტო რელიკვიაა, არამედ ჩვენი სათეატრო ხელოვნების განვლილი გზის ერთ-ერთი ეტაპის დამადასტურებელი დოკუმენტიც. მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პირველი გამოშვება 1940 წლით თარიღდება, მაშინ, როდესაც თეატრალური ინსტიტუტი აკაკი ხორავას თაოსნობით 1939 წელს დაარსდა. ბუნებრივად იბადება კითხვა — როგორ მოხერხდა ერთი წლის მანძილზე სწავლის დასრულება? ინსტიტუტის გახსნამდე, რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში და „სახკინმრეწვთან" არსებობდნენ სტუდიები. სწორედ ამ სტუდიების პედაგოგთა და მესამეკურსელთა ბაზაზე შეიქმნა უმაღლესი სათეატრო სასწავლებელი, რომლის პირველი გამოშვება ომის დაწყების წინა წელს — 1940 წელს შედგა.

დამამთავრებელმა კურსმა ორი სადიპლომო სპექტაკლი მოამზადა — „რაც გინახავს, ველარ ნახავ", რომლის დადგმა განახორციელა ცნობილმა რეჟისორ-პედაგოგმა კუკური პატარიძემ, მხატვრობა ეკუთვნოდა ჩვენს სასიქადულო სცენოგრაფს ირაკლი გამრეკელს; მეორე წარმოდგენა — „პავლე გრეკოვი" დადგა აკაკი ვასაძემ. მხატვრულად გააფორმა დიმიტრი თავაძემ, ხოლო მუსიკა შექმნა რევაზ გაბიჩვაძემ. ორივე სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად, თვალნათლივ გამოჩნდა პერსპექტიული, ნიჭიერი ახალგაზრდობა, მომავალი საიმედო ცვლა თეატრისა. უკვე პირველსავე დასრულებულ ნამუშევრებში გამოიკვეთნენ საინტერესო აქტიორული ინდივიდუალობები — მარინე თბილელი, თინა ბოლქვაძე, ეკატერინე ვერულაშვილი, ფლორა შედანია, ნინო ქაჯაია, მერაბ გეგეჭკორი, გიორგი აბრამაშვილი, შალვა კერესელიძე, სერგო ლორთქიფანიძე, გაიოზ ყიფიანი, მიხეილ შაიშმელაშვილი, თეიმურაზ ტატიშვილი, შოთა კიკნაძე, დავით თევზაძე, იოსებ კობახიძე, ვასილ მაჩაიძე და სხვები. ზოგიერთი მათგანი, რომელთაც საშუალება მიეცათ თავიანთი ნიჭის სრულად გამომჟღავნებისა, ქართული თეატრის ღირსშესანიშნავ მოღვაწეებად ჩამოყალიბდნენ. უმრავლესობას კი, საუბედუროდ, ომის მძიმე წლეებმა მოუსწრაფა ოცნებები. მათ სამშობლოს დაცვის კეთილშობილურ საქმეს შეალიეს ხანმოკლე სიცოცხლე. ის, ვინც გადარჩა სამამულო ომის ფრონტზე, კვლავ გააგრძელა თეატრში მოღვაწეობა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ თეატრალურ და კინოხელოვნებაში.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი მერაბ გეგეჭკორი ომის პირველი დღეებიდანვე ჩაერთო გაafთრებულ შეტაკებაში; როგორც სპორტსმენი-ალპინისტი სამხრეთის ფრონტზე იბრძოდა გენერალ ყურაშვილის დივიზიის განსაკუთრებულ სამთო-მსროლელ რაზმში. მერაბმა აქაც გამოავლინა გამორჩეული ნიჭი და იგი სულ მალე, კარგი ფიზიკური და სამხედრო ტაქტიკური მონაცემების წყალობით, ასეულის უფროსი ინსტრუქტორად დაინიშნა. ერთი წელი თავდაუზოგავად იბრძოდა მერაბ გეგეჭკორი კავკასიონის მისადგომე-



ეროვნული ბიბლიოთეკა




ბთან, მთიანი ლანდშაფტის უაღრესად რთულ პირობებში — ბაქსანის ხეობაში, მესტიის, ბეჩოს, ბასის გადასასვლელებზე. მტერთან ვაჟკაცურ ბრძოლაში, როცა ფაშისტთა გამოცდილი სამთო ასეულები ჩვენს მთებს უტევდნენ, ერთ-ერთი შეტაკების დროს მერაბ გეგეჭკორმა მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც მწყობრიდან გამოვიდა და ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მშობლიურ რუსთაველის თეატრს დაუბრუნდა, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დაყო და არაერთი ღირსშესანიშნავი სცენური სახე შექმნა.

სამამულო ომში მონაწილეობის სურვილი ბევრმა ქართველმა ქალმა გამოთქვა. ისინი, უმეტესად, სამედიცინო დარგის მუშაკები იყვნენ და ძალღონესა და გულის სითბოს არ იშურებდნენ დაჭრილი მეომრების გადასარჩენად. თეატრალური ინსტიტუტის პირველი გამოშვების მცირერიცხოვან ქალთა ჯგუფიდან ფრონტზე წასვლის დაჟინებული სურვილი გამოთქვა ფიზიკურად ყველაზე სუსტმა, მომცრო ტანის ქალიშვილმა ეკატერინე (კატო) ვერულაშვილმა. ამ მღელვარე ეპიზოდს ასე იგონებს მისი ძმა, ინჟინერი ოთარ ვერულაშვილი: ერთ საღამოს ჩვენს ოჯახში არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა — ეკატერინემ განაცხადა, რომ ფრონტზე მიდიოდა მოხალისედ, რომ უკვე იყო სამხედრო კომისარიატში და საერთო დასკვნით სამხედრო სამსახურისთვის შესაფერისად ცნეს. ახლობლებმა შეიცხადეს მისი გადაწყვეტილება, მძაფრად შეეწინააღმდეგნენ, მაგრამ კატოს წარბიც არ შეუხრია — ჩანთიდან ჯარისკაცის მოწმობა ამოიღო, სადაც ეწერა: რიგითი ეკატერინე ვარლამის ასული ვერულაშვილი იგზავნება ბაქოს საზენიტო ბატარეაში... პირველივე დღიდან შეუდგა კატო ჯარისკაცის მძიმე ცხოვრებას; გადიოდა სამწყობრო პოლიტიკურ მომზადებას, ითვისებდა საბრძოლო ტექნიკას. დღეები დღეებს მისდევდნენ. ერთ-ერთ საღამოს ზღვა აღელდა, წყალი სანგრებში შეიჭრა, ქვემეხებსაც შეექმნათ საფრთხე; სტიქია მთელ ღამეს მძვინვარებდა, საცეცხლე ქვემეხები სასწრაფოდ სხვაგან გადაიტანეს. ამ დაძაბული მუშაობის დროს კატო ცუდად გახდა, სუსტი აგებულების ქალიშვილმა ვერ გაუძლო ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვას და ლოგინად ჩავარდა. მძიმე ავადმყოფი თბილისში ჩამოიყვანეს. აქედან წერილებს სწერდა თავის საბრძოლო მეგობრებს — როგორც კი უკეთ შევიქნები, კვლავ თქვენთან ვიქნებიო, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობამ კატოს საშუალება არ მისცა თავისი დანაპირების აღსრულებისა.

ეკატერინე ვერულაშვილი არანაკლები თავგანწირვით, ფანატიკური სიყვარულით შეუდგა ქართულ თეატრში მუშაობას — ხაშურში, გორში, თელავში და ბოლოს, ვერიკო ანჯაფარიძის მოწვევით, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელგანთქმულ თეატრში, სადაც მრავალი განუმეორებელი კომედიური სახე შექმნა, მაყურებლის სიყვარული და უსაზღვრო პოპულარობა მოიპოვა. ასევე გამორჩეულია და ფასდაუდებელი მისი წვლილი კინოხელოვნებაში. მსახიობის მიერ განსახიერებული თუნდაც უსიტყვო ეკრანული როლები აღბეჭდილია საოცარი ინდივიდუალობითა და მომხიბვლელობით.

ომის დაუნდობელმა ქარტეხილმა ნაადრევად ჩააქრო ქართული თეატრის საიმედო შენაძენი. ბევრი მათგანი, შესაძლოა, მომავალი ვარსკვლავი გამხდარიყო, მაგრამ ბედმა მათ ბრძოლის ველზე გმირული სიკვდილი არგუნა. მათ შორის, როგორც რესპუბლიკის სახალხო არტისტი მარინე თბილელი იგონებს, განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩეოდა სერგო ლორთქიფანიძე, რომელმაც სადიპლომო სპექტაკლში „პავლე გრეკოვში“ ბრწყინვალედ შეასრულა მთავარი გმირის გრეკოვის როლი. დიდ იმედებს ამყარებდნენ, აგრეთვე, შალვა კერესელიძეზე, რომელსაც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ სპექტაკლში — „მზის დაბნელება საქართველოში“ — საპასუხისმგებლო როლის შესრულება დააკისრეს, ხოლო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ცნობილმა რეჟისორმა ალექსანდრე თაყაიშვილმა იგი, თავის თანაკურსელებთან იოსებ კობახიძესთან და ვასილ მაჩაიძესთან ერთად, მოზარდ მაყურებელთა თეატრში მიიწვია სამუშაოდ. იმავე წლის დეკემბერში ახალბედა მსახიობებმა, თეატრთან ერთად, წარმატებული გასტროლების სიხარული იწვნიეს მოსკოვში, ხოლო 1941 წლის 13 იანვარს შალვა ამხანაგებთან ერთად გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. სამამულო ომის დაწყებამ შ. კერესელიძეს კიევთან, საზაფხულო ბანაკში ყოფნისას, მოუსწრო. უკანასკნელი წერილი ივლისში გამოუგზავნია მეუღლისათვის — სმოლენსკის მიმართულებით მივდივართო, იწერებოდა მტერზე გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებული. სმოლენსკის ბრძოლა იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ელვისებური ომის ჩაფუშვის მნიშვნელოვანი ეტაპი, მაგრამ სამწუხაროა, რომ ბევრი რამ არ ვიცით ამ პირველი დიდი ბრძოლის მონაწილე ქართველების შესახებ, რომელთა შორისაც შალვა კერესელიძის გვერდით იქნებ მისი თანაკურსელებიც იბრძოდნენ.

სამამულო ომის ფრონტზე გმირულად დაეცნენ — ქრისტეფორე კუპრაძე, კორნელი შარაშენიძე, შოთა სადრაძე, მიხეილ შაიშმელაშვილი, რომლებმაც თან წაიღეს მრავალი ჩანაფიქრი, ოცნება. ვინ იცის, იქნებ რომელიმე მათგანს წარუშლელი კვალი გაევლო ეროვნული თეატრის განვითარების ისტორიაში. ომის მოწინავე ხაზზე იყვნენ: იოსებ ხიზანიშვილი, ივანე ბაბლიძე, გაიოზ ყიფიანი, გიორგი წვერავა, აკაკი ხოხიაშვილი, გიორგი სულიკაშვილი, შალვა კინწურაშვილი, შალვა ამისულაშვილი (შემდგომ ცნობილი პოეტი), გიორგი აბრამაშვილი (ამჟამად ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი).

ომის პერიოდში, სასაზღვრო ზოლში, ქართული დივიზიის ასეულის მეთაურად მსახურობდა ვახტანგ ღვალაძე, რომელმაც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთი სეზონი რუსთაველის თეატრში

იმუშავა მსახიობად, საიდანაც სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

თეატრალური ინსტიტუტის პირველი გამოშვების კურსდამთავრებულთა შორის ვხვდებით დავით თევზაძეს, რომელიც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა რუსთაველის სახელობის, ფოთის და სოხუმის სახელმწიფო თეატრებში მსახიობად; შემდეგ მან დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები და დღეს რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის პროფესორია. პატივცემული დავითი სინანულით იგონებს თავის თანაკურსელებს, რომელთა უმრავლესობას არ დასცალდა, გამოევლინა თავიანთი შესაძლებლობები, ნიჭი და უნარი; სიყვარულით გვესაუბრება აღმზრდელ-პედაგოგებზე, აღნიშნავს, რომ მათ იმ დროისთვის ფართო და საფუძვლიანი განათლება მიიღეს.

შეუძლებელია, ორიოდე სიტყვით არ შევჩერდეთ იმ შესანიშნავ პედაგოგებზე, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს პირველი გამოშვების და, საერთოდ, ქართული თეატრის კვალიფიციური კადრებით შევსების საქმეს: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, აკაკი ფაღავა, კუკური პატარიძე, დოდო ალექსიძე, მალიკო მრევლიშვილი, დავით კასრაძე, ეკატერინე კეიდია, შალვა დუდუჩავა, ალექსანდრე კიკნაძე, ვალერიან ადამიძე და, ბოლოს, დიმიტრი ჯანელიძე, რომელიც დღესაც ნაყოფიერად განაგრძობს პედაგოგიურ მოღვაწეობას. მათ აღზარდეს არა მხოლოდ პროფესიონალები, არამედ ნამდვილი მოქალაქეები, თავისი სამშობლოს ერთგული შვილები.

ერთი გამოშვების სურათმა მრავალი ადამიანის ბედზე დაგვაფიქრა. ბევრი რამ კვლავ ამოუხსნელი დარჩა. ვიმედოვნებთ, ამ წერილს უეჭველად გამოეხმაურება მკითხველი, რაც საშუალებას მოგვცემს, მომავალში უფრო სრულად წარმოგიდგინოთ ჩვენი თაობებისთვის ესოდენ სამაგალითო ადამიანების ცხოვრების ყურადსაღები ეპიზოდები.

**ვაჟა ძიგუა**

**ქიშვარდ ისაკაძე**

# „რა დავიბადე, სოფლით ვიბადე"



სილო გოგლიძე გვმასპინძლობს—ოთხმოცდაოთხ წელს გადაცილებული ბერმუხა. რაჭა-ლეჩხუმში აკაკი წერეთლის მოგზაურობის შემსწრე.

— გუშინდელ დღესავით მახსოვს, წესის ოთხწლიანი სკოლის მასწავლებელმა ხარიტონ საგანელიძემ მოსწავლეები ეზოში ჩაგვამწკრივა და ზარ-ზეიმით გვითხრა: შაბათს ქუთაისიდან საქართველოს ბულბული აკაკი წერეთელი მობრძანდება რაჭაში. გამოიპიწკეთ. ახალი თუ არა გაქვთ, ძველი იყოს და სუფთად ჩაიცვითო.

— მერე?

— მერე ქვე რაღა დამაძინებდა? მოსვენება დავკარგე. ათი წლის ბიჭუნამ სანუკვარი შაბათის მოლოდინში თეთრად გავტეხე რამდენიმე ღამე...

რაჭული სიდინჯე მოსდგამს ჩემს მასპინძელს, სიდინჯე და მოსწრებული ფხიანი სიტყვა.

ცრის.

აივანზე ვსხედვართ.

სილო გოგლიძე ენამზეობს. თანდათან გრძელდება ფიქრის ძაფი. ცოცხლდება გარდასული. ერთმანეთის მიყოლებით კრიალოსნის მარცვლებივით იკინძება და ხმიანობს შორეული დღეების ექო.

...შაბათია.

1912 წლის ივლისი.

მზემ შემოიმაღლა. სიო ჩადგა. მოწმენდილ ცაზე ტოროლები დანავარდობენ.

გინახავთ ნიკორწ მ ი ნ დ ა? თვალი შეგვილიათ დიდოსტატის ხელით აზიდულ სვეტზე ყალმით დახატული წმინდანისათვის?

სწორედ ხატებას, ღვთიური ყალმით გაცოცხლებულ ხატებას ჰგავდა საქართველოს სიყვარულში მხცე თმითა და მხცე წვერ-ულვაშით შემოსილი სულმნათი აკაკი.

ეტლში იჯდა. წახრილიყო. ორივე ხელი მუხლებზეა ჩადებულ განუყრელ ხელჯოხზე დაებჯინა და ოდნავ მოჭუტული თვალებით გასცქეროდა რაჭის აბიბინებულ სანახებს.

უკეთესს რას ნახავდით!

მთებზე ნისლი აკრეფილიყო. იქით, ძირაგეულის ჭალის მიღმა, ცერად წასულ ფერდობზე, ვაზი ჩაეყარათ რაჭველებს. აქეთ სიმინდის ყანები და ხეხილის ბაღები იტაცებდა თვალს. კორდებზე შეფენილ სახლებთან ერთმანეთს ენაცვლებოდა ნაპატიები ბაღჩები და ბოსტნები, ზვრები და ბაღები, სათესი და სათიბი...

ტევა არ იყო.

სასიქადულო სტუმრის დასახვედრად მთელი რაჭა დედაბუდიანად გამოკრებილიყო კარში.

ქალები მანდილებს იქნევდნენ. კაცები „მრავალჟამიერს" აგუგუნებდნენ. ხის კენწეროებზე ჩამოსკუპებული ბავშვები ფერად ყვავილებს აყრიდნენ და აყრიდნენ მგოსნის ეტლს.

ის-ის იყო, ბარაკონი გამოჩნდა და აკაკიმ წამოდგომა ინება.

ეტლმა სვლას უკლო.

გზის ორივე მხარეს ჩარიგებული ხალხი გაირინდა.

შეიმართა მგოსანი. გახედა ზღვა ხალხს. ჩაიღიმილა. აღაპყრო ხელი და ლოცვასავით სასოებით ამოილაღადა:

— იმრავლეთ, შვილებო! ასეთი ხალხმრავლობა ნურასოდეს მოაკლდეს რაჭას!

მერე ის იყო, ყურთუკიანი მუთაქებითა და ოქროსყაითნიანი ციცქნა ბალიშებით მოფენილი ეტლიდან მგოსანი საკარცხულში ჩააბრძანეს. ხელით ატარეს და ხალხით სავსე ბარაკონის ეკლესიაში ციმციმ შეაბრძანეს.

— თამადა ვინ იქნება? — იკითხა აკაკიმ, როცა წირვა დამთავრდა და ეზოში გამოშლილი სტუმარ-მასპინძელი ხორაგით დაზვინულ გრძელ სუფრას შემოუსხდა.

იობა ისაკაძემ, რაჭაში აკაკი წერეთლის მიწვევის მოთავემ, ჩიხტიკოპიან ბანოვნებში ჩამომჯდარ სტუმარს ბრგე და წითური ვაჟკაცი წარუდგინა.

— რა გვარის ბრძანდები, ყმაწვილო? — მგოსანმა რამდენჯერმე ყურადღებით ახედდახედა მის წინ ჩამომდგარ სათამადოდ დარჩეულს.

— ახვლედიანი გახლავართ, ბატონო.

წამით ჩამოვარდნილი დუმილი აკაკიმ დაარღვია:

— ახლა ეს მიბრძანე, თამადად რატომ გირჩევენ?

— მენდობიან და იმიტომ.

— რაში?

— სმაში.

აკაკის ღიმილმა ახვლედიანი შეათამამა. წადგა ბიჭი. შემართა გაშლილი ხელისგული და რიხიანად დასჭექა:

— ამ ხელისგულზე ერთ ჩაფ ღვინოს ვიდებ და ისე ვსვამ, აი, ამიტომ მირჩევენ თამადად!..

— რა გიკვირს, — მგოსნის თვალებში ისევ გაკვესა ღიმილმა, — ექვს შაურიან ტიკჭორაში ორი ფუთი ღვინო ჩადის, მარა ტიკჭორას თამადად როდი ირჩევენ.

პურობა გვიანობამდე გაგრძელდა.

მოილხინა მგოსანმა.

სახეზე ეტყობოდა, რაჭაში ნანახი, განცდილი და გაგონილი, მალამოსავით ესალბუნებოდა მის გულს..

ისევ ცრის.

ეზოში ქათმები კრიახობენ. სადღაც შორს, სოფლის ზემოთ, მაისაშვილებისა და ნატმელაძეების უბანში, ნაგაზი ყმუის.

მასპინძელი ზის. გულხელი დაუკრეფია. მიული თავი და



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ფიქრებში წასული გასცქერის ტყვიისფრად ჩაყამებულ ზეცას.

— რაზე ფიქრობ?

— აკაკიზე, — სილო გოგლიძე ოხრავს, — ახლაც ნათლად ჩამესმის ყურში მისი ნათქვამი სიტყვები: „იმრავლეთ, შვილებო! ასეთი ხალხმრავლობა ნურასოდეს მოაკლდეს რაჭას!“.

წვიმამ თანდათან უმატა.

უმატა და უმატა.

— ვერ არის საქმე კარგად. თუ ასე გაგრძელდა, ა, გახედე, რაჭაში მალე ესლა შეგვრჩება ხელში.

გავხედე.

მასპინძელი მაისაშვილებისა და ნატმელაძეების ოდებისკენ მიმანიშნებდა.

მეჭაშნიკა.

დაივლი სერებს. შემოივლი ონის და ამბროლაურის რაიონებს. გადასერავ ჭანჭახის, ჯეჯორას, ლუხუნის, ბარულას, კრიხულას ხეობებს. შემოიმალებ. ახლა ზემოდან გადახედავ ნაცნობ სანახებს და ბოღმით აგევსება გული.

ბრძოლის ველზე დაცემულთა მოსაგონარივით დგანან დაცარიელებული სახლები.

ცოტა არ გეგონოთ.

რაჭაში ახლა იშვიათია სოფელი, საცა ჩამქრალი თვალებით არ დგანან კერიაგაციებული, კარგამოკეტილი, უკაცრიელი სახლები.

ვაგლახ!

შამბი მოსდებია ნაყანარებს. გამეჩხრებულა ზვრები. ეკალ-ბარდით დაფარულა სიმინდისა და პურის ყანები, ბოსტნები, ბაღჩები და ხეხილის ბაღები...

სახნავ-სათესი, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა სისხლის ფასად გამოსტაცეს ტყეს, ისევ ტყევდება.

ფაქტი გნებავთ?

ინებეთ.

ზვრები, რომლებშიც ორმოციოდე წლის წინ უხვად ხარობდა საქვეყნოდ განთქმული ყურძნის ჯიშები „ალექსანდროული“, „მუჯურეთული“, „წულუკიძის თეთრა“, თითქმის განახევრდა.

ორჯერ და უფრო მეტად შემცირდა სახნავ-სათესი ფართობი...

ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „რაჭა ჰავით არს კეთილშვენი, ზაფხულ გრილი, ზამთარ თბილი და უქარო, მოსავლიანი. ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი, მტილოვანნი“...

რა მოხდა?

რატომ ცარიელდება „ჰავით კეთილშვენი“ უხვმოსავლიანი რაჭა?!

ძველთაგანვე ასე იყო: შემოდგომაზე, როცა ჭირნახულს დააბინავებდა, რაჭველი გლეხკაცი გუდა-ნაბადს აიკრავდა და ორიოდე გროშის საშოვნელად ცხრა მთას იქით გაუტევდა.

შინიდან წასვლა დროებითი იყო.

ივლიდა გლეხკაცი. კარიდან-კარზე დაივლიდა. სამუშაოს მოიძიებდა და ოფლით ნაშოვნ კაპიკზე კაპიკს დაადებდა.

გაზაფხულზე, როცა საქმე მოუხმობდა, — გარეთ დურგალი, ქვის მთლელი, მეთუნე, კირით ხურო რაჭველი სოფელში იბრუნებდა პირს — ბარს, სასხლავს, წერაქვს დაავლებდა ხელს და ისევ ხელმადლიან, გამრჯე გლეხკაცად იქცეოდა.

ასე იყო და ასე გრძელდებოდა.

მთის რაიონებიდან ომისშემდგომ წლებში მოსახლეობის ქალაქში გადასახლებამ განსაკუთრებით რაჭაში იჩინა თავი.

მიგრაცია მეტწილად ახალგაზრდობას შეეხო.

თანდათან დაცარიელდა სახლები. სოფლებში მოსახლეობამ თვალში საცემად იკლო. მოძალებულ სამუშაოს ძლივსლა აუდიოდნენ შინ დარჩენილი შუახნის კაცები, ქალები, მოხუცები, მოზარდები.

შეცდომებიც იყო.

რა დასამალია, მაღალმთიან ზონებში გატარებული ზოგიერთი ღონისძიება ზუსტად ვერ ესადაგებოდა რაიონის სამეურნეო შესაძლებლობას და ეკონომიკურ პოტენციალს.

ზოგჯერ ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ადგილობრივ კადრებს, მთის ტრადიციებს, გამოუყენებელ რეზერვებს...

თავი იჩინა ზოგიერთი თავკაცის უნიათობამ. თანდათან დაირღვა მართვის სწორი ორგანიზაცია. შემცირდა შრომის ანაზღაურება. რაჭის თითქმის ყველა კოლმეურნეობა არარენტაბელური გახდა.

ახალგაზრდებს უფროსებმაც აუბეს მხარი.

არც იყო გასაკვირი.

დაკნინებულ სოფელში აღარ დაედგომებოდათ.

— სხვა სატკივარიც გვჭირს, — სილო გოგლიძე ისევ ოხრავს, — წავხდით. სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო! ასე გვემართება. გეიგე?

გავიგე.

გავიგე და მაშინვე მივხვდი, რა სატკივარი უღონებდა გულს აფორიაქებულ ბერიკაცს.

ასეა და ასე იყო: გაჭირვებულს მხარში უდგებოდნენ. დალხინებულს — ბანს აძლევდნენ.

რაჭას გაუჭირდა.

ახლა, ყველაზე მეტად სწორედ ახლა სჭირდება შემწეობა. ახლაა საჭირო თანასოფლელების ერთმანეთთან შეხიდება და მხარში საიმედოდ ამოდგომა.

დრო აღარ ითმენს.

ვისაც უყვარს წინაპართა ნაფუძარი, ყველაფერი უნდა ილონოს, რომ სერებსა და კორდებზე აღარ მომრავლდეს კერიაჩამქრალი, კარგამოკეტილი, უკაცრიელი სახლები.

ასეა კი?

შორს ნუ წავალთ. ახლომახლო სოფლებიდან რამდენიმე საგულისხმო მაგალითიც კმარა, რომ გული დაეთუთქოს ადამიანს.

ობოლაძიდან დავიწყოთ.

ამბროლაურის რაიონის სოფელ ხიმშის მკვიდრიდან:

წუთისოფელი ასეა: დაიჩეკებიან, იმრავლებენ, იბარტყებენ, დაჩიტდებიან და ბუდეებიდან დაფრინდებიან.

თემურ ობოლაძემაც მოიწადინა საკუთარი ჭერფუძის შექმნა.

არც იყო გასაკვირი: თემურს სამი და-ძმა ჰყავს. იშრომა. თანდათან მოიმაგრა წელი. დაოჯახდა და როცა შვილი შეეძინა, საკარმიდამო ნაკვეთის მისაღებად კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიაშურა.

თქვენც არ მომიკვდეთ. მართალი კაცის სამართლიანი თხოვნა უდაბნოსა შინა ღაღადისად დარჩა.

იარა თემურმა. აგროსამრეწველო განყოფილება აწრიალა. იარა და საკარმიდამო ნაკვეთი ვერა და ვერ მიიზომა.

თავს ზევით ძალა არ იყო. ადგა. გუდა-ნაბადი აიკრა. განაწყენებული გაერიდა სოფელს. წაასხა ჯალაბი და წინაპართა სამკვიდროდან საცხოვრებლად ტყიბულში გადავიდა.

სულ სხვა იყო მიზეზი, რომელმაც გორისუბნელი მექანიზატორი ვალერი წულუკიძე აიძულა ქალაქში დამკვიდრებულიყო.

აი რას წერდა იგი განცხადებაში, რომელიც საცა ჯერ არს, რამდენჯერმე ახლა:

ახლო-მახლო სოფლებში სკოლები დაიკეტა. გორისუბნიდან უახლოეს ბუგეულის სკოლამდე თორმეტი კილომეტრია. ზაფხულში ჰო, ზამთარში რა ვქნა? ორი პირველკლასელი შვილი აქეთ-იქით დღეში ოცდაოთხი კილომეტრი თოვლსა და ყინვაში როგორ უნდა ვატაროო.

ბევრს არ ითხოვდა.

რაჭა მიყვარს. დამეხმარეთ. ამბროლაურში სამუშაო გამომინახეთ. გადავალ. ოჯახს გადავიყვან. ვიმუშავებ. ქვეყანასაც გამოვადგები და ბავშვებიც იქ ისწავლიანო.

გადავიდა.

იქ კი არა — საცა ითხოვა. სხვა ჩარა არ იყო: საცხოვრებლად ქუთაისში გადასახლდა.

— რეხვიაშვილზე რაღას იტყვი?

— რომელზე?

— სულხანზე, — სილო გოგლიძე ცამდე აზიდულ მთის ძირისკენ მიმანიშნებს, — სოფელ მუხლის მკვიდრზე, გახსოვს? გაანაწყენეს. გული მოუკლეს და სამუშაოდ თბილისის მეტრომშენში გადავიდა.

— ვიცი.

— ბორის ომიაძეც ქვე გეცოდინება?

ესეც ვიცოდი.

ბორისი სოფელ სადმელში ცხოვრობდა. როცა სამხედრო სამსახური მოიხადა, შინ დაბრუნდა. კოლმეურნეობაში მძღოლად დაიწყო მუშაობა. მოითქვა სული. დაოჯახდა და ცალკე დასახლება მოიწადინა. წადილი წადილად დარჩა.

სოფელს კიდევ ერთი ალალი, მზარდი და შრომისმოყვარე ოჯახი გამოაკლდა.

ეეე!

ზღვა რომ ზღვაა — ისიც წვეთებისგან შედგება.

რაჭა ზღვა როდია.

აბა სად ძალუძს ამ ციცქნა კუთხეს, იმდენი ზიდოს, იმდენს გაუძლოს, იმდენი გაიღოს, რასაც ზღვა იქმს?

ეეე!..

გამოიდარა.

საირმის კლდიდან მონაბერი ქარი ჩადგა.

მოწმენდილ ცაზე ბელურები ჟივჟივებენ.

— საშველს თუ ხედავ?

მასპინძელი კარგა ხანი უსიტყვოდ ზის. ფიქრებში წასული გასცქერის ცას და ხმადაბლა მეუბნება:

— ვხედავ. არც ისე წვიმს, როგორც ქუხს.

შეჩერდა და განაგრძო:

— იყო ერთი რაჭველი კაცი... იობას შვილიშვილი — ოთარ ისაკაძე. შენც კარგად იცი, თბილისში ცხოვრობდა.

დასტურით ვიქნევ თავს.

— მეფე ვახტანგ მეექვსემ ბრძანა: რაც დავიბადე, სოფლით ვიბადეო!

— მერე?

— მერე და მერე. სოფელმა თავისი ქმნა. ოთარ ისაკაძე თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ამოდიოდა სოფელ მუხლში. შვებულებასაც ყოველთვის რაჭაში ატარებდა.

— ვიცი.

— ისიც გეცოდინება: ჩამოვიდოდა. აიკაპიწებდა მკლავებს. სხლავდა და ბარავდა, რგავდა და ღობავდა... ხომ ნახე, იმ სულგანათლებულმა სასაფლაოს შემოსაღობად რამდენი მასალა აშოვნინა მუხლელებს. სოფლის გზების მოწესრიგებაშიც გვაშველებდა ხელს... — სწორედ მაგისთანაზე უთქვამს ილიას: კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს — ერთი აქ დასატოვებელი, მეორე თან წასაყოლიო...

— ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს.

— სხვებიც არიან.

სილო გოგლიძეს უცნაურად უციმციმებს თვალები. ზის. გვერდულად მიყურებს და წვრილ-წვრილად ახლა თავისი თანასოფლელის აკაკი გოცირიძის ამბავს მიყვება.

ნუ ჩავეძიებით. მოსახდენი მოხდა. სოფელ მუხლის მკვიდრი აკაკი გოცირიძე იძულებული გახდა, ხელი ჩაექნია და გუდა-ნაბადი აეკრა.

სხვებს არ მიბაძა.

დააპირა და არ მიბაძა. თბილისში მამისეული ბინა დაკეტილი ჰქონდა, მაგრამ რაჭაში დარჩა. ცოლეულში დასახლდა. წესში დაიდო ბინა.

— მერე?

— არაფერი წაუგია. ოჯახიც სანაქებო აქვს. სახელი და პატივიც არ აკლია. აკაკი გოცირიძის გარეშე ჩვენი სოფელი ახლა წარმოუდგენელია. გამოცდილი ზოოტექნიკოსიც არის, მეგობარი, ყველას შემწეცა და წესის კულტურის სახლის ღვაწლმოსილი ლოტბარი და დირექტორიც.

შეჩერდა და განაგრძო.

— მეტსაც გეტყვი. აკაკის ბიჭუნეებმა ბესიკუნამ და ლევანიკამ უმაღლესი წითელი დიპლომებით დაამთავრეს. სად არიან? საცა გულმა გაუწიათ. ერთი წესის რვაწლიანი სკოლის დირექტორია, მეორე პარტიის ამბროლაურის რაიკომის ინსტრუქტორი...

სადღაა რაჭული სიდინჯე.

სილო გოგლიძე ვერ ჩერდება. წამოიწევს და ისევ დაჯდება. სიხარულით უციმციმებს თვალები. ღიმილის და გატაცებით მიყვება რაჭაში უკან მობრუნებულთა ამბებს.

— მოიცა, ესეც უნდა გითხრა...

გოგობერიშვილებზე მიყვება. თავისი სოფლის მკვიდრებზე.

— არ დაგიმალავ, სოფლიდან აყრილი ძმები გელაუკა და გეზოუკა გოგობერიშვილები გვარიანად მოეწყვნენ თბილისში. არაფერი აკლდათ. მიწის ყივილი იცი? ეხლა გაიგე: როცა სოფელს გაუჭირდა, როცა მიწამ — მამაპაპათა მიტოვებულმა ზვრებმა და სათიბებმა იხმეს — ძმები წესში მობრუნდნენ. ყველაფერი მიატოვეს და დაბრუნდნენ.

— ახლაც აქ ცხოვრობენ?

— მიბრძანდი, ნახეყე, გული გაგინათდება მათი მონაგარის ყურებით... ჰო, მართლა, ბარემ ამასაც გეტყვი: სამშეუკა ნატმელაძის გოგუნეებმა უმაღლესი რო დაამთავრეს, ორივენი სოფელში დაბრუნდნენ. ქეთუნიკას, როგორც იქნა, ქვე უშოვეს ადგილი. რუსიკუნასთვის უშველებელი გაჩნდა. თბილისში მუშაობს, ხოლა, ხელფასს ნაქირავებ ბინაში იხდის...

ეზოში ისევ კრიახობენ ქათმები.

ბოსელში ძროხა ზმუის.

სადღაც შორს, სოფლის თავში, მაისაშვილებისა და ნატმელაძეების უბანში ვიღაც სტვირს უკრავს.

— იცი, რა მახარებს?

შეკითხვას არ უცდის.

— საქართველოს მთავრობამ და ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ დადგენილება მიიღეს რაჭაზე. უნდათ, დაგვეხმარონ, ხელი შეგვიწყონ და მხარში ამოგვიდგნენ. ჰა, როგორია?

— დიდებული.

— დიდებულზე მეტი!

ეზოს წინ ბავშვებმა ჩაირბინეს. ბურთს ყიჟინით მისდევდნენ.

ვზივარ. ფიქრებში წასული გავცქერი რაჭის სანახებს და მოულოდნელად ჩამესმის ყურში სილო გოგლიძის მჟღავანი ხმა:

— დაბრუნდებიან!.. სხვებიც დაბრუნდებიან!..

ბერიკაცმა ბიჯი წადგა. ახედა ცას. აღაპყრო ორთავე ხელი და ლოცვასავით სასოებით ამოიღაღადა:

— იმრავლეთ, შვილებო! ასეთი ხალხმრავლობა ნურასოდეს მოაკლდეს რაჭას! კი. მოვა დრო და კვლავაც ასე იტყვიან! გწამდეს!

**რედაქცია სთხოვს მკითხველებს, გამოეხმაურონ ქიშვარდ ისაკაძის ნარკვევს, რომელიც სადღეისო პრობლემებს ეხება.**

# რა მიყვარდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნათელა ფაილოძე,**

საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

მაგონდება 40-50-იანი წლების გეგეჭკორის რაიონის კულტურის სახლი და იქ გაშლილი მჩქეფარე შემოქმედებითი ცხოვრება. იმ მძიმე წლებში ყოველ შაბათ-კვირას გაჩახჩახებული მისი სცენა და დიდი დარბაზი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტებზე, სპექტაკლებზე იხმობდა დიდსა თუ პატარას, ყოველივეს სულისჩამდგმელი ცნობილი ლოტბარი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ტრიფონ დავითის ძე ხუხუა გახლდათ.

ყველა მღეროდა ტრიფონ ხუხუას მიერ გადარჩენილ მეგრულ სიმღერებს, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობა. 40-იანი წლების გეგეჭკორის რაიონულ ცენტრში მცხოვრები მოზარდებისათვის ის ტრიფონ მასწავლებელი იყო.

გაკვეთილების შემდეგ კულტურის სახლში მივდივართ, ტრიფონ ხუხუა გვიბარებს — გამოგვიცხადა ერთ დღეს კლასის ხელმძღვანელმა ნორა მასხულიამ. კულტურის სახლი მაშინ ცაცხვებითა და თელებით, მარადმწვანე მცენარეებით დაჩრდილულ პარკში იდგა. ის იყო რაიონის ინტელიგენციისა და მოსწავლე ახალგაზრდობის მთავარი თავშესაკრები. ჩვენი წარმოდგენით, აქ იდგმებოდა საუკეთესო სპექტაკლები, ულამაზესი ქალიშვილები ასრულებდნენ ჩონგურზე ტკბილ მეგრულ სიმღერებს, აგუგუნებდნენ ჩოხოსანი ჭაბუკები ომახიან სიმღერებს, ცეცხლის ნაპერწკლებს ყრიდნენ მოცეკვავე ბიჭების ხმლები... და ყველამ ვიცოდით, ამ ზღაპრული სახლის განმგებელი მაშინ ტრიფონ ხუხუა რომ იყო.

იმ წლებში კულტურის სახლი, რომლის დირექტორი ნიკოლოზ მანჯგალაძის შემდეგ ის იყო, მისი სცენა, კულისები, საწრეო მუშაობისათვის განკუთვნილი ოთახები, ყველას იზიდავდა. გვიყვარდა იგი და მის გვერდით მოღვაწე კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრის მსახიობები — ნოდარ მასხულია, ნინო ალლაძე, ტატო ფალავა, გიორგი სალუქვაძე და სხვები.

...ტრიფონ მასწავლებელი ღიმილით შემოგვეგებება კულტურის სახლის კარებთან მისულ მთელ კლასს.

მახსოვს, ოდნავ გაცვეთილი, მაგრამ გაპრიალებული შავი ჩექმები ეცვა, გალიფე შარვალი, გვერდზე შეხსნილი შავი სატინის პერანგი. წელზე გრძელი, წვრილი ვერცხლის ბალთებიანი ტყავის ქამარი ერტყა.

— თქვენი სკოლის დირექტორს ვარლამ ჯანჯღავას მადლობა უნდა მოვახსენო, კარზე ათის ნაცვლად ოცდაათი ასეთი საპატიო სტუმარი რომ მომაყენა, — მობრძანდით, ჩემო ბატონო, მობრძანდით, — შემოგვეგება მასპინძელი და კულტურის სახლის დარბაზში შეგვიძღვა.

თვითონ სცენაზე ავიდა.

— ამ ბეწვის ხიდს ხომ ხედავთ, სათითოოდ ამის გავლით ამოხვალთ სცენაზე (სცენასა და დარბაზს შორის მაშინ კულტურის სახლს დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი. აქ მთელ რაიონში განთქმული სულავას სასულე ორკესტრი უკრავდა ხოლმე).

— ნაზი კვესელავა! ლამარა გაბისონია! — რიგ-რიგობით გამოიძახა ყველა.

გული არავისთვის დაუწყვეტია, ზოგს ლექსი ათქმევინა, ზოგსაც რაღაც გამოაცხადებინა, ზოგი ამღერა და ზოგსაც ხელში ფანდური მისცა.

ყველას ღიმილით ისტუმრებდა დარბაზში. როგორც იყო, ჩემი რიგიც დადგა... ჰოდა, კულტურის სახლის იმ დიდ დარბაზში მეხის გავარდნასავით მომესმა ჩემი გვარი.

არ მახსოვს, როგორ გავჩნდი „ბეწვის ხიდთან“, სცენაზე.

— რას წაიკითხავ? — მკითხა ტრიფონ მასწავლებელმა.

— ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობს“. — ვუპასუხე და თვალებით დარბაზში ნორა მასწავლებელი მოვძებნე. (კლასის ხელმძღვანელი იქიდან გვამხნევებდა).

სულმოუთქმელად ჩავაბულბულე: „პაწაწა ვარ, ობოლი, ბედმა დამიბრიყვა...“ ფურცე-

ლი შემომაჩეჩა. გეგეჭკორის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის საკონცერტო პროგრამა გახლდათ.

წინ წავიწიე და სცენიდან დარბაზს ხმამაღლა გადავძახე: ...ანსამბლი ტრიფონ ხუხუას ხელმძღვანელობით მეგრულ სიმღერას „ჩელას“ შეასრულებს-მეთქი.

ბავშვებმა ტაში დასცხეს.

ტრიფონ მასწავლებელს გაეცინა.

— ცოტა ხმამაღლა რომ არ ყვიროდე... მაგრამ არა უშავს, დაიხვეწები.

ახლა ჩონგური მომცა ხელში.

უარის ნიშნად თავი გავიქნიე.

— რაო, ბებიამ არ გასწავლა? სულ დაავიწყებენ ამ ბავშვებს ჩონგურზე დაკვრას.

ახლა ეს არის მოდაშიო და ფანდური გამომიწოდა.

ფანდურსაც ხელი არ ვახლე.

სიმღერის წამოწყება დამავალა.

„გაფრინდი შავო მერცხალოს“ ჩემებური ვარიანტი წამოვიწყე, ისე, როგორც მარტვილის ფერდობიდან ჩვენი უბნის ბავშვები გავყვიროდით ხოლმე.

ტრიფონ მასწავლებელმა გაიცინა.

— ხმა კი გაქვს, მაგრამ...

შემდეგ სამი მოსწავლე შეგვარჩია და გამოაცხადა: ამათ მოსწავლეთა სიმღერის გუნდში გავაერთიანებ. ყველა მომეწონეთ, მაგრამ გამოცდა ვინც კარგად ჩააბარა, ის ივლის ყოველდღე კულტურის სახლში; გზას დანარჩენებსაც როდი ვუკეტავ, მოდით და რეპეტიციებს დაესწარით. უსმინეთ, ესეც კარგი საქმეა.

ასეთი იყო. მოზარდში პიროვნებას ხედავდა. იმედს არასოდეს გადაუწურავდა.

გვასწავლიდა ჩონგურზე და ფანდურზე დაკვრას; გვინერგავდა ქართული ხალხური სიმღერების სიყვარულს. ქვეყნისა და ხალხისათვის იმ მძიმე ორმოცდაერთში სად ჰქონდა ამ კაცს ამდენი იუმორის თავი, იმედიანი სიტყვა და განუშორებელი ღიმილი.

გვავარჯიშებდა მეტყველების დახვეწაში. განსაკუთრებით დედით თუ მამით ობლებს მისი თბილი, ადამიანური დამოკიდებულება გვხიბლავდა. იმ წლებში ბავშვების პატრონი სკოლა იყო ან ბებიები და ცალუღლად დარჩენილი დედები. ბავშვებისათვის კი ამ დროს განსაკუთრებით ფასობდა ღიმილი, თბილი სიტყვა, კეთილი გული.

1942-43 წლების სუსხი მწვავედ მისწვდა გეგეჭკორსაც. ბავშვები სხვადასხვა სოფელში დავიფანტენით, ობლები ნათესავებმა შეგვიკედლეს, თვითონ ტრიფონ ხუხუაც ოჯახით მშობლიური სოფლისაკენ წავიდა.

მხოლოდ 1945-ში შეიკრიბა კვლავ გეგეჭკორის საშუალო სკოლის კოლექტივი (ახლანდელი 1-ლი სკოლა). მაშინვე მივაკითხეთ კულტურის სახლს. სკოლაში შეიქმნა მოსწავლეთა გუნდი, დაიწყეს მზადება ომისშემდგომ, მოსწავლეთა თვითშემოქმედებითი პირველი ოლიმპიადისათვის.

ტრიფონ ხუხუა ოჯახით კვლავ გეგეჭკორში დაბრუნდა. რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი წამოაყენა ფეხზე. ამ ანსამბლის რეპეტიციებზე ისე დავდიოდით, როგორც კონცერტზე.

ასე გვაზიარა მშვენიერების სამყაროს ბავშვობის წლებში დიდებულმა მოღვაწემ, თავისი საქმის დიდმა პატრიოტმა და პროპაგანდისტმა. მან შეგვაყვარა თეატრი, გვასწავლა მუსიკის მოსმენა, მხატვრული სიტყვის ფასი, ტექსტზე მუშაობა.

...1947 წლის მაისში გეგეჭკორში მოვლენად იქცა პროფესორ აკაკი ფალავას სტუმრობა. მთელ რაიონს მოედო: თბილისიდან ჩამოსული სოფელ-სოფელ დადის სკოლებში, თეატრალური ინსტიტუტისათვის ახალგაზრდებს არჩევსო.

ჩვენი სკოლის დირექტორმა სოლომონ ქუთათელაძემ სულ რამდენიმე ბავშვი გააფრთხილა (ცოტა უკეთ, ხეირიანად ჩაცმულები), სტუმარს შეხვდებით, მოემზადეთო. ორნი მაინც გამოვცხადდით გაუფრთხილებლად და ბოლო მერხზე მიყუჟულნი გაფაციცებით ვუსმენდით აკაკი ფალავასა და მასპინძლების დიალოგებს. სტუმარმა გამოიძახა ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე... ბოლოს მეც გამიხმო.

ვიუარე. არა, ბატონო, არა ვარ თქვენთან დაბარებული-მეთქი.

გაეღიმა, მანიშნა, გამოდიო და მკითხა, ლექსი თუ გითქვამს სცენაზეო.

მხოლოდ ჩვენს კულტურის სახლში-მეთქი, ვუპასუხე.

— ოჰო, შენ გამოცდილება გქონია, ტრიფონ ხუხუას მოწაფე იქნები, აბა, რას წაგვიკითხავ?

— ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობს“, — წამომცდა უნებურად.

წავიკითხე. მგონი უკეთ ვიდრე ტრიფონ მასწავლებელთან.

— კიდევ, რომელი მწერალი გიყვარს?

— გალაკტიონ ტაბიძე, მისი ბევრი ლექსი ვიცი, — ვუპასუხე.

რამდენიმე წამაკითხა. შემდეგ ტრიფონ მასწავლებლის შერჩეული რეპერტუარიც მომეშველა.

— ვინ გასწავლიდა მეტყველებას?

სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნორა მასხულია და კულტურის სახლში ტრიფონ ხუხუა-მეთქი.

— ტრიფონ მასწავლებელი სიმღერასაც გვასწავლის, ჩონგურზე და ფანდურზე დაკვრასაც, იქ ცეკვასაც გვასწავლიან, — წამომეშველნენ თანატოლები. თბილისიდან ჩამოსულ პროფესორთან ტრიფონ მასწავლებელს ჩვენდამი გაწეული ამაგი არ დავუკარგეთ.

— ფასდაუდებელია ამ კაცის ამაგი რაიონის ახალგაზრდობისადმი, სადაც მივედი, ყველგან მისი კვალი დამხვდა, — გადაულაპარაკა მასთან ერთად მოსულებს სტუმარმა. შემდეგ მომიბრუნდა და გამაფრთხილა: — აიღებ ატესტატს თუ არა, თბილისში რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში მოხვალ, სტიპენდიას დაგინიშნავ. პატივცემულ ტრიფონ ხუხუას კი ჩემი მადლობა გადაეცი.

პროფესორი ყველას თავაზიანად დაგვემშვიდობა და წავიდა.

ასეთ ბოლოს არავინ ელოდა, განსაკუთრებით სკოლის დირექტორი.

მაშინვე კულტურის სახლისკენ გავიქეცით. ჩემი გამარჯვება და აკაკი ფალავას დანაბარებიც მთელმა კლასმა მიახარა ტრიფონ მასწავლებელს.

კარგად მახსოვს ის დღე... შავი, კრიალა ჩექმებით, გვერდზე ოდნავ შეხსნილი შავი სატინის პერანგითა და ვერცხლის ბალთებიანი ტყავის წვრილი, გრძელი ქამრით, შესასვლელშივე იდგა. სახე გაებადრა, აკაკის აქ, ჩვენთანაც, ველოდებითო.

გულწრფელად მირჩია:

— როგორც დაგიბარა ისე მოიქეცი. ომმა ბევრ რამეში შეგვიშალა ხელი. მისი აზრი ანგარიშგასაწევია. გეგეჭკორში კვლავ უნდა აღსდგეს სახალხო თეატრის ომამდელი ტრადიციები. ამ სცენაზე იპოლიტე ხვიჩია თამაშობდა და სხვა ბევრი კარგი მსახიობი... ისევ ადგილობრივი ახალგაზრდები უნდა დატრიალდეთ, ჩვენი ტრადიცია გააგრძელოთ.

...თეატრალურ ინსტიტუტში სასწავლებლად შინაურებმა არ გამიშვეს, გადაწყვეტილების შეცვლა ოჯახური ტრადიციის ღალატად ჩამითვალეს.

პედაგოგი უნდა გამოვსულიყავი.

შემდეგ, თბილისიდან გეგეჭკორში ჩასულები, მაინც კულტურის სახლისკენ მივიჩქაროდით. ტრიფონ მასწავლებელთან ვიკრიბებოდით, კვლავ ვესწრებოდით მისი ანსამბლის რეპეტიციებს, ვისმენდით მის დარიგებებს.

— ფალავას არჩეულ გზას არ გაყევი, მაგრამ, რა ვუყოთ. გახსოვდეთ, შემოქმედებაში თუ არტისტიზმი არ არის, ბავშვებს ვერ მოხიბლავ. მასწავლებელი ყოველდღე პრემიერას დგამს. თავის მიერ დადგმულ დიდებულ სპექტაკლში თვითონ თამაშობს. თვითონ არის მთავარი როლის შემსრულებელი. რეჟისორივით მუდამდღე „სპექტაკლის“ დასადგმელად ემზადება! თუ გაკვეთილს ეს ემოციური მხარეც არ ახლავს, ვერ იქნები მოზარდებისათვის საინტერესო მასწავლებელი, ამავე დროს მომხიბლავი პიროვნებაც, — დაგვმოძღვრა ერთხელ კიდევ ტრიფონ მასწავლებელმა მომავალი პედაგოგები. — კაცი რა საქმესაც მოჰკიდებს ხელს, უნდა უერთგულოს, ეს არის მთავარი.

...იმ თაობის მოსწავლეები გეგეჭკორში გატარებულ სკოლის წლებს ვერ ვივიწყებთ. გვახსოვს მაშინდელი მასწავლებლები — ვარლამ ჯანჯღავა, ნორა და ჯვებე მასხულიები, გრიშა დაგნაძე, აკაკი გაბისონია, გიორგი ცხაკაია, შურა ჩაჩავა, სოლომონ ქუთათელაძე, იონა სიგუა, ოლია რატიანი, ოლია გამსახურდია, გივი ელიავა, საშა გვალია, ნუცა ხაჟომია, ლოლა და ნინა გაგუები, ირა რუხაია... მათ შორის ზოგიერთი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ გვახსოვს პედაგოგისათვის დამახასიათებელი დიდი სითბოთი, მოზარდისადმი კეთილი დამოკიდებულებით.. ჩვენი შეხედულებით მათ გვერდით დგას ცნობილი ლოტბარი ტრიფონ ხუხუა — პედაგოგისათვის დამახასიათებელი ბევრი კეთილი თვისების მქონე კაცი. მისი ხსოვნაც მასწავლებლის მიერ გავლებულ ნათელ კვალთან ერთად მოგვყვება. ჩვენ კი არა, მთელ რაიონს უყვარდა, რესპუბლიკა იცნობდა.

ასეთი იყო ქართული ხალხური სიმღერების დიდი ქომაგი და შემსრულებელი, 80-მდე სიმღერის ავტორი (მათგან საკუთარ ტექსტზე 50-მდე რომ შეუქმნია). მის მემკვიდრეობას სათუთად უვლის მისი გზის გამგრძელებელი შვილი, პედაგოგი, სალხინოს სკოლა-ინტერნატის დირექტორი ომარ ხუხუა და ყველა კეთილმოსურნე, ვისაც კი მისი საქმიანობა ახსოვს.

ხალხი არ კარგავს ჭეშმარიტი ხელოვანის შემოქმედებას.

# მღერის სამი მაფშალია



მღერის „კოლხური ტრიო“. მღერის და დარბაზს ეფინება საამო, გულში ჩამწვდომი მელოდია. სევდიან კილოზე კვნესის ჩონგური. სულში გეღვენთება სამი „მაფშალიას“ — დონარა მიმინოშვილის, დარეჯან ფაჩულიასა და ბელა ქამადაძის ტკბილი ხმები. თავად სინაზითა და სიტურფით დამშვენებულნი, მღერიან სიყვარულის ამაღლებულ გრძნობაზე, სამშობლოს ერთგულებაზე, შრომის დიდებაზე, დედაშვილურ სითბოზე... მღერიან ხალხურ სიმღერებს, რომელიც საუკუნეების მანძილზე სათუთად შემონახულა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის საგანძურში, ხოლო საშემსრულებლო ტრადიციები თაობიდან თაობას გადმოსცემია, როგორც „ხელი-ხელ საგოგმანები“ რელიკვია.

ცხაკაიას რაიონის კულტურის სახლთან არსებული „კოლხური ტრიოს“ წევრებს მკითხველები კარგად იცნობენ. პატივსა სცემენ მათ რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც.

აგერ მერამდენე წელია სატელევიზიო საახალწლო გადაცემები „გამხიარულდი ბუხარო“ და „გულს ემღერება“, გვახარებენ „კოლხური ტრიოს“ გამოსვლებით. არაერთი შემოქმედებითი საღამო თუ საზეიმო კონცერტი დაუმშვენებიათ „კოლხ მზეთუნახავებს“, როგორც ეს მათ ხალხმა შეარქვა.

ტრადიციული „თბილისობა“ ხომ წარმოუდგენელია „კოლხური ტრიოს“ გარეშე. რამდენიმეჯერ მიიწვიეს ტალინში. იწვევენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც. ორჯერ მონაწილეობდნენ ხალხური სიმღერების შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსის დასკვნით ტურში. ორივეჯერ ოქროს მედალი, პირველი ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია გადაეცათ. ხოლო ცხრაწყაროში გამართული ვარინკა წერეთლის სიმღერის დღესასწაულზე რევაზ ლაღიძის პრიზით დაჯილდოვდნენ. წარმატებით გამოვიდნენ საკავშირო სატელევიზიო გადაცემაში „ჩემი მისამართია საბჭოთა კავშირი“. შარშან, მოსკოვში, ტელეკონკურსის „ამხანაგი სიმღერას“ დასკვნით ტურში, სადაც რესპუბლიკის სახელით მხოლოდ „კოლხური ტრიო“ მონაწილეობდა, სპეციალისტების საერთო აღიარება და მაყურებელთა გულწრფელი ტაში დაიმსახურეს. ჟიურიმ მათ კონკურსის ლაურეატობა მიანიჭა.

ყოველივე ეს პირველი მიღწევების დასაწყისია მხოლოდ.

...ათი წლის წინ, ცხაკაიაში მიმდინარეობდა ხალხური სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედ კოლექტივთა რაიონული დათვალიერება. დონარა მიმინოშვილი და დარეჯან ფაჩულია დაესწრნენ ოლიმპიადას და საშემსრულებლო დონით მეტად უკმაყოფილონი დარჩნენ.

დამთავრდა კონცერტი. მაყურებელთა დარბაზი დაიცალა. მხოლოდ დონარა და დარეჯანი ისხდნენ შეწუხებულნი. ერთხანს იკამათეს, იმსჯელეს და გადაწყვიტეს, თვითონ მოემზადებინათ რამდენიმე ხალხური სიმღერა და მეორე დღეს ეცადათ ბედი. ყველაფერი ეს დათვალიერების ბოლო დღეს მოხდა.

საჭირო იყო მესამე ხმა, მათივე მეგობარი ბელა ქამადაძე... და, აი, ბელამ დაბარებულივით შემოაღო კარი. გამხიარულდნენ ქალიშვილები. მეგობარს ჩანაფიქრი გაანდეს. ბელაც უყოყმანოდ დასთანხმდა.

იმ საღამოს გვიანობამდე ენთო შუქი რაიონული კულტურის სახლის ერთ პატარა ოთახში, სადაც იბადებოდა ახალი სიმღერები. აქვე დაწერა დონარამ „დოლური“, დამუშავდა ჩონგურზე „მა სი ვარდი“ და გიტარაზე „სიმღერა ქუთაისზე“.

დილით კი, რაკი რაიონის კულტურის განყოფილებამაც მხარი დაუჭირა, დონარა მიმინოშვილი, დარეჯან ფაჩულია და ბელა ქამადაძე წარსდგნენ მაყურებელთა წინაშე. მღელვარებას ზედ ისიც დაერთო, რომ სცენაზე გასვლის წინ დარეჯანის ჩონგურს ორი, ხოლო ბელასას — ერთი სიმი გაუწყდა.

შემსრულებლები გამოცხადებულია. ხალხი ტაშს უკრავს — ვიღაცას ასანთი აღმოაჩნდა და, იქვე შემოაცალეს ჩონგურს გაწყვეტილი სიმები... მარტო დონარა უკრავს, დარეჯანი და ბელა ისე ათამაშებენ ჩონგურზე თითებს. მღერიან თავდავიწყებით... მერე აღარ ახსოვთ, რა მოხდა. მხოლოდ ის დაინახეს, რომ დარბაზი ტაშისცემით ფეხზე წამოიშალა...

ჟიურის გადაწყვეტილებით ქალთა ტრიოს ნება დაერთო გამოსულიყო რესპუბლიკურ დათვალიერება-კ ო ნ კ უ რ ს ზ ე თბილისში. მაშინაც პირველი ხარისხის დიპლომი ერგოთ.

შეგულიანდნენ ქალიშვილები. გადიოდა დღეები. იკრიბებოდნენ ხან ერთთან, ხან მეორესთან და ამუშავებდნენ ახალ სიმღერებს, ეძებდნენ საკუთარ სტილსა და ხელწერას. შემდეგ მიწვევები საქართველოს ტელევიზიაში, საერთო პოპულარობა.

ქალაქ მოსკოვში, ტელეკონკურსში მონაწილეობისას, ცნობილმა საბჭოთა კომპოზიტორმა სერაფიმ ტულიკოვმა ღიღინით მიახვედრა ისინი „ცირა, ცირა, ნანაია“. იმღერეთო.

— რა კარგები ხართ, რა გულწრფელები, მომაჯადოებელი მეგრული სიმღერის შესრულებისას. თქვენ ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც შესანიშნავი, უმანკოებითა და სიფაქიზით აღვსილნი ყოფილხართ... ქედს ვიხრი თქვენი ღირსების, თქვენი სიმღერის სიხალისის წინაშეო, — აღფრთოვანება ვერ დაუფარავს ყველა ქართველისათვის საყვარელ მომღერალს, დაუვიწყარ ჰამლეტ გონაშვილს.

„კოლხური ტრიოს“ რეპერტუარი მრავალფეროვა ნ ი ა. მათ სიმღერებს თან მოაქვთ მშობლიური მიწის სურნელი და კოლხური მზის სითბო.

„კოლხური ტრიო“, მართალია, ცხაკაიას კულტურის სახლის ვოკალური ანსამბლია, მაგრამ ცხაკაიაში ჩასულს ძალიან გამიჭირდა მათი მოძებნა. დონარა მიმინოშვილი ნოსირში საბავშვო ბაღის გამგედ მუშაობს. ბელა ქამადაძე სარაიონო კულტურის სახლის მეთოდისტია, თან გოგონათა ტრიოს „მაფშალიასა“ და ვოკალური ანსამბლის „თუთარჩელას“ ხელმძღვანელიც არის. დარეჯან ფაჩულია პედაგოგია. ისიც, აგრეთვე, პიონერთა სახლის ვოკალურ წრეს ხელმძღვანელობს.

„მომღერალი ოჯახებიც“ შეიძლება ეწოდოს დონარასა და ბელას ოჯახებს. დონარას მეუღლე — გია კოღუა, ადრე საქალაქო კულტურის სახლის საესტრადო ანსამბლ „ეგრისში“ მღეროდა. აქ შეუღლდნენ. შემდეგ სცენაზე ერთად გამოდიოდნენ. მალე მათ შეუერთდა დონარას და — ლალი მიმინოშვილი. ახლა გია ცხაკაიას სარაიონო კულტურის სახლის ვოკალური ანსამბლის „კუჩხი ბედინერის“ ხელმძღვანელია. ორი შვილი ჰყავთ—ირაკლი და ეკა. ბავშვებსაც დაჰყვათ სიმღერის ნიჭი.

ბელას მეუღლე — როზმან ქამადაძეც მღერის და მათაც, კულტურის სახლთან არსებულ საესტრადო ანსამბლში რომ იყვნენ, მაშინ შექმნეს ოჯახი. ორ შვილს — თეასა და თემურს უზრდიან ქვეყანას.

როცა დარეჯანზე მიდგა ჯერი, თავისებური სხაპასხუპით ჩამომიკაკლა ბიოგრაფიული ცნობები: თბილისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მესამე სამუსიკო სასწავლებელი დავამთავრე და ბავშვობიდან ვმღერიო. სანამ „კოლხურ ტრიოს“ ჩამოვაყალიბებდით, განათლების პროფკავშირებთან არსებულ ვოკალურ ანსამბლში ვმღეროდიო.

ცხაკაიას კულტურის სახლში ვართ. კოლხმა ასულებმა ააწკრიალეს ჩონგურები. ახლა მათ მოსმენას რა სჯობს და მეც მონუსხული, უსაზღვროდ ბედნიერი ვუსმენ. ისინი ისე გატაცებით მღერიან, რომ სული გიამდება ადამიანს. ტკბილად მეღვენთება სულში ნაღვლიანი მეგრული ჰანგი და გონებაში თავისთავად ცოცხლდება პოეტ ნოდარ ჯალაღონიას ლექსის სტრიქონები:

...დარდი ახრჩობთ სიმებს
განა?
ძველი დარდი დამშრალია,
სამაია, სამთაგანა,
მღერის სამი მაფშალია...

**ლეილა ნოდია**

ილია ილფი,
ევგენი პეტროვი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბედნიერი მამა

ამხანაგი სუნდუჩანსკი ახალი წევრის შემატებას ელოდა. ბოლო, გადამწყვეტ დღეებში თანამშრომელთა მაგიდებს შორის დაბორიალებდა და მისუსტებული ხმით ბუტბუტებდა:

— ბიჭია თუ გოგო? აი რა მაინტერესებს, მარია ვასილევნა! გოგო თუ იქნა, რა დავარქვა?

მარია ვასილევნას სუნდუჩანსკების გვარის გაგრძელების საკითხი თითქმის არ აინტერესებდა.

— კლოტილდა დაარქვით, — უპასუხა მოლუშულმა, — ანდა რაც თქვენ გინდათ. საზოგადოებრივ საკითხებზე მიღება მხოლოდ მეცადინეობის დამთავრების შემდეგ მაქვს.

— ბიჭი თუ იქნა? — არ ეშვებოდა სუნდუჩანსკი.

— მაპატიეთ, არა მცალია, — უპასუხებდა მარია ვასილევნა, — დამკვრელური სამუშაო მაქვს შესასრულებელი.

— თუ ბიჭი იქნა, — ურჩევდა ამხანაგი ოტვერსტიევი, — ჩემ პატივსაცემად კოლია დაარქვი. და ძალიან გთხოვ, ფეხებში ნუ მებლანდები. სასწრაფოდ ტარის საკითხი უნდა მოვაგვარო.

ერთხელ სუნდუჩანსკი სამსახურში აქოშინებული მოვარდა:

— ტყუპი თუ იქნა, რაღა დავარქვა? — დაიყვირა მთელი განყოფილების გასაგონად.

თანამშრომლებს კვნესა აღმოხდათ.

— ღმერთო, რას შემოგვიჩნდი! რაც გინდა ის დაარქვი! თუნდაც დავითი და გოლიათი.

— ანდა ბროკჰაუზი და ეფრონი. შესანიშნავი სახელებია.

ბროკჰაუზი ოტვერსტიევმა წამოიძახა. იგი ერთობ ენაკვიმატი გახლდათ.

— თქვენ ხუმრობთ, — დაიჩივლა სუნდუჩანსკიმ, — მე კი ცოლი უკვე სამშობიაროში მივიყვანე.

მართალი უნდა ითქვას, სუნდუჩანსკის ამ განცხადებას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. სამეურნეო წლის ბოლო თვე იწურებოდა და ყველა ერთობ დაკავებული გახლდათ.

ბოლოს და ბოლოს საოცრება მოხდა, სუნდუჩანსკების გვარი გაგრძელდა. ბედნიერი მამა სამსახურისაკენ გაეშურა. მზეზე ყურები ალისფრად უბრწყინავდა. „ისე შევალ, ვითომდა არაფერი მომხდარიყოს“. — ფიქრობდა იგი, „ხოლო როცა დამესევიან და კითხვებს დამაყრიან, მაშინ კი შეიძლება რაიმე ვუთხრა“.

ასეც მოიქცა. შევიდა, თითქოსდა არაფერი მომხდარაო.

— ეი, სუნდუჩანსკი! დაუყვირა ოტვერსტიევმა. — რა ქენი, მზადაა?

— მზადაა, — დაირცხვინა ახალგაზრდა მამამ.

— აბა, აქეთ მოიტა!

— რა, ბავშვი?

— ეს კიდევ ბავშვზე ლაპარაკობს! ცხრილზე გეუბნები, მზადაა? ხომ იცი, დამკვრელური წესით უნდა ჩავაბაროთ.

დაღონებული სუნდუჩანსკი მაგიდას მიუჯდა და ცხრილის შევსებას შეუდგა. წასვლისას ველარ მოითმინა და მარია ვასილევნას უთხრა:

— იქნებ შემოგევლოთ, ბავშვს მაინც ნახავდით, სულ მე მგავს. რვა ნახევარ გირვანქას იწონის, ჯიბგირი.

— სამ კილოგრამსა და 250 გრამს, — შეუსწორა მარია ვასილევნამ, — დღეს კრებაზე ხომ იქნებით? შეფობის საკითხს იხილავენ.

— მომისმინე, ოტვერსტიევ, — უთხრა სუნდუჩანსკიმ, — იცი, რა ბიჭი მყავს? ნამდვილ ადამიანს ჰგავს. მუცელი, ფეხები, ყურები... მართალია, ჯერჯერობით ძალიან პაწაწინები აქვს, მაგრამ... ერთი სიტყვით, შემოგევლო მაინც, ცოლსაც გაუხარდებოდა.

— აბა, წავედი — ამოიოხრა ოტვერსტიევმა, — ხომ იცი, წუთი დრო არა მაქვს შენს გოგოს ჩემგან მოკითხვა! — და გაიქცა.

ასე რომ, სუნდუჩანსკის ცდა — თანამშრომლები როგორმე სახლში შეეტყუებინა, მარცხით დამთავრდა. დრო კი გადიოდა. ბავშვი წონაში მატულობდა. მშობლებმა ხმაც კი დაუყარეს, „ალუ“ თქვაო, რაც ორი კვირის ბავშვისაგან ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია.

მაგრამ არც ამ სენსაციური განცხადების მერე მისწყდომია მნახველთა არმია სუნდუჩანსკების ბინას.

მაშინ ბედკრულმა მამამ უკიდურესობას მიმართა. სამსახურში ყველაზე ადრე მივიდა და კედელზე შემდეგი განცხადება გამოაკრა:

„სუნდუჩანსკის ბავშვის შემსწავლელი ბრიგადა მუშაობას იწყებს დღეს, 6 სთ-ზე ამხ. სუნდუჩანსკის ბინაზე.

ამხანაგების ოტვერსტიევის, კუსკოვას, იმიანინენის, შაკალსკაიას და ბოშმაკოვის დასწრება სავალდებულოა“.

სამ საათზე სუნდუჩანსკის ბოშმაკოვი მიუახლოვდა და წასჩურჩულა:

— მომისმინე, სუნდუჩანსკი, დღეს არაფრით არ შემიძლია, ხომ იცი, წრეზე ვარ წასასვლელი, და მერე... მეუღლეც ავადაა, ღმერთმანი!

— რას იზამ, — ცივად უპასუხა სუნდუჩანსკიმ, — ყველა დაკავებულია. იქნებ მეც დაკავებული ვარ. არა, ძმაო, განცხადებაში გარკვევით წერია: „დასწრება სავალდებულოა...“

შვიდი საათისათვის ბრიგადის აქოშინებული წევრები სუნდუჩანსკის ბინაში შეცვივდნენ.

— ისე, დროზე რომ მოსულიყავით, არაფერი დაშავდებოდა, — შენიშნა მასპინძელმა, — თუმცა არა უშავს, დასხედით. ახლავე დავიწყებთ. და ოთახში საბავშვო ეტლი შემოაგორა, რომელშიც პირდაღებული უმცროსი სუნდუჩანსკი იწვა.

— აი, — თქვა უფროსმა სუნდუჩანსკიმ, — ნახეთ.

— რეგლამენტი? — იკითხა შაკალსკაიამ, — ჯერ ვნახოთ და მერე დავისვათ შეკითხვები, თუ პირიქით?

— ჯერ შემეკითხეთ, — თქვა მამამ, რითაც საერთო აღტაცება გამოიწვია.

— ხომ ვერ გვეტყოდა მომხსენებელი, — იკითხა ოტვერსტიევმა ჩვეული ტონით, — როგორია მოცემული ობიექტის ხარისხობრივი მონაცემები...

— შეიძლება სიტყვა კრების წარმართვის თაობაზე? — შეაწყვეტინა, როგორც ყოველთვის, აქტიურმა შაკალსკაიამ.

— ხომ არ შეინიშნება ბავშვის წონაში კლება, ანდა მოუმატებლობა? — მორცხვად იკითხა ბოშმაკოვმა.

და ჩარხი დატრიალდა.

ბედნიერი მამა კითხვებზე პასუხის გაცემას ველარ ასწრებდა.

თარგმნა მანანა ჭელიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საყურადღებო, სახალისო

## ვინ რომელ ადგილზეა

ოფიციალური მონაცემით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საშუალოდ თითოეულ მოსახლეზე, ყველაზე მეტი სპირტიანი სასმელი ლუქსემბურგზე მოდის.

ალკოჰოლის მიღებაში მეორე ადგილზე არიან ბელგიელები, მესამეზე — ფრანგები; მათ მხარდამხარ მისდევენ იტალიელები, მეხუთე ადგილი გერმანელებს ეკუთვნით... სიით ბოლოში ინგლისელები და ბერძნები არიან.

დასავლეთ ევროპას არც ამერიკის შეერთებული შტატები ჩამორჩა.

ამას წინათ გამოქვეყნდა ტრანსპორტის უსაფრთხოების ნაციონალური საბჭოს დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი 48 სარკინიგზო კატასტროფის მიზეზი ალკოჰოლი და ნარკოტიკები იყო.

## საბოლოო გადაწყვეტილება

ორი მაღალი წრის რომაელი ქალი დიდხანს დაობდა, რომელ მათგანს უნდა ეტარებინა 1983 წელს გარდაცვლილი გრაფ ლუჩიანო სოლიმის ქვრივის სახელი.

გრაფი ორივე ქალზე იყო დაქორწინებული.

ელენე რამპონისთან მან სამოქალაქო წესით იქორწინა, მარიზა ბარბიერ გალანტთან კი ეკლესიაში დაიწერა ჯვარი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დავა პირველი ცოლის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ეს გადაწყვეტილება მეორე ცოლმა გაასაჩივრა.

ბრძოლა გაგრძელდა. გამარჯვების სასწორი ხან აქეთ იხრებოდა, ხან იქით.

საბოლოო ჯამში, გამარჯვება მეორე ცოლს ერგო.

უმაღლესმა სააპელაციო სასამართლომ დაადგინა: ვინაიდან მარიზა ბარბიერ გალანტმა მეუღლესთან ეკლესიაში დაიწერა ჯვარი, მას აქვს უფლება, ატაროს გარდაცვლილი გრაფ ლუჩიანო სოლიმის ქვრივის სახელი.

გადაწყვეტილება საბოლოოა და კასაციას არ ექვემდებარება.

## რემბოს კვალდაკვალ

ვენის პოლიცია დიდხანს ცდილობდა, გაეხსნა 42 წლის ფრიდრიხ კრაუსის საიდუმლოებით მოცული მკვლელობა.

გულმოდგინე ძიებამ შედეგი გამოიღო: პოლიციამ მიაგნო მკვლელებს. ისინი აღმოჩნდნენ ოცი წლის ახალგაზრდები რობერტ ტალერი და როლანდ ბეკერი.

მკვლელობა თურმე უმიზეზოდ იყო ჩადენილი.

— ჩვენ გვინდოდა, მიგვებაძა ამერიკული პოპულარული ფილმის — „რემბოსათვის", — რომელშიც რამდენიმე კაცს კლავენ, — განაცხადეს მკვლელებმა, — ფრიდრიხ კრაუსი იმიტომ მოვკალით, რომ იგი შემთხვევით პირველი აღმოჩნდა ჩაბნელებულ ქუჩაში...

## მხოლოდ 121

კარნავალმა, რომელიც ამას წინათ რიო-დე-ჟანეიროში გაიმართა, გასულ წლებთან შედარებით „მშვიდად" ჩაიარა.

ქალაქის თვითმმართველობა კმაყოფილია: ხუთი დღის საკარნავალო ღრეობაში მხოლოდ 121 კაცი დაიღუპა.

ეს ციფრი სხვა წლებთან შედარებით საკმაოდ მცირეა. მარტო 1985 წელს კარნავალმა 200-ზე მეტი ადამიანი შეიწირა.

## წვრილმანებზეც დაობენ

გამოკვლევით დადგინდა, რომ ინგლისის სასტუმროებში შინაგანაწესს ყველაზე მეტად მილიონერები არღვევენ.

მდიდრები ღარიბებზე მეტად ანჩხლობენ, თავხედობენ, წვრილმანებზე დაობენ.

ხშირია შემთხვევა, როცა სასტუმროში დაბინავებული შეძლებული ადამიანი სხვადასხვა ხრიკებით ცდილობს, თავი აარიდოს გადასახადს.

## ორი რეკორდი

მიუნხენის ერთ-ერთ ლუდხანაში გამართულ შეჯიბრში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 33 წლის გერმანელმა იოზელ ხიოხრლმა.

ლუდით სავსე ერთლიტრიანი კათხა იოზელ ხიოხრლს წინ გაშვერილი ხელით ეჭირა 1 საათი, 36 წუთი და 38 წამი.

მეორე რეკორდსმენი გახლავთ ესპანელი კარლოს ვანასი.

იგი მცირე შესვენებებით 154 საათი ცეკვავდა და რამდენიმე გულშეღონებული პარტნიორი გამოიცვალა.

## ნარკოტიკების მსხვერპლი

ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა.

ჯორჯიას შტატის (აშშ) უსიერ ტყეში შემთხვევით წააწყდნენ შავ დათვს, რომელიც ნარკოტიკების მიღებით მომკვდარიყო.

ტყის ოთხფეხა ბინადრის ასეთი უცნაური სიკვდილი სპეციალისტებმა შემდეგნაირად ახსნეს: კონტრაბანდისტი, რომელსაც ნარკოტიკები გადაჰქონდა, ეტყობა, იძულებული გახდა ხელი ჩაექნია და სახიფათო ტვირთი თვითმფრინავიდან გადმოეყარა.

აი, ასე ჩაუვარდა ხელში დეფიციტური კოკაინი ტყის მსუნაგ ბინადარს — შავ დათვს.

## თვითმკვლელები

ბრიუსელის გაზეთი „სუარი" იუწყება, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყოველწლიურად საშუალოდ 100 ათასი ადამიანი იკლავს თავს.

ყოველ თვითმკვლელობაზე თავის მოკვლის მცდელობის შვიდი შემთხვევა მოდის.

## თითქმის 15 პროცენტი

ფრანგული გაზეთი „მონდი" წერს, რომ ქვეყანაში, რომელმაც მსოფლიოს მისცა დიდი მწერლები, ფილოსოფოსები, კულტურის გენიალური მოღვაწენი, ამჟამად სამარცხვინო უწიგნურობა სუფევს.

საფრანგეთის მოსახლეობის თითქმის 15 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია.

## იღბლიანი შემთხვევა

ბელგიელმა მესაზღვრეებმა, რომლებიც ჰოლანდიაში გასაგზავნ ტვირთს ამოწმებდნენ, მხოლოდ ერთი კონტეინერი გაჩხრიკეს.

კონტეინერში ანანასის წვენით სავსე ბოთლები ეწყო, ბოთლებშუა კი საგულდაგულოდ შეფუთული ჰაშიში იყო ჩაკვეხებული.

ნარკოტიკების საერთო წონამ 700 კილოგრამს გადააჭარბა.

ასეთი რაოდენობის ჰაშიში შავ ბაზარზე 200 მილიონი ბელგიური ფრანკი ღირს.

ჩხრეკამ ამაოდ ჩაიარა: ყველა სხვა კონტეინერი სრულ წესრიგში აღმოჩნდა.

## ორსაათიანი ბრძოლა

მექსიკის ქალაქ სანჩეს-ტაბოადეში პოლიციას, რომელმაც კონტრაბანდისტებს მარიხუანა ჩამოართვა, ნარკოტიკებით მოვაჭრეების დიდი ჯგუფი დაესხა თავს.

ხელჩართული ბრძოლა ორ საათს გაგრძელდა.

გამარჯვება პოლიციას დარჩა. ნარკოტიკებით მოვაჭრენი გაიქცნენ: ბრძოლაში 21 პოლიციელი და რამდენიმე თავდამსხმელი დაიღუპა.

## უპრეცენდენტო შემთხვევა

საფრანგეთის ტახტის პრეტენდენტმა გრაფმა ანრიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ მისმა ცოლმა პრინცესა იზაბელა ორლეანელმა დაარღვია საფრანგეთის სამეფო სახლის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია და სასამართლოში მეუღლესთან განქორწინების საქმე აღძრა...

საფრანგეთის ტახტის პრეტენდენტს და პრინცესას 11 შვილი ჰყავთ. აღსანიშნავია ისიც, რომ გრაფი ანრი 78 წლისაა, მისი ყოფილი ცოლი კი 74-ის.

## ტრანსპორტში

ინგლისელებისათვის სულ უფრო საშიში ხდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა.

ლონდონის გაზეთი „დეილი ექსპრესი" იუწყება, რომ 1985 წელს რკინიგზებზე ბანდიტებმა ათასზე მეტი მგზავრი გაძარცვეს. ლონდონის მეტროში გასულ წელს 1515 მგზავრი და 400-მდე მომსახურე პერსონალი გაქურდეს ჯიბგირებმა.

# ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. მეცნიერება აზროვნების, ფორმისა და კანონების შესახებ; 2. სპეციალური ნაგებობა თვითმფრინავის სადგომად; 4. ნიშანი, რომელიც აღნიშნავს უარყოფით სიდიდეს; 5. ტექსტის ნაწილი, რომლის პირველი სტრიქონი ცოტათი შეწეულია; 8. ქალაქი რუსეთის ევროპულ ნაწილში; 9. ორგვარი მნიშვნელობა, ორაზროვნება; 11. ინგლისის უძველესი სახელწოდება; 13. თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანი; 14. სპორტული ცურვის ერთ-ერთი სახეობა; 16. სიყვარულის ღმერთი ინდოელთა მითოლოგიაში; 17. გოგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი; 20. ენერგიის უმცირესი რაოდენობა; 21. ციური სხეულის სამოძრაო გზა.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 3. გარკვეულ უბანზე გემის გატარების სპეციალისტი; 6. ქარისაგან მოტანილი სილის ბორცვი; 7. ბრალდებულის უდანაშაულობის დასაბუთება; 10. მდინარე სსრ კავშირში; 12. ქანდაკება, რომელიც გამოსახავს ადამიანის სხეულის ზედა ნაწილს; 14. ჩხირისებრი ბაქტერია; 15. ზღვის ნაპირის ნგრევა-რეცხვა ტალღების მოქმედებით; 18. ფულის ერთეული ერაყში და სხვაგან; 19. არგონავტების წინამძღოლი; 20. ტროპიკული ხე; 22. პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა; 23. სატყორცნი იარაღი მძლეოსნობაში; 24. სამწახნაგოვანი პირის მქონე პატარა ხანჯალი.

ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲕᲐᲟᲐ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲐᲫᲔᲛ.



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 9. მეცნიერება, რომელიც სოფლის მეურნეობას სწავლობს; 10. კრეინის ბალეტი; 11. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 13. ბერძნული ანბანის ასო; 15. კვების პროდუქტი; 16. ინგლისის უძველესი სახელწოდება; 19. მოცეკვავე ქალი იაპონიაში; 20. მდინარე საქართველოში; 22. ცეკვა; 23. თანამიმდევრობა; 24. პლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება; 25. იტალიელი კომპოზიტორი; 26. მიკროსკოპული ერთუჯრედიანი ცხოველი; 28. რომაული მითოლოგიის ქალღმერთი; 30. ქართველი ფეხბურთელი; 32. ქართველი მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი; 33. ოლიმპური ჩემპიონი — საბჭოთა ფეხბურთელი; 35. ესპანეთის ფეხბურთელთა საკლუბო გუნდი; 39. სწრაფად მზარდი ავსტრალიური ხე; 40. დახლართული ნაგებობა ბერძნულ მითოლოგიაში.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ტროპიკული ხე; 2. ალპინისტური მარშრუტი; 3. ქალაქი ევროპაში; 4. ცნობილი ქართული ოპერის პერსონაჟი; 5. ტროპიკული მცენარე; 6. სიმებიანი საკრავი; 7. გუნდური სპორტული შეჯიბრება; 8. ამერიკელების მეტსახელი; 12. მუსიკალური ბგერის გრაფიკული ნიშანი; 14. უაზრო სიტყვები, აბდაუბდა; 15. ქართველი მომღერალი; 17. ქართული ოპერა; 18. ქვისხანის უკანასკნელი ეპოქა; 19. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე; 21. ეგვიპტურ მითოლოგიაში ნაყოფიერებისა და დედობის მფარველი ქალღმერთი; 27. მინერალური წყალი; 29. ძვირფასი ქვა; 31. მსოფლიო ექსჩემპიონი ჭადრაკში; 32. ძველებური ინგლისური ოქროს ფული; 34. სოფელი მდინარე სურამულას ხეობაში; 35. ფეხბურთელთა გუნდი ბრაზილიაში; 36. პარკოსანი მცენარე; 37. ქართული სპორტული თამაში; 38. ვოკალური ნაწარმოები.

ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲕᲐᲟᲐ ᲛᲐᲒᲠᲐᲥᲕᲔᲚᲘᲫᲔᲛ.

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ: მშვიდობას ღუღუნებს მტრედი.
ფოტოეტიუდი ბონდო დვალიშვილისა.
ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ: ჩვენი სიმღერა.
ფოტო თარხან არჩვაძისა

გადაეცა წარმოებას 23. 04. 86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30. 05. 86. უე 04672. ქაღალდის ზომა $70\times168\,^1/_8$. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50000. შეკვ. 1032. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. пр. Руставели, 42.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის— 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ.



ბათუმი. შეჯიბრი...

ფოტო მერაბ ლვინაძისა.

შუადღე ზღვაზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა


ინდექსი 76056
ელექტრონული ბიბლიოთეკა